



ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**სტუდენტთა პირველი საფაკულტეტო
სამეცნიერო კონფერენცია**



კონფერენცია ეძღვნება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის დაარსებიდან 100 წლის იუბილეს

თ ე ზ ი ს ე ბ ი

**17-18 დეკემბერი
2018**

სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:

ნანა გაფრინდაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

თედო დუნდუა – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;

თეიმურაზ პაპასქირი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, პროფესორი;

ეკატერინე ნავროზაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დარეჯან გარდავაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

ნინო პოპიაშვილი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ფილოლოგიის დოქტორი (კონფერენციის თავმჯდომარე).

ს ა რ ჩ ე ვ ი

გიორგი აბალაკი ალექსანდრიის იუდეური თემი ეპოქათა მიჯნაზე (ძვ.წ-ის I-ახ.წ. I სს.)	7
ბექა ადუაშვილი ჰაინრიხ I – „Drang Nach Osten-ის“ („აღმოსავლეთით ზენოლის“) პირველი მაგალითი გერმანიაში	7
ოლეგ ბაბინი ქალაქ-სახელმწიფო ბაბილონში მთავარ ღვთაება მარდუკისადმი მიძღვნილი ტაძრის არქეოლოგიური მონაცემების შესწავლისათვის	8
გიორგი ბუცხრიკიძე, ლანა ფორჩხიძე არჩილ ჯორჯაძე ქალთა უფლებების შესახებ	9
თათია ბუნურაძე კვიპროსის სავაჭრო ურთიერთობა არქაულ ხანაში და კავშირები ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთთან	9
თეკლა გაბუნია პროგრამისტებისა და ჰაკერების სლენგისა და ჟარგონის ლინგვისტური ანალიზი	10
მირანდა გვენეტაძე, სალომე გოგოჩაიშვილი პარხალი – შუა საუკუნეების სამონასტრო-სამნიგნობრო კერა	11
ციური გვენეტაძე აფხაზეთის თემა თანამედროვე ქართველი ემიგრანტი მწერალი ქალების რომანებში	11
დავით გრძელიშვილი ბიბლიური მელქისედეკი	12
მარია გუჩუა შოთა რუსთაველის ფრესკისმეტყველების ერთი საყურადღებო ასპექტისათვის	13
ელიზა გუჯაბიძე შუმერული თქმულება „გილგამეში და აგა“	13
ეკა დავაძე ხელოვნებისა და ტრაგედიის ჭიდილი უილიამ შექსპირის პიესა „მეფე ლირში“	14
ანი დათუნაშვილი ვაჟა-ფშაველას „სინდისი“ – მორალურ-ზნეობრივი ასპექტები	15
თამარ დუდაშვილი, თამარ მეტრეველი სიყვარულის სხვადასხვაგვარი გააზრება ვასილ ბარნოვის მოთხრობებსა და რომანებში	15
გიორგი ვახტანგაშვილი მეფუტკრეობა საქართველოში (ისტორიული ეთნოლოგიის პერსპექტივიდან)	16
სალომე თალაკვაძე კლასიკური პერსონაჟის დეკონსტრუქცია (ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძის სახე აკა მორჩილაძის „ნიგნში“)	16
ანა თვალავაძე კლასიკური ტექსტის დეკონსტრუქციის პრობლემა პოსტმოდერნიზმის მხატვრულ-ესთეტიკურ სივრცეში (მარლ პეროს „ლურჯწვერასა“ და ამელი ნოტომის „ლურჯწვერას“ მაგალითებზე)	17
მარიამ თვალავაძე ჰოლოკოსტის პერიოდისა და მისი დასრულების შემდგომი ხანის იდეოლოგია გერმანულ კინოში	17
ნინო კაკალაშვილი ყივჩალთა საბრძოლო ტაქტიკა XII-XIV საუკუნეებში	18

ანანო კინწურაშვილი	
ეპიფანიის მხატვრული დანიშნულება მოდერნისტულ ლიტერატურაში	19
ალექსანდრე კუპრეიშვილი	
მიმართება რუსულ ფორმალიზმსა და ფუტურისტულ ესთეტიკას შორის	19
გიორგი მარკოზაშვილი	
მატერიის გაგება არისტოტელეს ფილოსოფიაში	20
გიორგი მაჭარაშვილი	
ჯონ სტაინბეკის საქართველო	20
თეონა მახარაშვილი	
ნესტან-დარეჯანისა და ვისის წერილები	21
ლალი მექერიშვილი	
რომი და კლიენტი ქვეყნები – იბერიის სამეფო ახ. წ-ის II ს.	21
ლექსო მიქაძე	
ბორბლიანი ტრანსპორტის გენეზისი საქართველოს ტერიტორიაზე	22
ნანა მიხანაშვილი	
რუთის წიგნი – სიბრძნის ლიტერატურა	22
მარიამ მოციქულაშვილი, დარინე მიქელაძე	
ჯ. მ. კუტუბეის „მისტერ ფოს“ ქართული თარგმანის გამო	23
ანი მღებრიშვილი, მარიამ ფაიქიძე	
ემიგრანტი ქალები ამერიკის დასავლეთის მონაპირე ახალშენებში და ორეგონის ბილიკუზე (1840-1860)	23
ნანული ნადარეიშვილი	
რამდენიმე ფერის გააზრება კონსტანტინე გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცების“ მიხედვით	24
თორნიკე ნანეიშვილი	
გილგამეშის შუმერული სიმღერების – „გილგამეში და ზეციური ხარი“ და „გილგამეში და ჰუვავა“ – თარგმანის განხილვა	25
შორენა ნემსაძე	
„გამარჯვების ტრავმა“ საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (ფილმების ანალიზი)	26
ირაკლი ნოდია	
აშშ-ის სამოქალაქო ომი გაზეთ „დროების“ ფურცლებზე	26
ნინო ომანაძე	
ეპიტეტის თარგმნის საკითხისათვის ჯეიმზ ჯოისის „ჯაკომო ჯოისის“ ქართულ თარგმანებში	27
ანა პალაგაშვილი	
ცნობიერების ანატომია ვირჯინია ვულფის რომან „ტალღებში“	27
ანა პაპუაშვილი	
კატერინა ბრიგისის ზღაპრები ქართულ ენაზე: ზღაპრის თარგმნის სპეციფიკა და გამოწვევები	28
მარიამ რაზმაძე	
შექსპირის „ჰამლეტის“ გარდასახვა იან მაკიუენის რომან „ნაჭუჭში“	28
მარიამ რაქვიაშვილი	
ცნობიერების ნაკადი ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში	29
ლელა რეზესიძე	
ფარის თემის (მესტიის მუნიციპალიტეტი) ტრადიციული ყოფა და თანამედროვე სოციოკულტურული პროცესები	30
ოთარ სალდაძე	
ბოშა ქალის ყოფა საკუთარ თემსა და საზოგადოებაში	30

ელენე სიხარულიძე

კოპტურ-მუსლიმურ თემთა თანაცხოვრების პრობლემატიკა ეგვიპტელ პროზაიკოსთა
შემოქმედებაში (იუსუფ იდრისის ნოველა „ეგვიპტელი ჯოკონდა“ და ბაჰა ტაჰირის რომანი
„დეიდა საფია და მონასტერი“)..... 31

ქეთევან სიხარულიძე

პირველი როკფესტივალი თბილისში 31

სალომე სუხიაშვილი

სამოთხის მითოსი ქართულ ჰაგიოგრაფიაში და მისი ფოლკლორულ-მითოსური პარადიგმები..... 32

ლაშა ტაბიძე

მტკვარ-არაქსის კულტურის საცხოვრისის ინტერიერის ერთი კომპონენტის კვლევისათვის:
შიდა ქართლისა და სირია-პალესტინის მასალათა შედარებითი დახასიათება 33

ლევან ტავლაშვილი

Spolia opima, ოქტავიუსი და მარკუს ლიცინიუს კრასუს დივესის დაუფასებელი
სამხედრო დიდება 33

მიმოზა ტიელიძე

ევროსკეპტიციზმის თეორია და მისი პრაქტიკული გამოვლინება ევროპის ქვეყნებში 34

თორნიკე ტყემალაძე

მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლის რეგიონის ნაგებობები: გუდაბერტყას ნამოსახლარის
შემთხვევა 34

ნატა ტყეშელაშვილი

ბიბლიური წარმოდგენები სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ 35

კესო უძილაური

სწორფრობა-წაწლობის თემა ფოლკლორსა და ლიტერატურაში 35

ანა ფანცულაია

ტიპოლოგიური პარალელები მიგელ დე უნამუნოს „აბელ სანჩესსა“ და „დაბადების“ წიგნში..... 36

ლინდა ფარეულიძე

სიტყვა „ცოდვა“ ინგლისურ, ქართულ და ჩეჩნურ/ქისტურ ენებში..... 36

თამარ ფიცხელაური

ახალი გუდამაყრული გადმოცემები ჯვარ-ხატთა დაარსების შესახებ 37

თორნიკე ფსუტური

მსხვერპლშენიშვნის ბიბლიური ტრადიცია აღმოსავლეთ საქართველოს
მთიან რეგიონებში..... 38

ზაზა ქარჩავა

ლიცინიუს სექსტიუსის „აგრარული კანონი“ 38

მარიამ ქოსაშვილი

ინვერსიის პრობლემა ქართულ ზმნაში..... 39

მარიამ ქოსაშვილი

მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიანში“ – შედარებითი ანალიზი 39

ნინო ღლონტი

ლათინური ენის პირველი ქართული სახელმძღვანელო (1882 წელი)..... 40

ღვთისავარ ჩაბრავა

რა არის თეოსოფია..... 40

თამარ ჩაქსელიანი

უქონლობის სახელები სვანურ ენაში და სემანტიკური დიფერენციაციის საკითხები 41

თამარ ჩითინაშვილი

რელიგიური წარმოდგენების გავლენა ამერიკის საგარეო პოლიტიკის ძირითად ორიენტირებზე..... 41

დაჩი ჩიტაია, ნიკა მუყასაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის.....	42
ნიკა ცერცვაძე დუნს სკოტის შემეცნების თეორია.....	43
სალომე ციცივიძე სხეულის ენა.....	43
ნუკრი ნურნუშია მეცნიერების ანტიკუმულაციური თეორია პოსტპოზიტივისტურ ეპისტემოლოგიაში.....	44
მიხეილ ჭელიძე დავით კლდიაშვილის პიესა „უბედურება“, როგორც საყოველთაო კრიზისის რეფლექსია.....	44
ელენე ჭირაქაძე ფიდელ კასტრო და კათოლიკური ეკლესია: გზა დევნიდან აღიარებამდე	45
ოთარ ჭილაძე ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობების სათავეებთან	45
თამთა ჭუმბაძე ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა ქართულ სამეცნიერო სივრცეში	46
კესო ჭუმბურიძე ზამთრის ომი და სსრკ-ის ინტერესები	47
მარიამ ხაზალია ყოველდღიური ყოფა კონფლიქტის ზონის სოფლებში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მაგალითზე).....	47
მარიამ ხოსროშვილი ბიბლიური ანთროპომიები დაბადების წიგნის მიხედვით.....	48
ბექა ხოჯავა ლათინური ენის რომანიზაცია იმპერიული რომის პერიოდში.....	48
ჯონდი ხუხია ფერარა-ფლორენციის კრება და საქართველო	49
ანი ჯავახიშვილი კონსტანტინე გამსახურდია, როგორც დრამატურგი – „გარსი მარადი“	49
გიორგი ჯავახიშვილი ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების ასპექტები 1918–1921 წლებში.....	50
ნათია ჯანელიძე იაპონიის ისტორიის ტრაგიკული ფურცელი – ჰიბაკუმა.....	511
ნანო ჯანელიძე სიტყვების – „ოქრო“ და „ვერცხლი“ – სემანტიკა ინგლისურ და ქართულ ენებში.....	51
მარიამ ჯაფიაშვილი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ექსპედიციები კავკასიაში XIX საუკუნეში	52
პაპუნა ჯილავდარი „არასხვა“ ერიუგენასა და ნიკოლოზ კუზელის ფილოსოფიაში	52

გიორგი აბალაკი

ალექსანდრიის იუდეური თემი ეპოქათა მიჯნაზე (ძვ.წ-ის I–ახ.წ. I სს.)

ანტიკური პერიოდის იუდეური დიასპორის შესწავლის თვალსაზრისით, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ეგვიპტის ალექსანდრიის იუდეურ თემს, რომლის შესახებაც მნიშვნელოვან მასალას გვანვდის ფილონ ალექსანდრიელი (ძვ.წ. 20–ახ.წ. 50) (*in flaccum; legatio ad gaium*), სტრაბონი, რამდენიმე პასაჟი ახალი აღთქმიდან.

ფილონ ალექსანდრიელის ცნობით, ეგვიპტეში საკმაოდ დიდი რაოდენობის ებრაელი ცხოვრობდა. კერძოდ, ეგვიპტეში მცხოვრები 8 მილიონი კაციდან 1 მილიონი ებრაელი იყო, ხოლო ალექსანდრიის 5 კვარტილიდან 2 ებრაელს ეკავათ (*in Flaccum 8*).

ეპოქათა მიჯნაზე ალექსანდრია რომის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა. საერთო საქალაქო დადგენილებები ანგარიშს უწევდა იუდეველების ნაციონალურ რელიგიას. იუდაიზმი რომის იმპერიაში „*religio licita*“ (დაშვებული რელიგია იყო). იმპერატორმა ავგუსტუსმა ალექსანდრიის ებრაელებს ფართო უფლებები მიანიჭა: საკუთარი ქონების ქონისა და განკარგვის უფლება, იუდეური კანონით მოქმედების უფლება, შეკრების, ფულის უსაფრთხოდ გატანისა და გაცემის უფლებებით სარგებლობა.

წყაროების შესწავლის შედეგად დგინდება, რომ ავგუსტუსის ხანაში ალექსანდრიის ებრაულ თემს ეთნარქი მართავდა (სტრაბონი, გეოგრაფია XVII, 1, 13; იოსებ ფლავიუსი, იუდ. სიძველენი, XIV, 7,2). იუდეური თემის თავის – მოსამართლის ტიტული იყო ალაბარხი (იოსებ ფლავიუსი სიძველენი, XVIII, 8,1). ალექსანდრიაში არსებობდა ებრაული სინაგოგა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა იუდეველთა ცხოვრებაში. სწორედ სინაგოგის რელიგიური კოლეგია გახლდათ ის უმთავრესი საშუალება, რისი მეშვეობითაც იუდეველებმა შეინარჩუნეს თვითმყოფადობა.

ტიბერიუსის მმართველობისას ებრაელების უფლებები მკვეთრად შეიზღუდა. მან აკრძალა იუდეური მსახურება. მისი გარდაცვალებიდან მალევე, 38 წელს ალექსანდრიელი ებრაელების დელეგაცია, რომლის წევრი ფილონ ალექსანდრიელი იყო, რომს ეწვია (*Legatio ad Caium*). ისინი კალიგულასგან მოითხოვდნენ უფლებების აღდგენას.

ალექსანდრიის იუდეურ თემს მჭიდრო კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა იუდეასთან, რის ნათელ დადასტურებადაც შეიძლება ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ ჰეროდე აგრიპას ქალიშვილი ბერენიკე ალექსანდრიის ალაბარხუსის, ლისიმაქეს ვაჟ მარკუს ალექსანდრეს მეუღლე იყო. აგრიპას თხოვნით, კლავდიუსმა დაუდასტურა ალექსანდრიის ებრაელებს გარანტირებული რელიგიური უფლებები. ასევე მისცა დამოუკიდებელი მმართველობის უფლება.

ბექა ადუაშვილი

ჰაინრიხ I – „Drang Nach Osten-ის“ („აღმოსავლეთით ზენოლის“) პირველი მაგალითი გერმანიაში

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან აქტიურად დაიწყო გერმანიის „აღმოსავლეთით ზენოლის“ პოლიტიკის კვლევა. ეს საკითხი დღემდე ძალიან აქტუალურია ევროპულ სამეცნიერო წრეებში. ტერმინი „აღმოსავლეთით ზენოლა“, რასაც გერმანიაში „Drang Nach Osten-ს“ უწოდებენ, თავდაპირველად გამოიყენებოდა გერმანიის XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის საგარეო პოლიტიკასთან მიმართებით.

„Drang Nach Osten“ აღნიშნავს გერმანიის მიერ გატარებულ საგარეო პოლიტიკურ კურსს, რომლის მიზანიც იყო გერმანიის აღმოსავლეთით და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიების დაპყრობა, ადგილობრივ ხალხთა დამორჩილება და ამ რესურსის ხარჯზე გერმანიის იმპერიის გაძლიერება. აქვე აუცილებლად უნდა დავსძინოთ ერთი გარემოება, რომ გერმანიის ეს აგრესიული პოლიტიკა, ძირითადად, მიმართული იყო სლავი ხალხის წინააღმდეგ, რომლებიც გერმანიის აღმოსავლეთით სახლობდნენ, თუმცა ეს პოლიტიკა შეეხო უნგრელებსა და ჩეხებსაც.

ევროპულ სამეცნიერო წრეებში ამ საკითხის შესწავლის დაწყებიდან მალევე გაჩნდა მოსაზრება, რომ შესაძლოა, გერმანიის მიერ გატარებული აღმოსავლური პოლიტიკა არ იყო XIX საუკუნის პოლიტიკური სიახლე და მას გაცილებით ადრე ჩაეყარა საფუძველი. ჩემი ნაშრომის მიზანიც სწორედ ამ დისკუსიაში მცირედი წვლილის შეტანაა. ნაშრომში მოყვანილია ქართული მეცნიერებისათვის ჯერ კიდევ უცხო არგუმენტები, რომლებიც ადასტურებს, რომ გერმანული „აღმოსავლეთით ზენოლა“ არა XIX საუკუნის მოვლენა, არამედ შუა საუკუნეების პოლიტიკის გაგრძელებაა, რომელთა შორის გარკვეული ისტორიული წყვეტა იყო, რაც აიხსნება გერმანიის ტერიტორიაზე მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებებით. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ სამეცნიერო პრობლემით დაინტერესდნენ ქართულ სამეცნიერო წრეებშიც. საფიქრებელია, რომ გერმანიის „აღმოსავლეთით ზენოლა“ დაიწყო არა XIX საუკუნეში, არამედ მაშინვე, როდესაც გერმანია ევროპულ რუკაზე პირველად ჩნდება. ეს ხდება ადრეულ შუა საუკუნეებში, კერძოდ კი X საუკუნეში.

ჰაინრიხ I ფრინველმჭერი გერმანიის მეფე გახლდათ 919 წლიდან. სწორედ მის სახელს უკავშირდება გერმანიის აღმოსავლეთით მდებარე უნგრელებისა და სლავების დამარცხება. ჩემი ინტერპრეტაციით, ჰაინრიხის ეს დაპირისპირება არ იყო უბრალო თავდაცვითი ბრძოლა და ის გერმანული „Drang Nach Osten-ის“ პირველი მაგალითი იყო.

ოლეგ ბაბინი

ქალაქ-სახელმწიფო ბაბილონში მთავარ ღვთაება მარდუკისადმი მიძღვნილი ტაძრის არქეოლოგიური მონაცემების შესწავლისათვის

ქალაქი ბაბილონი – ძველი მესოპოტამიისა და მთელი ძველი მსოფლიოს ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და რელიგიური ცენტრი, კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი და პირველი მეგაპოლისი იყო. მესოპოტამიის ნებისმიერი ქალაქის რელიგიური და კულტურული ცენტრი კი იყო მისი მფარველი ღვთაების ტაძარი – ზიკურათი. ბაბილონის მფარველი ღვთაება გახლდათ მარდუკი, ბაბილონის პანთეონის წამყვანი ღმერთი, სხვა მეორეხარისხოვანი ღვთაებების მამა, ხელმწიფე და მოსამართლე. მთავარ ზიკურათს ცენტრალური ადგილი ეკავა როგორც მნიშვნელობის, ასევე მდებარეობისა და მასშტაბის მხრივ – მის გარშემო იგებოდა ყველა სხვა ნაგებობა. ქალაქის ნებისმიერი წერტილიდან ჩანდა ზიკურათის სიდიადე. მარდუკი იმდენად გამორჩეული და მნიშვნელოვანი ღვთაება იყო, რამდენადაც გრანდიოზული აღმოჩნდა მისი ტაძარი, უფრო სწორად, უზარმაზარი სატაძრო კომპლექსი. თავად ცენტრალური ტაძარი ესაგინა წარმოუდგენელ ზომებს აღწევდა. მისი ფართობი სცდებოდა 1,5 კვადრატულ კილომეტრს, ხოლო კვადრატული ფორმა და გეომეტრიზმი დღესაც შეიძლება ჩაითვალოს ეტალონად. ტაძრის ცენტრალური დარბაზი იმუამინდელი ისტორიკოსების აღფრთოვანებას იწვევდა. თავად ნაბუქოდონოსორის ნაწერებში მოცემულია ცნობები ამ დარბაზის მთლიანად ოქროთი დეკორირებულობის შესახებ. ჰეროდოტეს ცნობით, მის გალამაზებისთვის 800 ტალანტი ოქრო იყო საჭირო, რაც 40 ტონას უდრის. აქ იდგა ოქროს საკურთხეველი, ტახტი, მაგიდა და ფეხების დასაწყობი კონსტრუქცია, ასევე თავად მარდუქისა და მისი მეუღლის, ცარპანიტის, ქანდაკებები. მაგრამ საკულტო კომპლექსის ცენტრი ეკავა მარდუკისადმი მიძღვნილ ტაძარზე მეტად გრანდიოზულ ნაგებობას – ეტემენანკის ზიკურათს, რომლის სახელი ნიშნავს „მინისა და ცის დაფუძნების სახლს“. მისმა წარმოუდგენელიმა ზომებმა დაჩრდილა ეგვიპტის პირამიდები: დიამეტრი, ისევე როგორც სიმაღლე, 90 მეტრს აღწევდა. ეტემენანკის ზიკურათი ითვლებოდა მარდუკის დედამიწისეულ რეზიდენციად. 7-სართულიანი ტაძარ-კოშკი, რომელთაგან 6 სართული სპირალურია, ლეგენდარული ბაბილონის გოდოლის პროტოტიპადაც კი იქცა.

გიორგი ბუცხრიკიძე ლანა ფორჩხიძე

არჩილ ჯორჯაძე ქალთა უფლებების შესახებ

ქალთა უფლებების დაცვისათვის ბრძოლა XIX საუკუნის ათიანი წლებიდან დაიწყო ევროპაში, ხოლო იმავე საუკუნის მეორე ნახევრიდან ეს პროცესი აქტიურდება საქართველოშიც, თუმცა აქ მიმდინარე პროცესი ნაწილობრივ განსხვავდებოდა ევროპისგან იმით, რომ ჩვენთან ქალები არც გამოსვლებს აწყობდნენ და არც გაფიცვებს. მათი ნაბიჯები იყო მშვიდობიანი, რაც გადაიზარდა ლიტერატურულ მოძრაობაში, ასევე ქმნიდნენ ასოციაციებს. ქართველი ქალების გააქტიურება ნაწილობრივ მამაკაცების დამსახურებაც არის. ქართველი პუბლიცისტები, მწერლები და საზოგადოების მოწინავე ნაწილი იწონებდა ქალების ბრძოლას სოციალური უფლებებისთვის.

მათ შორის იყო XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის პირველი ათწლეულის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე არჩილ ჯორჯაძე, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა XX საუკუნის დასაწყისისა და შემდგომი ხანის ქართულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ის იყო სოციალურ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და იდეოლოგი.

ნაშრომში განვიხილავთ არჩილ ჯორჯაძის შეხედულებებს ქალების უფლებებზე, რომლებსაც მან არაერთი პუბლიცისტური წერილი უძღვნა და ეს პრობლემა განიხილა სხვადასხვა კუთხით, როგორც სოციალურ, ასევე ისტორიულ და სამართლებრივ კუთხით. უნდა აღვნიშნოთ, რომ ავტორი, როგორც დიდი მოაზროვნე, ქალთა უფლებების საკითხს განიხილავს ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიკურ და სამართლებრივ მდგომარეობასთან კავშირში და მრავალი მაგალითის მოხმობით გვთავაზობს საკითხის გადამწყვეტას. ავტორმა ამ საკითხს არაერთი სტატია და პუბლიცისტური წერილი უძღვნა, მათ შორის გამორჩეულია 1911 წელს გამოქვეყნებული „ქალის სევდა“, რომელიც მან შეიტანა თავისი რჩეული თხზულების მესამე ნიგნში; ასევე ქალთა უფლებებს ეხება „მესამოციანი“, რომელიც შეიტანეს 1914 წელს გამოცემულ თხზულებათა მეხუთე ნიგნში.

იმისათვის, რომ საქართველო არ ჩამორჩეს საერთო დასავლური განვითარების ტენდენციებს, ქალთა უფლებებისა თუ სხვა საკითხების გადამწყვეტისას აუცილებელია არა მარტო ევროპული გამოცდილების გაზიარება, არამედ იმ ქართველ მოაზროვნეთა შესწავლა და გაანალიზება, რომელთაც გაცილებით ადრე დაიწყეს ქალთა უფლებებზე ზრუნვა, ვიდრე ევროპელმა კანონმდებლებმა. ერთ-ერთი უდიდესი ასეთი მოაზროვნე კი არჩილ ჯორჯაძეა.

თათია ბუნურაძე

კვიპროსის სავაჭრო ურთიერთობა არქაულ ხანაში და კავშირები ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან

კვიპროსი, რომელიც ხმელთაშუაზღვისპირეთში სიდიდით მესამე კუნძულია, არქაულ ხანაში აქტიურებს სავაჭრო ურთიერთობას მიმდებარე რეგიონებთან. ამავე პერიოდშიდან აქტიურად იწყება ამფორების დამზადება, რომელთა ნიმუშებიც აღმოჩენილია თურქეთის სანაპირო ზოლთან – კეკოვა ადასის, კეპჩე ბურნუსა და ჩაიალიზ ქოიის ძეგლებზე ჩატარებული ნყალქვეშა არქეოლოგიური სამუშაოების შედეგად.

ამავდროულად, ამ პერიოდში შეინიშნება კვიპროსის ურთიერთობა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთთან. კვიპროსული ამფორების ფრაგმენტები გამოვლენილია ბორისთენეში, ბერძნული კოლონიზაციის პერიოდში ჩრდილო შავიზღვისპირეთში დაარსებულ ერთ-ერთ ადრეულ ქალაქში, რომელიც ბერეზანის პირველი კოლონია იყო არქაულ ხანაში პონტუსის ჩრდილოეთ სანაპიროზე აღმოცენებულ ბერძნულ პოლისებს შორის. ბორისთენე ასევე მოხსენიებულია ეუსებიოს ქრონიკებში.

ცნობილია, რომ ბერეზანის კოლონიის ურბანიზაცია დროის მცირე მონაკვეთში განხორციელდა, რაც ბერძნების მიგრაციით იყო გამოწვეული. იმ ფაქტის შესახებ, რომ აქ დასახლებული კოლონისტები,

იონიელები, ძირითადად, მიღებულები იყვნენ, არანაირი ეჭვი არ არსებობს. ძვ.წ.-ის VI საუკუნის ბოლოს ბერეზანის კოლონიამ განვითარების უმაღლეს ნიშნულს მიაღწია და სწორედ ამ პერიოდში მოიცავდა იგი ყველაზე დიდ ტერიტორიას.

ბორისტენეში გამოვლენილი კერამიკული კოლექცია მრავალრიცხოვანია და შედგება 4,3 ათასი მთელი და ფრაგმენტირებული კერამიკული მასალისაგან. მათ შორის გამოირჩევა ე.წ. „Basket-Handle“ ამფორის ორი მასიური ყურის ფრაგმენტი.

დღესდღეობით ბერეზანში აღმოჩენილი „Basket-Handle“ ამფორის ფრაგმენტების დამამზადებელ ცენტრად სწორედ კუნძული კვიპროსია მიჩნეული.

მსგავსი ტიპის ამფორები აღმოჩენილია კელენდერისში, რომელიც თურქეთის სამხრეთ ნაწილში, ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარეობს. „Basket-Handle“ ამფორები კელენდერისში, ძირითადად, ორ კონტექსტშია გამოვლენილი: პირველი ჯგუფი ნამოსახლარზე საცდელ თხრილში გამოვლინდა; ხოლო მეორე ნაწილი სამარხისეული ინვენტარის სახით არის წარმოდგენილი. კელენდერისში გამოვლენილი „Basket-handle“ ამფორები გვაძლევენ შესაძლებლობას, გამოვყოთ ამ ტიპის ამფორების განვითარების სამი ეტაპი და მათი ფორმათა ცვალებადობა საუკუნეების მიხედვით.

საინტერესოა ის ფაქტი, თუ საიდან აღმოჩნდა „Basket-Handle“ ტიპის ამფორები ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში და შეგვიძლია თუ არა, ასეთ მცირერიცხოვან ფრაგმენტებზე დაყრდნობით ვიმსჯელოთ კვიპროსისა და ბორისტენის სავაჭრო ურთიერთობებზე.

თეკლა გაბუნია

პროგრამისტებისა და ჰაკერების სლენგისა და ჟარგონის ლინგვისტური ანალიზი

ნაშრომის მიზანია, შეისწავლოს ის სლენგები და ჟარგონები, რომლებსაც ვხვდებით პროგრამისტებისა და ჰაკერების ყოველდღიურ მეტყველებაში.

ზოგადად, ნებისმიერ პროფესიას ახასიათებს როგორც საკუთარი სპეციფიკური, ტექნიკური სიტყვები, ასევე ყველასგან განსხვავებული სლენგები და ჟარგონებიც. პროგრამისტებისა და ჰაკერების მეტყველებაში უხვად ვხვდებით სლენგებსა და ჟარგონებს, რომლებიც გამოირჩევიან მრავალფეროვნებითა და მახვილგონიერებით. სწორედ სლენგები და ჟარგონებია ის, რაც პროგრამისტებისა და ჰაკერების კულტურას ერთიანებს, გამოხატავს მათ ღირებულებებსა და გამოცდილებას. პროგრამისტებსა და ჰაკერებს ძალიან უყვართ სიტყვებით თამაში, შედარებით სახალისო, სიტყვის მეტაფორიზაციით, მიმსგავსებითა თუ კონოტაციური მნიშვნელობების მრავალფეროვნებით შექმნილი სიტყვები. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამისტებისა და ჰაკერების სუბკულტურა ახლო წარსულში ჩამოყალიბდა და განვითარდა, ამ სუბკულტურაში არსებული სლენგებისა და ჟარგონების რაოდენობა საკმაოდ დიდია. თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ რამდენიმე მაგალითი:

Loch Ness Monster bug – შეცდომა, რომელიც მხოლოდ ერთმა ადამიანმა დაინახა და იმის მერე აღარ გამეორებულა.

Hot Potato / Hot Potatoes – ასე ეძახიან პროგრამისტები <http://-სა> და <https://-სა>.

Nyetwork (რუსული სიტყვიდან **нет**, რაც ნიშნავს არას) – ქსელი, რომელიც არ მუშაობს.

ნაშრომში, ძირითადად, განხილულია ინგლისური და რუსული სლენგები და ჟარგონები. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველი პროგრამისტებისა და ჰაკერების სლენგები და ჟარგონები, უმთავრესად, ინგლისურ რესურსებს ემყარება და, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირ არის გადმოქართულებული.

მირანდა გვენეტაძე სალომე გოგოჩაიშვილი

პარხალი – შუა საუკუნეების სამონასტრო-სამწიგნობრო კერა

საქართველოს ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი ნაწილის, ტაო-კლარჯეთის, მონახულება, რომელიც დღეს უკვე თურქეთის ნაწილად ითვლება, არ არის რთული, ამიტომაც ყოველწლიურად არაერთი მკვლევარი და, უბრალოდ, ქართული სიძველეებით დაინტერესებული ტურისტი მიდის ტაო-კლარჯეთის მოსანახულებლად.

ამ ადგილიდან, შეიძლება ითქვას, ჩვენი ქვეყნის რამდენიმე საუკუნოვანი ისტორია იმზირება. ტაო-კლარჯეთის ტერიტორიაზე სამონასტრო და სამწიგნობრო კერების დაარსება და გავრცელება გრიგოლ ხანძთელის სახელს უკავშირდება. ღირსეული წინამძღვრის საღვთო საქმენი ასევე ღირსეულად გააგრძელეს გრიგოლის მონაფეხებმა, მონაფეხების მონაფეხებმა და ა.შ. ერთ-ერთი ასეთი სამონასტრო-სამწიგნობრო კერა გახლავთ ისტორიულ ტაოში, ლაზისტანის ანუ პონტოს მთაგრეხილის აღმოსავლეთ კალთებზე, პარხლისწყლის ხეობაში მდებარე პარხლის ტაძარიც.

საგულისხმოა, რომ ტაო-კლარჯეთში არსებულ თითქმის ყველა ტაძარს თავისი ნიშა აქვს. ამ მხრივ გამონაკლისი არც პარხალია, რომლის არაჩვეულებრივი არქიტექტურა, ეპიგრაფიკული ძეგლები, ულამაზესი ჩუქურთმები, ფრესკები და ა.შ. სხვა ცალკეული დეტალი დამთვალიერებლის დიდ ინტერესს იწვევს.

პარხლის ტაძარი დავით III კურაპალატს აუგია, როგორც ამას ეკლესიის დასავლეთ კედელზე გაკეთებული ერთ-ერთი წარწერა გვატყობინებს. რაც შეეხება თავად მონასტრის აგების თარიღს, ამაზე მიახლოებით ინფორმაციას გვანვდის X საუკუნის კალიგრაფის, იოანე ბერაის, მიერ 973 წელს გადანიჭილი პარხლის ოთხთავი. საგულისხმოა, რომ ეს არ გახლავთ ერთადერთი „პარხლის სახარების“ სახელით ცნობილი ოთხთავი. მონასტერში X-XI საუკუნეებში მოღვაწეობდა არაჩვეულებრივი კალიგრაფი, გაბრიელ პატარაი, რომელმაც გადანიჭა პარხლის მეორე ოთხთავი, რომელიც აქვე ინახებოდა და, რასაკვირველია, ამ სახარების სახელიც აქედან მოდის. გარდა პარხლის II ოთხთავისა, გაბრიელ პატარაიმ გადანიჭა „სიტყვათა და საკითხავთა წმინდათა მამათა“ და, რაც აგრეთვე საყურადღებოა, პარხლის მრავალთავი, რომელიც საკმაოდ დიდი მოცულობის ეტრატის ხელნაწერი გახლავთ. იგი შეიცავს იოანე ოქროპირის, გრიგოლ ნოსელის, გრიგოლ ნაზიანზელისა და სხვათა საკითხავებს, აგრეთვე იოანე ბოლნელის ქადაგებებსა და „წმ. შუშანიკის წამებისა“ და „წმ. აბოს წამების“ ტექსტებს. ხელნაწერი 1310 გვერდისგან შედგება, რაც გაბრიელ პატარაის დიდ ღვაწლსა და შრომაზე მიუთითებს. ზემოხსენებული ხელნაწერები გვაფიქრებინებს, რომ პარხალში სკრიპტორიუმი იყო განთავსებული და სამონასტრო საქმეებთან შეზავებული ინტენსიური სამწიგნობრო სამუშაოები მიმდინარეობდა.

ციური გვენეტაძე

აფხაზეთის თემა თანამედროვე ქართველი ემიგრანტი მწერალი ქალების რომანებში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ წარმოქმნილი ეთნიკური კონფლიქტები სხვადასხვა მიმართებით არის ასახული ქართველ ავტორთა შემოქმედებაში. ჩვენი სამეცნიერო ინტერესი ეხება ელენე ბოჭორიშვილის რომანს – „მამაჩემის თავი“ და ნინო ხარატიშვილის რომანს – „ჩემი საყვარელი ორეული“.

აღსანიშნავია, რომ ორივე რომანში გამოიყოფა რამდენიმე საერთო მარკერი, კერძოდ:

- ორივე ავტორი არის ქალი;
- ორივე ავტორი არის ემიგრანტი საქართველოდან;
- ორივე ავტორი წერს პროზას;
- ორივე ავტორი მუშაობს რომანის ჟანრში;

- ორივე ავტორი არის არაქართულენოვანი მწერალი: ნინო ხარატიშვილი გერმანულენოვანია, ხოლო ელენე ბოჭორიშვილი – რუსულენოვანი.

- ორივე რომანში ვხვდებით აფხაზეთის კონფლიქტის თემას.

„მამაჩემის თავი“ სტენოგრაფიული რომანია. მასში მთავარი მოქმედი პირი ემიგრანტი ქართველია, მთავარი თემა კი – საბჭოთა კავშირის დაშლა და ომი. აფხაზეთის ომი, რომელმაც შეინირა რომანის მთავარი გმირის მამა და დედამისმა მხოლოდ თავის ჩამოტანა მოახერხა გორში, სოფელ თავლაში. ეს სოფელი კი 2008 წლის შემდეგ აღარ არსებობს... რომანში ძალიან ბევრი მტკივნეული თემაა წინა პლანზე წამოწეული, იქნება ეს საბჭოთა კავშირის გავლენა ადამიანის ცნობიერებაზე, აფხაზეთის ომთან დაკავშირებული საკითხები, აგვისტოს ომი, თუ, უბრალოდ, ერთი ემიგრანტის ფიქრები, რომელსაც თან უყვარს საკუთარი სამშობლო და თან სძულს, რადგან მამამისის საფლავიც კი წაართვა.

„ჩემი საყვარელი ორეული“ აკრძალულ სიყვარულზე მოგვითხრობს. ორი ახალგაზრდის, სტელასა და ივოს, ტკივილით სავსე გრძნობებზე. აქ მთავარი თემა ნამდვილი, გარეგნული ომი არაა, ეს უფრო შინაგან ბრძოლაზე აგებული ნაწარმოებია. მიუხედავად იმისა, რომ აქ აფხაზეთის ომის თემა პირველხარისხოვანი არ არის, იგი გარდამტეხ როლს ასრულებს მთავარი მოქმედი პირების ცხოვრებაში. რომანის მეორე ნაწილში მოქმედება საქართველოში ვითარდება, აქვე შემოდის მთელი ტრაგიზმით აფხაზეთის ომი, თანმდევ მოვლენებთან ერთად.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ომი ქართველი ემიგრანტი ქალი მწერლების რომანებში ღრმად და საინტერესოდ არის წარმოდგენილი. რომანებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ისინი ამ საკითხს არა გარე პერსპექტივიდან, არამედ შიგნიდან ხედავენ.

დავით გრძელიშვილი

ბიბლიური მელქისედეკი

ბიბლიური მელქისედეკის ფიგურა სამეცნიერო ლიტერატურაში ნაკლებადაა შესწავლილი, ვინაიდან ცნობები მის შესახებ საკუთრივ ბიბლიის კანონიკურ წიგნებში მწირია.

ბიბლიური მელქისედეკის პიროვნება არაა მკვეთრად გამოხატული, რაც, ხშირ შემთხვევაში, ბიბლიის კომენტატორებს განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმის საფუძველს აძლევს. ძველ აღთქმაში ის მხოლოდ ორჯერ მოიხსენიება, ხოლო ახალ აღთქმაში მხოლოდ პავლეს ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში.

პირველად მელქისედეკი ძველ აღთქმაში გვხვდება დაბადების მე-14 თავში (რომელიც, პროფ. თეოდორ ბერგრენის აზრით, გვიანდელი ჩანართი უნდა იყოს); როდესაც ქედორლამერისა და მის მოკავშირე მეფეთა მიერ ტყვედ წაყვანილი ლოტის გამოსხნის შემდეგ აბრაამი ტრიუმფით ბრუნდება და შავეს ველზე ხვდება სალემის (შალემის) მეფე მელქისედეკს, რომელიც ამავდროულად იხსენიება როგორც „ელ-ელიონის“, ანუ უზენაესი ღვთის მღვდელი.

საკუთრივ სახელი მელქისედეკი ებრაულად ნიშნავს: „მეფე სიმართლისა“, ხოლო სალემის (შალემის) მეფისა და ელ-ელიონის მსახურის ტიტულიც განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელი უნდა იყოს.

ძველი აღთქმის მეორე ეპიზოდი, სადაც ავტორი მელქისედეკს მოიხსენიებს, დავითის 109-ე ფსალმუნია. აღსანიშნავია, რომ ყურადღება გამახვილებულია მელქისედეკზე, როგორც ჭეშმარიტ ღმერთზე და არა აარონზე, ან ლევის შთამომავლებზე, რაც იძლევა საფუძველს, ვივარაუდოთ, რომ, ბიბლიური ტრადიციის თანახმად, მელქისედეკი საკმაოდ გავლენიანი ფიგურა იყო.

რაც შეეხება ახალ აღთქმას, ცნობები მის შესახებ მხოლოდ პავლეს ებრაელთა მიმართ ეპისტოლეშია, სადაც ის ციტირებს 109-ე ფსალმუნს და განმარტავს მას. პავლე მოციქული მელქისედეკს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ებრაელთა ეპისტოლეს მეშვიდე თავში, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს მელქისედეკის მიდრაში. აღსანიშნავია, რომ პავლე მოციქული თავის მსჯელობას არა ფსალმუნისეული სიტყვებით, არამედ დაბადების წიგნის ფრაგმენტით აგრძელებს, სადაც აღწერს აბრაამისა და მელქისედეკის შეხვედრას, ხოლო შემდეგ განმარტავს მას. ამის შემდეგ პავლე ეხება მელქისედეკის აღმატებულობის საკითხს აბრაამზე, რომელსაც ებრაელთა მამამთავარმა ალაფის მეთაფი უწილადა და

ამბობს, რომ უმცირესი იკურთხება უდიდესის მიერ და ლევიმაც, რომლის შთამომავლობასაც შემოსავლის მეთავედს აძლევენ ისრაელიანები, აბრაამის წიაღში თავად გასცა მეთავედი.

ბიბლიური ნარატივი მელქისედეკის შესახებ ცალსახად დადებითია. დაბადების წიგნში აღწერილი ყველა ნიშან-თვისება განსაკუთრებული დატვირთვის მატარებელია, რამაც საშუალება მისცა ადრეული ეპოქისა და შუა საუკუნეების ავტორებს, ის მესიანისტურ ფიგურად წარმოედგინათ. მელქისედეკის მიმართ არანაკლებ დიდ ინტერესს იჩენენ ბიბლიის თანამედროვე მკვლევრებიც – დასავლეთეუროპულ და ამერიკულ სამეცნიერო წრეებში ამ ბიბლიური პერსონის მიმართ ინტერესი დღესაც დიდია.

მარიკა გუჩუა

შოთა რუსთაველის ფრესკისმეტყველების ერთი საყურადღებო ასპექტისათვის

„ვეფხისტყაოსანი“, მსოფლიო ლიტერატურის შედეგრი, ქართული ეროვნული სულის, მსოფლმხედველობის განსახოვნებაა. მან ქართველი ხალხის გულში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა – პოემა ქართველს სახარების საპირწონედ მიაჩნდა და დღესაც მიაჩნია.

„ვეფხისტყაოსნის“ საკვლევადიებო საკითხთა შორის იმთავითვე განსაკუთრებული ინტერესის სფერო იყო პოემის ავტორის ვინაობის დადგენა. ამ საკითხზე ქართული მწერლობის (ლიტერატურული და საისტორიო თხზულებების) ნიმუშებსა და ზეპირსიტყვიერებაში (თქმულებებსა და ლეგენდებში) შემონახული ცნობების საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი საყურადღებო მოსაზრებაა გამოთქმული. პოეტის ვინაობის დასადგენად უმნიშვნელოვანესია იერუსალიმის ჯვრის მონასტერში დაცული ფრესკა და სააღაპე წიგნი, რომელთა მიხედვით რუსთაველის ბიოგრაფიის მნიშვნელოვან ნაწილს მოეფინა ნათელი. მათი შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ფრესკაზე გამოსახული პიროვნება ნამდვილად შოთა რუსთაველია და, ამავდროულად, ვაზირი მეჭურჭლეთუხუცესი. ვფიქრობთ, საჭიროა საკითხის უფრო ღრმად გაცნობა და დადგენა – თუ რაზე მეტყველებს თავად ფრესკა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია, შეძლებისდაგვარად, შეჯამდეს რუსთაველოლოგიაში არსებული არაერთგვაროვანი შეხედულებები შოთა რუსთაველის ვინაობის შესახებ და მათგან გამოიკვეთოს ყველაზე მისაღები ვერსია. რადგან ჩვენ არ ვართ შოთა რუსთაველის ვინაობის შესახებ რუსთაველის ეპოქისდროინდელი ცნობებით განებივრებულნი, გამოვიყენებთ არსებულ ლიტერატურულ და ფაქტობრივ მასალებს და მათზე დაყრდნობით ვიმსჯელებთ საკვლევე საკითხის შესახებ. ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდება იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ფრესკაზე ასახულ შოთა რუსთაველის ჩაცმულობაზე. ფრესკას განვიხილავთ დეტალურად, რაც გულისხმობს შოთას სამოსზე არსებული ორნამენტებისა და სპეციფიკური ელემენტების შესწავლა-განხილვას, მათ შედარებას სხვა მეფეებისა და ვეზირების სამოსთან საქართველოსა და საბერძნეთის სინამდვილეში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის სიღრმისეული ანალიზის საფუძველზე გამოვკვეთთ საკუთარ მოსაზრებას შოთა რუსთაველის ვინაობის შესახებ, კერძოდ, სამოსის სამეფო რეალიები პოეტის სამეფო ჩამომავლობას, ბაგრატიონობას ცხადყოფს.

ელიზა გუჭაბიძე

შუმერული თქმულება „გილგამეში და აგა“

ქალაქი ურუქი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი იყო ძველ აღმოსავლეთში. I დინასტიის მეფეთა სია ქალაქ ურუქში ლეგენდარულ მმართველებს ასახელებს, ესენია: ენმერქარი, ლუგალბანდა და გილგამეში. სწორედ ამ მეფეთა ირგვლივ ჩამოყალიბდა იმ ეპიკური ჟანრის ნაწარმოებები თუ თქმულებები, რომლებიც მნიშვნელოვან სალიტერატურო ტრადიციად გვხვდება უძველეს ურუქში. ამისი ნათელი მაგალითია ენმერქარის სახელზე შექმნილი „არათას ციკლი“, სადაც თავად მეფეა წარმოდგენილი შუმერთათვის დამწერლობის შემქმნელად, ენმერქარის ვაჟის, ლუგალბანდას, სახელზე

შეიქმნა ორი მნიშვნელოვანი ეპიკური ხასიათის ლეგენდა: „ლუგალბანდა უდაბურ მთებში“ და „ლუგალბანდა და ანზუდი“, ხოლო გილგამეშს დაუკავშირდა საგმირო ეპოსი და ხუთი შუმერული თქმულება: I – გილგამეში და აგა; II – გილგამეში და ზეციური ხარი; III – გილგამეშის სიკვდილი; IV – ინანა, გილგამეში და ალვის ხე; V – გილგამეში და ჰუვაავა. ეს თქმულებები ცალკეულ ეპიზოდებად გილგამეშის საგმირო საქმეების შესახებ. ხუთივე მათგანი სხვადასხვა დროსა და სივრცეში მიმდინარეობს და ემსახურება მეფე გილგამეშის საგმირო საქმეების წარმოჩენასა და გავრცელებას. ამდენად, ნათელი ხდება, რომ ურუქის ლიტერატურული ტრადიცია კარგად იცნობს ეპიკური ხასიათის წარმომოებებსა და თქმულებებს, რომლებიც თარიღდება ძვ.წ.-ის III ათასწლეულის I ნახევრით და თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერი გზით გადაეცემოდა, მხოლოდ ისტორიულ პერიოდში მოხერხდა მათი ლურსმნული ნიშნებით ჩანერა.

სწორედ შუმერული თქმულება „გილგამეში და აგა“ არის კვლევის მიზანი. ამ ტექსტში მოთხრობილია ქიშის ნახევრად ლეგენდარულ მმართველ აგასა და გილგამეშის დაპირისპირება, ბრძოლის ასპარეზი კი ქალაქი ურუქია, რომლის დაპყრობაც ქიშის მმართველს განუზრახავს. ტექსტი საინტერესოა ისტორიული და ლიტერატურული თვალსაზრისით, რამდენადაც მასში განვითარებული მოვლენები გვაძლევს ერთგვარ ცნობებს ქალაქ ურუქის უძველეს საზოგადოებაზე, შიდა ადმინისტრაციულ წყობასა და პანთეონზე. შუმერული თქმულება „გილგამეში და აგა“ ურუქის ლიტერატურული ტრადიციის, გილგამეშის ციკლის შუმერული სიმღერის თარგმანია, რომელიც შესრულებულია შუმერული ტექსტის პროფ. ჯერემი ბლექისეული რედაქციის ტრანსლიტერაციიდან. ამ თარგმანს ერთვის შუმერულ-ქართული ლექსიკონი, შესაბამისი ტექსტისა და ფრაგმენტების ნომრებით.

კვლევის შედეგად შესაძლებელია დადასტურდეს, რომ შუმერულ თქმულებებში გილგამეშის შესახებ წარმოდგენილი ლექსიკა მოიცავს სალიტერატურო ენის აქტიურ, სიტყვიერ მარაგს, სადაც დაცულია ძვ.წ.-ის III ათასწლეულში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური მოვლენების შედეგად ჩამოყალიბებული სიტყვები თუ ტერმინები. აგრეთვე ტექსტზე მუშაობამ დაადასტურა ძველ აღმოსავლეთში ჯერ კიდევ არქაულ ხანაში არსებული სალიტერატურო სიტყვიერი მასალის არსებობა, რომელიც ზეპირ-სიტყვიერი ხასიათსა იყო და თაობიდან თაობას გადაეცემოდა.

ეკა დაგაძე

ხელოვნებისა და ტრაგედიის ჭიდილი უილიამ შექსპირის პიესა „მეფე ლირში“

უილიამ შექსპირი, გენიალური ინგლისელი დრამატურგი და პოეტი, მსოფლიო დრამატურგიის ერთ-ერთი ყველაზე დიდებული წარმომადგენელი, მრავალი საუკუნის შემდეგაც არ კარგავს აქტუალურობას და დღემდე ერთ-ერთი იმ ავტორთაგანია, რომელსაც, გარდა ურიცხვი თეატრალური წარმოდგენისა, არაერთი ნაშრომი, კვლევა თუ მონოგრაფია ეძღვნება.

სტატიაში განხილულია უილიამ შექსპირის პიესა „მეფე ლირი“, კერძოდ კი ხელოვნებისა და ტრაგედიის ჭიდილი. შექსპირის ტექსტები, რომლებიც გაჯერებულია სხვადასხვა მხატვრული ხერხით (კერძოდ: მეტაფორებითა და ალუზიებით), მრავალ თავსატეხს უჩენს თანამედროვე მკითხველსაც კი. პიესა „მეფე ლირში“ მრავალი კონტრასტია: ერთი მხრივ, წარმოჩენილია გონიერებისა და რეგანის, ასევე ედმუნდის ბრძოლა ძალაუფლებისათვის, ხოლო, მეორე მხრივ, კორდელიასა და ედგარის თავგანწირვა თავიანთი მშობლებისათვის; ხილული ლირი, რომელიც სინამდვილეში ბრმაა და გლოსტერი, რომელიც სიმართლეს მხოლოდ დაბრმავების შემდეგ შეიცნობს; რთული მამაშვილური ურთიერთობები, რომლებიც მეფე ლირსა და მის ქალიშვილებს და გლოსტერსა და მის ვაჟებს აკავშირებს.

შესაბამისად, დაბნეული მკითხველისათვის მეფე ლირი, როგორც პროტაგონისტი, მთავარი გზამკვლევა, რომლის საშუალებითაც ვაკავშირებთ რეალურ და ირეალურ სამყაროს; მეფე ლირი თავის თავში წარმოსახულ ტრაგედიას ყველაფრის მომცველ ტრაგედიად გადააქცევს და კვანძის გახსნის დროს დროის ხმაური ერთიანად ჩაუვლის მას და პიესის დანარჩენ მონაწილეებსაც. ამრიგად, თითოეული მოქმედი პერსონაჟი, როგორც ცალკეული ერთეული და, ამასთანავე, ერთიანობის ნაწილი ებმება მარადიულ წრეში, რომელიც დაუსრულებლად ტრიალებს სამყაროს გარშემო.

ანი დათუნაშვილი

ვაჟა-ფშაველას „სინდისი“ – მორალურ-ზნეობრივი ასპექტები

ადამიანის რაობის ფილოსოფიური ამოცანა ადამიანის პირადყოფნისა და პიროვნებადყოფნის საფუძვლებისა და შესაძლებლობების საკითხია: ადამიანი იმდენადაა სპეციფიკური ფილოსოფიური პრობლემა, რამდენადაც იგი პირი და პიროვნებაა.

პიროვნების ღირებულებათა სათავეშია ადამიანის შინაგანი ხმა, სინდისი, რომელსაც ყველა თავისებურად აღიქვამს, ესმის და აცოცხლებს თავის არსში. ამ თემასთან დაკავშირებით, მოხსენებაში განვიხილავთ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებიდან პოემა „სინდისს“, პარალელებს გავავლებთ პოემებთან: „ალუდა ქეთელაურსა“ და „სტუმარ-მასპინძელთან“.

პოემა „სინდისში“ ნათლად ჩანს, რომ სიმართლის ხმა ადამიანში გაქცევას ცდილობს ცოდვიანი დედამიწიდან, რადგან იმდენად მძიმეა, ბოროტია, დაუნდობელია სამყარო, რომ არ უნდა აქ გაჩერება, ინდივიდი ილტვის, განერიდოს არსებულ რეალობას. შურით სავსე კაენის გულმა მოკლა აბელი, საკუთარი ძმა, აბელის სისხლი იქცა დიდ ტბად, რომელიც ცაში აიზიდა და იქიდან მოედო მთელს ქვეყანას, როგორც ნისლი. „ხმელეთი სრულად ზღვაა სისხლისა“.

სწორედ აქედან იწყება შინაგანი ხმის ძახილი კაენისადმი, რომელიც დამნაშავეს, ძმის მკვლელს, სულს უწრიალებს, მოსვენების საშუალებას არ აძლევს, სიმშვიდეს უნგრევს. იმდენად მძიმეა დედამიწა, რომ ეს შინაგანი სულიერი ხმა, რომელიც, ვფიქრობ, საძირკველია პიროვნებად ყოფნისა და ადამიანობის ფენომენის შენარჩუნებისა, „თმა-განენილი“ და „ნაცემ-ნაგვემია“. ამავე ხაზის გაგრძელებაა პოემები: „სტუმარ-მასპინძელი“ და „ალუდა ქეთელაური“, სადაც მორალურად სრულყოფილი გმირი ვერ პოულობს საზოგადოებაში დასაყრდენს.

მოხსენებაში ვისაუბრებთ სინდისის მორალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებზე ვაჟა-ფშაველას პოემების მიხედვით.

თამარ დუდაშვილი თამარ მეტრეველი

სიყვარულის სხვადასხვაგვარი გააზრება ვასილ ბარნოვის მოთხრობებსა და რომანებში

ვასილ ბარნოვს, როგორც შემოქმედს, უპირატესად, ისტორიული რომანებით ვიცნობთ, მაგრამ მის მხატვრულ ტექსტებში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ მოთხრობებს, რომლებშიც თავს იჩენს მწერლის შეხედულებები ისეთ ფილოსოფიურ საკითხებზე, როგორიცაა „სულთა გრადაცია“. ის ინტერესდება არა მარტო ისტორიული, ეროვნული თუ სოციალური თემატიკით, არამედ ამ ყველაფერს ფილოსოფიურ ჭრილში იაზრებს, იცავს ტრადიციებს, თუმცა, ამავე დროს, გვიჩვენებს განსხვავებულ და საკამათო პოზიციას როგორც რელიგიურ, ისე სიყვარულის თემებზე.

მისი აზრით, სამყარო არაფერია, თუ არა ბრძოლა კეთილსა და ბოროტს შორის, აქ კი უდიდესი როლი აქვს როგორც ადამიანს, ისე ბედისწერას. ყოველივე ეს ვასილ ბარნოვმა დაუკავშირა იმ უკვდავ გრძნობას, რომელიც ადამიანის გარდაცვალების შემდეგ სულთან ერთად უკვდავი რჩება: „მასხოვს მისი ხმა, მისი თვალეები. შევხვდები თუ არა, მაშინვე ვიცნობ“ („ტკბილი დუდუკი“). ეს მარადიული გრძნობა სიყვარულია, რომელიც განსხვავებულადაა წარმოდგენილი მის მოთხრობებსა და რომანებში. მოთხრობებში მკვეთრად ჩანს, რომ ეს უმაღლესი გრძნობაა ყველა გრძნობას შორის და ორივე სამყაროში დაჰყვება ადამიანის სულს; მისი პოვნის იმედით შესაძლებელია, მთელი ცხოვრება გავიდეს, რაც ჩანს მოთხრობა „ტკბილ დუდუკში“. წინა ცხოვრებაში ქედმაღლობით სიყვარულზე უარის თქმის გამო, სასჯელი შესაძლოა, სულთა გრადაციისას მიიღოს ადამიანმა, რაც იკვეთება მოთხრობა „ყვავილებში“. რომანებში („მიმქრალი შარავანდედი“, „ტრფობა წამებული“) პერსონაჟები არჩევანს აკეთებენ ამქვეყნიურ მოვალეობებსა და სიყვარულს შორის: მოვალეობაზე დამყარებული კავშირი ყოველთვის ნაძალადევი და უფერულია. ის აჭკნობს ნამდვილ გრძნობას და ამ ყველაფერს პიროვნულ

კრიზისამდე მივყავართ. სწორედ ასე მოხდა აშოტ კურაპალატის შემთხვევაში, ადამიანთან, რომელიც ვალდებულებებსა და სასულიერო ნოდებს ვერ უპირისპირდება.

„მიმქრალი შარავანდედის“ მთავარი გმირი თინათინი პატივმოყვარეობასა და დიდების სურვილს ანიჭებს უპირატესობას და უკუაგდება ნამდვილ სიყვარულს. მისგან განსხვავებით მისა მოთხრობა „ტკბილ დუდუკშინ მთელი ცხოვრება ჭეშმარიტ სიყვარულს დაეძებს. მას სწამს, რომ წინა ცხოვრებაში განცდილ გრძნობას სააქაოშიც შეიგრძნობს. სიყვარული თუ ერთი გმირისთვის ცხოვრების აზრის მიმცემია, მეორე მას ტკივილად აქცევს და ამით საკუთარ სამყაროს ანგრევს.

რომანებშიც და მოთხრობებშიც ეს ყოველივე განსხვავებულად აქვს წარმოდგენილი მე-20 საუკუნის ერთ-ერთ დიდ პროზაიკოსს, რომლისთვისაც სიყვარული ხიდია ღმერთსა და ამქვეყნიურ სამყაროს შორის.

გიორგი ვახტანგაშვილი

მეფუტკრეობა საქართველოში (ისტორიული ეთნოლოგიის პერსპექტივიდან)

მეფუტკრეობა ქართულ ყოფასთან მჭიდროდ დაკავშირებული სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი სოფლის მეურნეობის დარგია, რომლის შესახებაც ცნობებს ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ავტორებთან ვხვდებით. წარმოდგენილ ნაშრომში მოკლედაა მიმოხილული ის მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროები და სამეცნიერო შრომები, რომლებიც ქართული მეფუტკრეობის, მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენებისა თუ განვითარების გზის შესახებ გვანვდის ინფორმაციას.

ნაშრომის მიზანია ისტორიული ეთნოლოგიის პერსპექტივიდან, ისტორიული წყაროებისა და ეთნოლოგიური ნაშრომების მასალის საფუძველზე, მოკლედ იქნეს მიმოხილული მეფუტკრეობის, როგორც სოფლის მეურნეობის დარგის, გავრცელების თავისებურებანი, ამ კუთხით დაგროვილი სამეურნეო გამოცდილება და მასთან დაკავშირებული რწმენა-წარმოდგენები საქართველოში. ამ მხრივ, ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა ალექსი რობაქიძის მიერ შესწავლილ ერთ-ერთ ჩვეულებაზე, რომელიც, მისი აზრით, ტრადიციული ქართული რელიგიური სისტემის ერთ-ერთ პრაქტიკულ გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს. გარდა ამისა, მოკლედ იქნა მიმოხილული საქართველოს სხვადასხვა ეთნოგრაფიულ მხარეში დაფიქსირებული ფუტკრის მფარველი ღვთაებებისა თუ რელიგიური რიტუალების ზოგადი ფორმა.

ყურადღება გამახვილდა მე-19 საუკუნეში მეფუტკრეობის დარგში მომხდარ ცვლილებებზე, რომლებმაც ქართული ფუტკრის შესახებ საჭირო ინფორმაციის მოძიება და დამუშავება განაპირობა. ამ პერიოდის შემდეგ საქართველოში ფუტკრის მოვლისა და მეფუტკრეობის პროდუქტების შესახებ არსებული ცოდნა, სამეურნეო პრაქტიკასთან ერთად, ძირეულად შეიცვალა.

ნაშრომი სრულდება ეთნოგრაფიული კვლევის მეთოდებით მოძიებული მასალის მიმოხილვით, რომელიც გარკვეულ წარმოდგენას ქმნის თანამედროვე საქართველოში მეფუტკრეობის განვითარების ზოგად ფორმებზე, მეფუტკრეობის პროდუქტების ბაზარზე რეალიზაციის თავისებურებებსა და ამ დარგის სამომავლო განვითარების პერსპექტივებზე.

სალომე თალაკვაძე

კლასიკური პერსონაჟის დეკონსტრუქცია

(ილია ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძის სახე ავა მორჩილაძის „წიგნში“)

პოსტმოდერნიზმისათვის ნიშანდობლივია კლასიკური ტექსტებისა თუ ცალკეული კლასიკური პერსონაჟების დეკონსტრუქცია-რეკონსტრუქცია. ამ დროს კლასიკური ტექსტი თანამედროვე კონტექსტისა თუ ავტორისეული თვალთახედვის მიხედვით გაიზარება. მხატვრულ ტექსტი პოსტმოდერნისტულ კონტექსტში აღარაა ავტორიტეტული. იგი თავისუფალია ყოველგვარი „პასუხისმგებლობისგან“

და, ფაქტობრივად, მასობრივი ხელოვნების ნიმუშებად მიიჩნევა. პოსტმოდერნიზმში კლასიკური ხელოვნება წარმოჩნდება როგორც დეცენტრალიზებული და დენატურალიზებული (ბელა ნიფურია); „გადანერა“ რაიმეს სიტყვასიტყვით გადაღებას არ ნიშნავს. შესაბამისად, ამ პერიოდის ლიტერატურაში: კლასიკური სიუჟეტები, პერსონაჟები თუ მხატვრული სახეები სახეცვლილი, პაროდირებული, ირონიზებული სახითაა წარმოდგენილი, თავს იჩენს თამაშის ფაქტორიც. ამგვარად იქმნება ახალი, მთავარი შინაარსისაგან დაცლილი ტექსტები. იდეა დარჩენილია პირველსახის გარეშე.

პოსტმოდერნიზმში ასახვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხერხია ირონია. ასეთი ტიპის მხატვრული ნაწარმოებში თავს იჩენს ამგვარი დამოკიდებულება საკუთარი ესთეტიკური თუ სააზროვნო სისტემების მიმართ. პოსტმოდერნისტულ ლიტერატურაში ტექსტების მხატვრული მთლიანობის შენარჩუნების აუცილობლობა აღარ არის, ამ ეპოქის ტექსტებში დარღვეულია ტრადიციული მიმართებანი ავტორსა და ტექსტს, მკითხველსა და ტექსტს შორის.

პოსტმოდერნიზმისთვის დამახასიათებელი გადათამაშებული გამომსახველობითი საშუალებების წარმოსაჩენად ყურადღებას შევამჩნევთ აკა მორჩილას მოთხრობების კრებულზე – „ნიგნი“, რომელშიც ქართული ლიტერატურის ცნობილ პერსონაჟებს ვხვდებით. მოხსენების მიზანია, აკა მორჩილას „ნიგნისა“ და ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანის“ მთავარ პერსონაჟს ლუარსაბ თათქარაძის სახის საფუძველზე ვაჩვენოთ, როგორ შეიძლება იცვალოს სახე კლასიკურმა პერსონაჟმა პოსტმოდერნისტული ტექსტის სიბრტყეზე.

ანა თვალაგაძე

კლასიკური ტექსტის დეკონსტრუქციის პრობლემა პოსტმოდერნიზმის მხატვრულ-ესთეტიკურ სივრცეში

(შარლ პეროს „ლურჯწვერასა“ და ამელი ნოტომის „ლურჯწვერას“ მაგალითებზე)

ჩვენი ნაშრომის მიზანი ორი სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ნაწარმოებთა ტიპოლოგიური კვლევაა. მოხსენებაში გაანალიზებულია, თუ რა ცვლილებებს განიცდის შარლ პეროს ცნობილი ზღაპარი „ლურჯწვერა“ თანამედროვე ბელგიელი მწერლის, ამელი ნოტომის, ამავე სახელწოდების ტექსტში. ერთი მხრივ, გვაქვს ზღაპარი, რომელიც კლასიკური ზღაპრის ფორმულას უცვლელად მისდევს, მეორე მხრივ კი, კლასიკური პოსტმოდერნისტული ტექსტი.

ამელი ნოტომის პერსონაჟები რომანში სხვადასხვა კუთხით არიან წარმოდგენილი და მკითხველს საშუალება ეძლევა, მწერლისგან დამოუკიდებლად, საკუთარი წარმოდგენა შეიქმნას მათზე. ჰიპერტექსტში ბევრად უფრო დიდი ადგილი ეთმობა პირად გრძნობებსა და წარსულზე საუბარს, ვიდრე პეროს ჰიპოტექსტში.

ამელი ნოტომის რომანში ბუნებრივადაა შემოტანილი ოცდამეერთე საუკუნის აქტუალური პრობლემები – ძალადობა, სისასტიკე. მწერალი არც ფემინიზმის საკითხებს უვლის გვერდს.

საყურადღებოა, რომ რადიკალურად განსხვავებულ გზას გადიან პეროსა და ნოტომის „ლურჯწვერები“, რასაც, ვფიქრობთ, ჟანრების სპეციფიკაც განაპირობებს.

მარიამ თვალაგაძე

პოლოგოსტის პერიოდისა და მისი დასრულების შემდგომი ხანის იდეოლოგია გერმანულ კინოში

ინფორმაციის მიწოდების ფორმას, რომელიც გულისხმობს ნებისმიერი საკომუნიკაციო ფორმის გეგმაზომიერ გამოყენებას ადამიანთა გონებაზე, ემოციებსა და ქცევებზე ზემოქმედების მიზნით, პროპაგანდა (ლათ. Propaganda – გავრცელების ქვემდებარე) ეწოდება. პროპაგანდა – პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ინსტრუმენტი – მიზნად ისახავს შექმნას და განამტკიცოს ისეთი საზოგადოებრივი

აზრი, რომელიც ხელსაყრელი იქნება პროპაგანდისტისთვის და ხელს შეუწყობს მისი პოლიტიკის განხორციელებას. იგი მაქსიმალურად დამაჯერებელი უნდა იყოს, ამასთანავე განწირულია წარუმატებლობისთვის, თუკი გარეგნულად ჩანს, რომ პროპაგანდაა. იდეოლოგია, ისევე, როგორც ხელოვნების ნებისმიერ დარგზე, ხშირად უდიდეს გავლენას ახდენს კინოსა და, ზოგადად, კინოს არსზე. გასული საუკუნე ნათელი მაგალითია იმისა, თუ როგორ აისახება იდეოლოგიის სახეცვლილებები კინემატოგრაფიაზე. წინამდებარე ტექსტში განვიხილავ, როგორ განსაზღვრავდა XX საუკუნეში გერმანიაში მიმდინარე პროცესები კინოს არსს. უფრო კონკრეტულად კი შემოგთავაზებთ გერმანული კინოს წარატივებს ანტისემიტურ იდეოლოგიასთან მიმართებით. ჩემი მიზანია, ცხადვყო ის მნიშვნელოვანი განსხვავებები, რომლებიც წარმოჩნდება ჰოლოკოსტის ეპოქასა (1933-1945) და მის შემდგომ პერიოდში გადაღებულ გერმანულ ფილმებს შორის. შედარებისთვის ავირჩიე ორი ფილმი: „ებრაელი ზუსი“ („Jud Süß“) და „მატყუარა იაკობი“ („Jakob der Lügner“). პირველი მათგანი 1940 წლის ნამუშევარია და, ბუნებრივია, ანტისემიტის პროპაგანდას ემსახურება. შეიძლება ითქვას, ესაა ყველაზე წარმატებული ანტისემიტური ფილმი. სხვა ფაქტორებთან ერთად, მიმაჩნია, ეს განპირობებულია იმით, რომ ფილმი ისტორიულ ფაქტებზეა დაფუძნებული; მეორე მათგანი კი 1974 წელს სრულიად სხვა მოტივითაა გადაღებული. თუ „ებრაელი ზუსი“ ებრაელი მჩაგვრელის, გერმანელი კი ჩაგვრულის როლშია, „მატყუარა იაკობი“ ნაციზმის მსხვერპლი ებრაელი რასაა. ფილმში კარგად არის ნაჩვენები, თუ რა ხდებოდა ებრაელების თავს ნაცისტურ-ფაშისტური რეჟიმის დროს: ჩაგვრა, შიმშილი, გაუსაძლისი შრომა, შიში, დისკრიმინაცია, უიმედობა. ამ პრეზენტაციაში სწორედ ზემოთ აღნიშნულ თემებს შევხებით.

ნინო კაკალაშვილი

ცივჩაღთა საბრძოლო ტაქტიკა XII-XIV საუკუნეებში

ცივჩაღები, როგორც პროფესიონალი მეომრები, მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ საქართველოს სამხედრო-პოლიტიკურ სფეროში XII-XIV საუკუნეებში. შესაბამისად, საინტერესოა მათი საბრძოლო ტაქტიკა, რაც განაპირობებდა მათ წარმატებას ბრძოლის ველზე.

ბრძოლები ცივჩაღთა მონაწილეობით აღწერილია როგორც ქართულ, ისე უცხოურ წყაროებში. ამ წყაროების ცნობებზე დაყრდნობით, შევეცდებით, წარმოვაჩინოთ ცივჩაღთა ტაქტიკა. ცივჩაღები კარგად იცნობდნენ მომთაბარეთა საბრძოლო ტაქტიკას, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი, რომ ისინი პროფესიონალი მშვილდოსნები იყვნენ, ყველა კატეგორიის მეომარს ჰქონდა მშვილდ-ისარი და ბრძოლის დროს მას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, განსაკუთრებით, უკან დახვევის დროს, როდესაც ცივჩაღებს თავისუფლად შეეძლოთ, ცხენის მობრუნების გარეშე, მდევრისთვის ესროლათ ისრები.

ცივჩაღთა საბრძოლო ტაქტიკის ნაწილი იყო სწრაფი, მცირე მასშტაბის ლაშქრობები, რომლებიც მარბიელ ხასიათს ატარებდა. აქ, ძირითადად, მონაწილეობდა მსუბუქად აღჭურვილი კავალერია. გენერალურ ბრძოლაში მონაწილეობდნენ როგორც მძიმედ შეჭურვილი, ისე მსუბუქად აღჭურვილი მეომრები. ცივჩაღები კარგად ფლობდნენ სამხედრო ხელოვნებას, როგორც ხელჩართულ, ასევე შორ მანძილზე ბრძოლაში.

ცივჩაღები, აგრეთვე, მიმართავდნენ მტრის შეტყუებას თავიანთთვის ხელსაყრელ პოზიციაზე. ისინი მტრის მოსაჩვენებლად უკან იხევდნენ და როდესაც მტერს ეგონა, რომ დაამარცხა ისინი, ცივჩაღები უკან მიუბრუნდებოდნენ და მათ უერთდებოდათ ცივჩაღთა სხვა რაზმებიც.

საინტერესოა, აგრეთვე, იმის აღნიშვნაც, თუ როგორ უმკლავდებოდა მტერი ცივჩაღთა ძალებს და რა ტაქტიკას იყენებდნენ მათ მოსაგერიებლად.

ანანო კინწერაშვილი

ეპიფანიის მხატვრული დანიშნულება მოდერნისტულ ლიტერატურაში

ადამიანის ცხოვრება მთავრდება ხშირად ისე, რომ მას ის არც დაუწყია. უცებ გაიღვიძებ და აღმოჩნდება, რომ დრო ამოიწურა, თუმცა როდის გავიდა ის, არ გავიგია. მეოცე საუკუნემ, დატვირთულმა ინდუსტრიული, სოციალური, დრამატული მსოფლიო მასშტაბის ცვლილებებით, ადამიანის არასახარბიელო და განწირული მდგომარეობა იმდენად აშკარა და ნათელი გახადა, რომ მოდერნიზმმა, მგრძობიარემ ჭეშმარიტი ჰუმანური წუხილისადმი, თუ რა ადგილი უკავია ან შეუძლია ეკავოს ადამიანს მუდმივობაში, საკრალურ დროსა და სივრცესთან მიმართებით, და მისწრაფულმა უგვანო და უიმედო, მაგრამ უტყუარ და, შესაბამისად, ერთადერთი შესაძლო, ლამაზი სიმართლისადმი, ადამიანის სწრაფვა *nunc stans*-ისადმი, ანუ მუდმივობის ანმეოს შეგრძნებაში ან შეჩერებაში, მომართა მთელი თავისი ინტერესის ვექტორი და ეს არის ის ლაიტმოტივი და ლერძი, რის ირგვლივაც დანარჩენი თემები – როგორც გაუცხოება ან კომუნიკაციის შეუძლებლობა, ღირებულებების დაკნინება და რელიგიის დაცინვაა მომართული – სხვადასხვა კუთხით აშუქებენ რეალურად ერთ და უსასოო აღმოჩენას, რომელიც ყოველ საუკუნეში ხელახლა ხდება აღმოჩენა: რა არის ცხოვრება და გვრჩება თუ არა ხელის გულში რამ, თუ ის მთლიანად თითებშია ინჭრება.

ამ მოხსენებაში მინდა ვისაუბრო იმ მოდერნისტულ ქრონოტიპზე, რომელსაც ჯოისი „ეპიფანიას“, ვულფი „ყოფილების მომენტს“, ფოლკნერი „გაყინულ წამს“ და ტომას ელიოტი „უძრავ წერტილს“ უწოდებს – იმ „*nunc stans*“, რომლის აღქმასა და შეცნობაში ტომას ელიოტის მიერ აღწერილი „*distracted from distraction by distraction*“ მდგომარეობა გვიმლის ხელს. ეს არის ის, რაც უდროოდ დროული და თემატურია ყველგან და ყოველთვის, და პასუხი, მისი მოჩვენებითი ვარიაციულობის მიუხედავად, არასდროს არ გვაქვს.

ალექსანდრე კუპრეიშვილი

მიმართება რუსულ ფორმალისმსა და ფუტურისტულ ესთეტიკას შორის

მოხსენების მიზანია რუსული ფორმალისტური მეთოდოლოგიისა და ადრეული ფუტურისტული ესთეტიკის ურთიერთმიმართების ანალიზი. ამ ორი სკოლის თეორიულ ნააზრევზე დაკვირვებით შეგვიძლია იმის თქმა, რომ ფუტურისტებმა ფორმალური სკოლის რამდენიმე მნიშვნელოვანი კონცეფციის ჩამოყალიბებაში საკმაოდ დიდი როლი შეასრულეს. ფუტურისტი თეორეტიკოსებისათვის, კრუჩინისისა და ხლენიკოვისთვის, პოეტური სიტყვა არ იყო გარკვეული აზრის გადაცემის ხერხი. მისი დანიშნულება არც „სხვა სამყაროს“ ასახვა იყო, როგორც ეს სიმბოლისტებს მიაჩნდათ. პოეტური სიტყვა ფუტურისტულ ესთეტიკაში არის თვითმყოფადი „საგანი“ – ნიშანი, რომლის დანიშნულება არ არის რეფერენტისა და აღმნიშვნელის გადმოცემა. „თვითმყოფადი სიტყვის“ ასეთმა ექსპლიკაციამ დიდი როლი შეასრულა ფორმალისტების შეხედულებაზე ლიტერატურის კრიტიკისა და თეორიის თაობაზე. ბორის ეიხენბაუმი საკუთარ მეთოდს „მორფოლოგიურს“ უწოდებდა. კრიტიკოსმა უნდა აღწეროს, თუ როგორაა აგებული ტექსტი და არა მისი შინაარსობრივ-იდეური მხარე. „პოეზია არის თვითმყოფადი სიტყვის გაფორმება... თუ მეცნიერებას ლიტერატურის შესახებ არსებობა სურს, მან დაკვირვების ერთადერთ გმირად მხატვრული „ხერხი“ უნდა გამოაცხადოს.“ – რომან იაკობსონი. კიდევ ერთი ასპექტი, რაშიც ეს ორი სკოლა ერთმანეთს ემთხვევა, არის „ავტომატიზაციის“ გადალახვის სურვილი. ფუტურისტების მიერ კანონიზებული ფორმების დამსხვრევის, დაშტამპული სიტყვებისა და სინტაქსის „შერყევის“ მოწოდებებმა საკმაოდ დიდი როლი შეასრულეს, ერთი მხრივ, ცენტრალური ფორმალისტური ცნების „გაუცნაურების“ (*Остранение*), ხოლო, მეორე მხრივ, ჟანრის თეორიის ჩამოყალიბებაში.

გიორგი მარკობაშვილი

მატერიის გაგება არისტოტელეს ფილოსოფიაში

მოსხენებაში განხილულია მატერიის არისტოტელური გაგება, რომელიც ხშირად ყოფილა გაუგებრობისა და კამათის საგანი ფილოსოფიის ისტორიაში. ჯორჯ ბერკლის დაკვირვებით, მისი თანამედროვეები დაშორდნენ მატერიის ანტიკურ გაგებას და მას მიანიჭეს საპირისპირო მნიშვნელობა: თუ თანამედროვე ადამიანი მატერიას უწოდებს იმას, რაც ფიზიკურია, რაც შეგრძნებებში მოგვეცემა და რაც სივრცეში განფენილია, არისტოტელესთვის პირიქით, ეს არის ის, რაც შემეცნების სინათლეში არასდროს არ შემოდის, რასაც პოზიტიურად ვერასდროს ვერ დავახასიათებთ, რაც უჩინარია, როგორც შეგრძნებისთვის, ისე განსჯისთვის. მატერია არის ის, რასაც არ გააჩნია გარკვეულობა, ანუ არ ახასიათებს თვისებრიობა, რაოდენობრიობა და ა.შ. ის არსებობს არა როგორც აქტუალობა, არამედ მხოლოდ როგორც პოტენცია. საგანი, არისტოტელეს ჰილომორფისტული თეორიის მიხედვით, ფორმისა და მატერიის ერთიანობაა, თუმცა მხოლოდ ფორმა არის შემეცნებადი, მატერია კი ყოველთვის შემეცნების გარეთ რჩება.

მოსხენება, ძირითადად, ეყრდნობა არისტოტელეს „ფიზიკას“ და „მეტაფიზიკას“. არის მცდელობა, განისაზღვროს: რა არის მატერია, როგორია მისი მიმართება ფორმასთან; აქვს თუ არა ამ ცნებას, როგორც რელატიური, ისე აბსოლუტური გაგება არისტოტელესთან. თუ მატერია შემეცნებაში არასდროს არ შემოდის, რის საფუძველზე ხდება მასზე მითითება და რა აუცილებლობამ აიძულა არისტოტელე, რომ ის დაეშვა. ასევე იქნება ცდა მატერიის არისტოტელურ და მოდერნულ გაგებასთან შედარება-შეპირისპირებისა.

გიორგი მაჭარაშვილი

ჯონ სტაინბეკის საქართველო

ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ცნობილი ამერიკელი მწერლის, ჯონ სტაინბეკის, მოგზაურობას საქართველოში. 1947 წელს, როცა ახალი დამთავრებული იყო მეორე მსოფლიო ომი, მომავალი ნობელიანტი მწერალი საბჭოთა კავშირს ეწვია. მას თან ახლდა უნგრელი ფოტოგრაფი რობერტ კაპა. მოგზაურობმა მოინახულეს მოსკოვი, კიევი, მაშინდელი სტალინგრადი, უკრაინის რამდენიმე სოფელი, აგრეთვე, თბილისი, გორი და ბათუმი. მოგზაურობა, რომელიც არ ყოფილა განპირობებული მხოლოდ უცხო ქვეყნის დათვალიერების სურვილით, ორ თვეს გაგრძელდა, მისი შედეგი გახლდათ 1948 წელს სტაინბეკის მიერ გამოქვეყნებული ნაწარმოები. „რუსული დღიური“ – ასე უწოდა მან წიგნს, რომელშიც თავისი შთაბეჭდილებები ამერიკელ მკითხველს გაუზიარა.

ამ მოხსენებაში სწორედ ზემოთ ხსენებულ ნაწარმოებზე დაყრდნობით, შევეცდებით, მიმოვიხილოთ, ერთი მხრივ, ჩვენი ქვეყნის ხსენებულ ქალაქებში ჯონ სტაინბეკის მოგზაურობის ისტორია, ხოლო მეორე მხრივ, წარმოვაჩინოთ მისი თვალთ დახახული საქართველო მე-20 საუკუნის 40-იან წლებში.

საინტერესოა, თუ რა იყო ამ საკმაოდ უჩვეულო და სარისკო მოგზაურობის მიზანი? საქმე ის გახლდათ, რომ, მართალია, იმ პერიოდში ამერიკაში ბევრი ინერებოდა საბჭოთა კავშირის შესახებ, მაგრამ არავინ თითქმის არაფერი იცოდა ამ უზარმაზარ სახელმწიფოში შემავალი ერების, უბრალო მოქალაქეების ცხოვრების შესახებ. არც მათი ყოველდღიური ყოფის ამსახველი ფოტოები იბეჭდებოდა არსად. აქედან გამომდინარე, სტაინბეკსა და კაპას სურდათ, ამერიკელი საზოგადოებისთვის საბჭოთა კავშირი განსხვავებული მხრიდან, არაპოლიტიკური კუთხით ეჩვენებინათ, მიეწოდებინათ ინფორმაცია იქ მცხოვრებ ადამიანებზე – როგორ ჭამდნენ, რა ეცვათ, რითი ერთობოდნენ, რაზე ლაპარაკობდნენ და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ საქართველომ განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკელ მოგზაურებზე. მწერალი ამას რამდენჯერმე უსვამს ხაზს.

სტაინბეკის ნაწარმოები საკმაოდ საინტერესო ისტორიულ, გეოგრაფიულ თუ ეთნოგრაფიულ ცნობებს შეიცავს საქართველოს შესახებ. მან ამერიკელებს, ფაქტობრივად, „დაუხატა“ ამ ქვეყნის ზოგადი სურათი. ეჭვგარეშეა, რომ „რუსული დღიურში“ გადმოცემული ცნობები საქართველოს შესახებ ამერიკელებს შესაბამის შთაბეჭდილებებს ჩამოუყალიბებდა და, ალბათ, სამუდამოდც გაიდგამდა ფესვებს მათ მეხსიერებაში.

თეონა მახარაშვილი

ნესტან-დარეჯანისა და ვისის წერილები

„ვისრამიანი“ შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწარმოებია. იგი სატრფიალო-სამიჯნურო რომანია, რომელშიც გაცხადებულია ყოფიერი სიყვარულის ელემენტები, ხოლო „ვეფხისტყაოსანის“ სიყვარულის ამალეებულ იდეალებზე გვესაუბრება. პომის საყრდენი მიჯნურობაა, ნესტან-დარეჯანისა და ტარიელის ტრფობა კი ჭეშმარიტი სიყვარულის ნათელი გამოხატულებაა. საკონფერენციო თემის მიზანია, წარმოვაჩინო ამ ორი ნაწარმოების ცენტრალურ გმირთა მსგავსება-განსხვავებები იდეურ-მსოფლმხედველობრივ კონტექსტში, გმირთა ესთეტიკური აზროვნების ურთიერთგანსხვავებული ნაკადი, რაც ნათლად გამოჩნდა მათ წერილებში, რომლებსაც ისინი თავიანთ მიჯნურებს უგზავნიან.

ვისი – მიტოვებული, ცუდად მოლორებული, განადგურებული ქალის სახეა, რომელმაც ცხოვრების საზრისი დაკარგა და რამინის წასვლით ამ ყოფის ფერადოვნებაც გაქრა. ამიტომ იშვიათი მეტაფორული სახეებითა და აზროვნებით გაჯერებული მისი 10 წერილი, რომელთა ადრესატია რამინი, აღსავსეა მიჯნურისადმი თხოვნით, ვედრებით, დაუბრუნდეს ვისის. მისგან განსხვავებით, ნესტან-დარეჯანი მაღალ-ზნეობრივ იდეალებზე აღზრდილია, მისი მსოფლმხედველობრივი სამყარო არსებითად განსხვავდება ვისისაგან; თუმცა მათ აქვთ საერთო მახასიათებლებიც – ესაა გაუსაძლისი ტანჯვა და სატრფოსგან მოშორებით ყოფნა. ცხადია, მიზეზები ტანჯვისა ერთობ განსხვავებულია, ორივე პერსონაჟის ხასიათის სხვადასხვაობა თვალნათლივ შეინიშნება, გარდა ამისა, ღირებულებათა სისტემაზეც სხვაგვარია.

ვისი მოლაღატე რამინს დაბრუნებას სთხოვს, მას ბრძოლის ველიდან გამოქცეული სატრფოს დანახვა ძალიან ახარებს; ნესტანი კი პირიქით, სიყვარულის დასამტკიცებლად ტარიელს გმირული საქციელის ჩადენას სთხოვს: „ბედითი ბნედა, სიკვდილი რა მიჯნურობა გგონია, სჯობს საყვარელსა უჩვენე საქმენი საგმირონია“. განსხვავებული ეთიკურ-ზნეობრივი კოდექსი აქვს ორივეს.

საინტერესოა ასევე წუთისოფლისადმი დამოკიდებულება გმირებისა – ნესტანისთვის მოცემული რეალობა განაპირობა ავმა ბედმა, რომელიც გმირებისგან დამოუკიდებლად მოქმედებს, ხოლო ვისისთვის არსებული რეალობის ავტორი რამინია, რომლის ეგოიზმით სავსე ქცევამ ის მოცემულობა შეუქმნა ვისის, რამიც ის ცხოვრობს და იტანჯება.

ლალი მექერიშვილი

რომი და კლიენტი ქვეყნები – იბერიის სამეფო ახ. წ-ის II ს.

ახ. წ-ის II საუკუნეში რომის იმპერიას პირდაპირ თუ ირიბად განაგებს ულპიუსების საიმპერატორო გვარი, რომლის წარმომადგენლებიც (ისევე როგორც ფლავიუსები) რომის „მეგობარი და მეკავშირე“ (კლიენტი) ქვეყნების მეფეებსა და დიდგვაროვნებს დამსახურების მიხედვით ანიჭებენ რომის მოქალაქეობას და საკუთარ გვარს. მაგალითად: ბოსფორის სამეფო, ქართლი.

იბერია (ქართლის სამეფო) ახ. წ-ის I–III სს.-ში, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, რომის იმპერიის სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოექცა. იბერიაზე გადიოდა „აბრეშუმის გზის“ მნიშვნელოვანი სავაჭრო კომუნიკაციების გზაჯვარედინები. მათი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, კეთილმოწყობა რომის იმპერიის პოლიტიკურ-ეკონომიკურ ინტერესებში შედიოდა. გარდა ამისა, „რომაელი ხალხისა და კეისრის მეგობრად“ სახელდებული იბერები მონოდებულნი იყვნენ, უზრუნველყოფით იმპერიის საზღვრების შორეული მისადგომების უსაფრთხოება; გამოეყვანათ დამხმარე ჯარები და ჩაეკეტათ ჩრდილოკავკასიის უღელტეხილები ნომადების შემოსევებისაგან. სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, რომი ყველანაირად ცდილობდა, რაც შეიძლება ძლიერი სოციალური დასაყრდენი ჰქონოდა ახალ პროვინციებსა და მეზობელ კლიენტ ქვეყნებში. აფართოებდა რა მომხრეთა რიცხვს, ისინი იმპერიის საყრდენ ძალად მოიაზრებოდნენ ამ ქვეყნებში.

ნაშრომში ისტორიულ წყაროებსა და არქეოლოგიურ მასალაზე დაყრდნობით, შესწავლილია რომსა და იბერიას შორის არსებული პოლიტიკური ურთიერთობა ახ. წ-ის II საუკუნეში – პერიოდში, როდესაც იბერია საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო იყო. გაანალიზებულია იბერიის მეფის ფარსმან II-ის საგარეო პოლიტიკა რომის იმპერატორებთან – ადრიანესთან, ანტონინუს პიუსთან – მიმართებით. მიუხედავად

იმისა, რომ ამ პერიოდში იბერია რომის მოკავშირეა, ფარსმან ქველი საკუთარი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებს, ცდილობს დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებას და რომსაც კი უპირისპირდება საჭიროების შემთხვევაში...

წერილობითი წყაროებითა და უკანასკნელ წლებში საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლენილი არტეფაქტების შესწავლის შედეგად დგინდება, თუ რა მაღალ დონეს მიაღწია ახ.წ.-ის I-III სს.-ში ქართლის მმართველი წრეების რომაულ სამყაროსთან ურთიერთობამ, კერძოდ, იბერიის სამეფო გვარსა და რომის ნობილიტეტს შორის არსებულმა მჭიდრო ურთიერთობებმა.

ლექსო მიქაძე

ბორბლიანი ტრანსპორტის გენეზისი საქართველოს ტერიტორიაზე

სატრანსპორტო საშუალებებს ყოველთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნიკური და კულტურული განვითარების პროცესში. რაც უფრო განვითარებული და დახვეწილი სატრანსპორტო საშუალებები ჰქონდა ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფს, მით უფრო აქტიურად იყო ჩართული რეგიონალურ და საერთაშორისო ურთიერთობებში. ბორბლიანმა საზიდმა მოწყობილობებმა გააღრმავა და გააიოლა კულტურათა შორის ურთიერთობები, ხელი შეუწყო მიგრაციულ პროცესებს, მანამდე სრულიად უცხო კულტურათა, ტრადიციათა და ეთნოსთა ერთმანეთთან დაკავშირებას. შესაბამისად, უძველესი დროიდანვე, რაც უფრო განვითარებული და დახვეწილი სატრანსპორტო საშუალებები ჰქონდა ამა თუ იმ ეთნიკურ ჯგუფს, მით უფრო აქტიურად იყო ჩართული რეგიონალურ და საერთაშორისო ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებში.

საქართველოში ბორბლიანი ტრანსპორტის, როგორც ცალკეული ფენომენის ისტორიულ-არქეოლოგიურ შესწავლას არც ისე დიდი ისტორია აქვს. მკვლევარ-არქეოლოგები უმთავრესად მხოლოდ კონკრეტულად ერთი აღმოჩენის აღწერა-დახასიათებით და მოკლე მიმოხილვით შემოიფარგლებოდნენ. დღევანდელი მდგომარეობით, ადრე, შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანით დათარიღებული, ორ ათეულამდე, მეტ-ნაკლებად სრული სახით შემორჩენილი ორიგინალი ბორბლიანი საზიდარია აღმოჩენილი, ამასთან ერთად გვაქვს ბორბლიანი ტრანსპორტის თიხისა და ლითონის უადრესი მოდელები და გამოსახულებები. დღემდე არ მომხდარა ყველა მათგანის ერთიან ჭრილში განხილვა-ანალიზი, ასევე, ერთეული გამო-ნაკლისების გარდა, არ ჩატარებულა ბორბლიანი ტრანსპორტისა თუ ეტლიან სამარხში აღმოჩენილი ხის, თიხის, ლითონისა და ორგანული წარმოშობის ინვენტარის ინტერდისციპლინური კვლევები.

წინამდებარე თემის მიზანია საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი ბრინჯაოს ხანით დათარიღებული ბორბლიანი საზიდრების შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში დაგროვილი გაბნეული ინფორმაციების თავმოყრა, იმ განსაკუთრებული ნიუანსების გამოყოფა, რომლებიც თითოეულ მათგანს აქვს. ვინაიდან ბორბლიან ტრანსპორტთა უმრავლესობა დასაკრძალავ კამერებშია აღმოჩენილი, გვერდს ვერ ავუვლით ხის ოთხთვალა ეტლთან დაკრძალვის ტრადიციის განხილვასაც. ნაშრომი, აგრეთვე, მოიცავს ამიერკავკასიაში ძვ.წ.-ის III-II ათასწლეულებში ბორბლიანი ტრანსპორტის გენეზისის, განვითარების, კონსტრუქციული თავისებურებების, შესაძლებლობების, უცხოურ თანადროულ ანალოგებთან საერთო თუ განმასხვავებელ ტენდენციათა კვლევა-ძიებას.

ნანა მიხანაშვილი

რუთის წიგნი – სიბრძნის ლიტერატურა

ბიბლიის კვლევას, ისტორიულ-კულტურული თვალსაზრისით, ხანგრძლივი ტრადიცია აქვს. უკანასკნელ ხანს მსოფლიო ბიბლიესტიკამ კულტუროლოგიური განზომილება შეიძინა.

ჩემს მოხსენებაში რუთის წიგნი განხილულია როგორც ისტორიული კულტუროლოგიის ობიექტი, გაანალიზებულია მისი შინაგანი პარადოქსულობა, ასევე, წმიდა წერილის კანონიკურ წიგნებში მისი არსებობის პარადოქსულობა. ერთი მხრივ, განხორციელებულია რეკონსტრუქციული მოდელირება ისტო-

რიული სოციოკულტურული სიტუაციისა, რომელშიც ის შეიქმნა, მეორე მხრივ, ე.წ. „კულტუროგენეტიკის“ ფარგლებში წარმოდგენილია საკრალური ტექსტის ჩარჩოში ამბის შეთხზვის პროცესის მოდელი.

შესწავლის ობიექტია წმიდა წერილის ნაწილი, ე.წ. „სიბრძნის ლიტერატურა“, რომელშიც ერთ-ერთი მთავარი ადგილი, თანახმისა და სეპტუაგინტას ფონზე, რუთის წიგნს უჭირავს. სიბრძნის ლიტერატურა იქმნებოდა ბაბილონის ტყვეობისა და მეორე ტაძრის ეპოქაში.

უალრესად საინტერესოა, კვლევის თვალთახედვით, საკითხი კავშირის შესახებ ღვთიურ სიბრძნის კონცეპტსა და თანახმის ფარგლებში აღმოცენებულ მხატვრულ პროზას შორის.

როგორც ჩანს, რუთის წიგნის ავტორმა, შესაძლოა, პირველად მსოფლიო ლიტერატურაში, მიზნად დაისახა, გამოეხატა არა ოჯახური სიყვარული და ერთგულება ან სხვაგვარი საგვარეულო თუ სოციალურად განპირობებული სათნოება, არამედ „ხესედი“.

რუთის წიგნში მოთხრობილია არა ცხოვრებისეული ისტორია, თუნდაც მნიშვნელოვანი მესიანისტური ქვეტექსტით, არამედ იგი სიმბოლური თხრობაა სიბრძნის შესახებ.

რუთის წიგნის განმარტებისას ჩნდება ისეთი სირთულეები, როგორებიცაა: ტექსტოლოგიური პრობლემები, მისი ადგილი კანონიკურ წიგნებს შორის, ვინაიდან სხვადასხვა დროს ის განთავსებული იყო ოთხ სხვადასხვა ადგილას და, ბოლოს, რუთის წიგნის არსებობის საკითხი წმიდა წერილის კანონიკურ წიგნებს შორის, რაც იპყრობდა თავდაპირველად ებრაელი და ქრისტიანი ეგზეგეტების, ხოლო შემდგომში მკვლევარ-ბიბლიისტების ყურადღებას.

მარიამ მოციქულაშვილი დარინე მიქელაძე

ჯ. მ. კუტზეეს „მისტერ ფოს“ ქართული თარგმანის გამო

სამხრეთამერიკელი პოსტმოდერნისტი მწერლის, ჯ.მ. კუტზეეს, რომანი „მისტერ ფო“ 1986 წელს გამოიცა. 2003 წელს კუტზეეს მიენიჭა ნობელის პრემია. რომანი 2005 წელს ქართულად თარგმნა ციალა კალმახელიძემ.

ჯ.მ.კუტზეეს „მისტერ ფო“ მრავალმხრივ საინტერესო ნაწარმოებია. მისი ჰიპოტექსტი დანიელ დე-ფოს ცნობილი რომანი „რობიზონ კრუზო“. კუტზეეს ტექსტში მოქმედება უკაცრიელ კუნძულზე ვითარდება და მისი მთავარი გმირები კრუზო, სიუზენ ბარტონი, პარასკევა და მისტერ ფოა. ნაწარმოების პერსონაჟები, დეფოს რომანის მსგავსად, „მოგზაურები“ არიან. მწერალი მთელი სიმძაფრით წარმოადგენს განცდებს თავისი პერსონაჟებისას, რომლებსაც თავისუფლების მოსაპოვებლად არაერთი დაბრკოლებისა და საფრთხის გადალახვა უხდებათ.

კუტზეეს „მისტერ ფო“ საყურადღებო ტექსტია თარგმანის თვალსაზრისითაც. ორიგინალისა და თარგმანის შეპირისპირებითი მეთოდის გამოყენებით, ციალა კალმახელიძის თარგმანში ყურადღება გავამახვილეთ სათაურის, ონომასტიკური ლექსიკისა და სტილისტიკური ფიგურების თარგმნის პრობლემებზე. თარგმანის ანალიზმა ცხადყო, რომ ციალა კალმახელიძე ირჩევს სამიზნე ტექსტზე ორიენტაციას და თავის თარგმანში მაქსიმალურად გამოაქვს ორიგინალის ფორმა და შინაარსი.

ანი მღებრიშვილი მარიამ ფაიქიძე

ემიგრანტი ქალები ამერიკის დასავლეთის მონაპირე ახალშენებში და ორეგონის ბილიკზე (1840-1860)

მოსხენების მიზანია, ამერიკის შეერთებული შტატების ძველი დასავლეთის ათვისების პროცესში განსაზღვროს ქალის როლი, კერძოდ 1840–1860-იან წლებში, ვინაიდან ეს პერიოდი აღინიშნა ახალი ძიებებით და დაახლოებით 350 000-მა ქალმა, ბავშვმა და მამაკაცმა გადაკვეთა ამერიკის კონტინენტი. მოგზაურობას ორეგონის ბილიკზე ამბიციური მამაკაცების განამებული ცოლებისა და მორჩილი

ქალიშვილებისათვის ჰქონდა „ნებაყოფლობითი“ ხასიათი. სტერეოტიპები ამ დროის ქალების შესახებ, როგორებიცაა: სიმამაცე, გამძლეობა, მოწყვნილობა, სინანული და შიში არც არასდროს გამქრალა. ამ მოგზაურობამ ქალები კიდევ უფრო მეტად დამოკიდებული გახადა მამაკაცებზე, ამ მხრივ, ჩვენ შეგვიძლია, დავეუპირისპირდეთ მოსაზრებას, რომ „ფრონტიერი“ ქალების თავისუფლებასა და მეტ შესაძლებლობებთან ასოცირდებოდა. ასევე, მოხსენებაში საუბარია ქალების ჩანაწერებზეც, რომლებიც პირად განცდებს გვიზიარებენ უშუალოდ ორეგონის ბილიკზე მოგზაურობის შესახებ. რაც შეეხება 1860-იან წლებს, ამ პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად გაზარდა ქალის როლი და საქმიანობა იმდროინდელ ამერიკაში. 1862 წელს მიღებულმა „ჰომსტედების“ კანონმა უზარმაზარი გავლენა მოახდინა აშშ-ის ეკონომიკის მზარდ განვითარებაზე. კანონის თანახმად, მარტოხელა, ქვრივ, განქორწინებულ ან მიტოვებულ ქალებს ეძლეოდათ მიწის ფლობის უფლება და მათი განკარგვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი რესურსების მოსაპოვებლად. მათი სამუშაო საკმაოდ შრომატევადი იყო, ისინი ხშირად საკუთარ სიცოცხლესაც კი აყენებდნენ საფრთხის წინაშე. ფერმებს შორის დიდი მანძილი განაპირობებდა მათ მოწყვეტას გარესამყაროსგან და სწორედ სოციალური ცხოვრების დაბრუნების მიზნით ამყარებდნენ კონტაქტს ადგილობრივ ინდიელებთან. სტრესული გარემო და მძიმე ფიზიკური შრომა კი დიდ გავლენას ახდენდა მათ მენტალობაზე.

მოხსენების მთავარი მიზანი სწორედ ამ პერიოდის ფერმერულ დასავლეთსა და ორეგონის ბილიკზე მოღვაწე ქალთა როლის განსაზღვრაა. საინტერესოა, როგორ ახერხებდნენ ისინი, დაეძლიათ იმდროინდელი გამონგვევები და რა როლი შეასრულეს ქალებმა ამერიკის დასავლეთის განაშენიანების პროცესში; როგორი იყო მათი წვლილი დასავლეთის ტერიტორიებისა და შტატებში შექმნილი სოციალური რეალობის ფორმირებისა და ტრანსფორმაციის პროცესში.

ნანული ნადარეიშვილი

რამდენიმე ფერის გააზრება კონსტანტინე გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცების“ მიხედვით

ჩვენი მოხსენების მიზანია, კონსტანტინე გამსახურდიას რომან „მთვარის მოტაცებაში“ გამოვავლინოთ რამდენიმე ფერის მნიშვნელობა. გამსახურდიას ფერების გააზრებისას დავეყრდნობით ფსიქოლოგიაში, ფიზიკასა და ფერწერაში არსებულ თეორიებს. ასევე ყურადღებას გავამახვილებთ მათ სიმბოლიკაზე. ფსიქოლოგიაში დადგენილია აღქმაზე სხვადასხვა ფერის ზეგავლენის ზოგიერთი კანონზომიერება. იგი საგრძნობლად მოქმედებს ადამიანის ფსიქოინტელექტუალურ მდგომარეობაზე, იწვევს განსხვავებულ ასოციაციებსა თუ განცდებს. ფიზიკის თანახმად, ფერებს იმიტომ ვხედავთ, რომ საგნები შთანთქმავს სინათლის ნაწილს, ხოლო ნაწილს აირეკლავს, – ჩვენც სწორედ ამ მოვლენას აღვიქვამთ ფერად.

იუნგ-ჰელმჰოლცის ტრიქრომატული თეორიის მიხედვით, არსებობს ფერის შემგრძნები რეცეპტორების სამი ტიპი, რომლებიც პირველადი ფერების – წითლის, მწვანისა და ლურჯის – შემგრძნებებს წარმოქმნიან. ფერს, როგორც გამოსახვის მრავალფუნქციურ საშუალებას, აქტიურად მიმართავს ხელოვნების სხვადასხვა დარგი, მათ შორის, ლიტერატურაც. ამ მხრივ, საინტერესოდ გვეჩვენება კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედებაში ფერთა სიმბოლური თუ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით კვლევა, რომელსაც ლადო გუდიაშვილი „ფერთა ენციკლოპედიას“ უწოდებდა. გამსახურდიას შემოქმედება სავსეა გამორჩეული ფერებით, რაც იწვევს განცდის გამძაფრებას, სამყაროს ხატისა, თუ გმირის სახის ხედვითობის გაუმჯობესებას, კოლორიტის შექმნას, ბუნების მრავალფეროვან აღწერას და სხვ. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანზე ვისაუბრებთ კონტექსტის გათვალისწინებით, მაგ.: „ლიმონისფერი“, „რძისა და ღვინის ფერი“, „მოთაღბო ფერი“, „ნამრუდისფერი“ „ლილისფერი“.

თორნიკე ნანიშვილი

გილგამეშის შუმერული სიმღერების – „გილგამეში და ზეციური ხარი“ და „გილგამეში და ჰუვაავა“ – თარგმანის განხილვა

თქმულებები გილგამეშის შესახებ უკავშირდება ურუქის ლეგენდარულ მმართველს, რომელიც ძვ.წ.-ის XXVIII – XXVII საუკუნეებში მეფობდა. გილგამეშის შესახებ შექმნილია არაერთი მითი, მათ შორის გამორჩეულია „გილგამეშის ეპოსი“ – ერთ-ერთი პირველი ეპიკური ჟანრის ნაწარმოები, რომელიც 1924 წელს ითარგმნა მიხაკო ნერეთელის მიერ. სწორედ ლეგენდარულ მეფე გილგამეშს უკავშირდება თქმულებებიც, რომლებიც ასევე ძვ.წ.-ის III ათასწლეულის I ნახევრით თარიღდება. მათი ჩანერა ლურსმნული ნიშნებით ისტორიულ პერიოდში მოხერხდა, მანამდე კი ზეპირად გადაეცემოდა თაობიდან თაობას. არც ერთი პოეტი აქადური ხანისა არ დაინტერესებულა მესქიაგაშერის, ენმერქარისა და ლუგალბანდას პიროვნებებითა და ღვანლით. ერთადერთი გილგამეში იყო, რომელმაც მიიზიდა იგი. ამიტომაც მისი პიროვნებისადმი, უფრო ზუსტად, ღმერთკაცული ბუნებისადმი ყველა დროსა თუ ეპოქაში სერიოზული ინტერესი არსებობს.

გილგამეშის სამშობლოა ურუქი, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური და რელიგიური ცენტრი ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციაში. ქალაქს ლეგენდარული მმართველები ჰყავდა, ერთ-ერთი ასეთი ენმერქარია, რომელსაც შეუქმნია დამწერლობა შუმერთათვის და სოლისებური ნიშნებით გადაუტანია თიხის ფირფიტაზე. სწორედ ამ უკანასკნელის სახელზეა შექმნილი „არათას ციკლი“ რომელსაც შემდგომ „გილგამეშის ეპოსიც“ დაემატა. უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ნაწარმოები შუამდინარეთის ლიტერატურული ტრადიციის მნიშვნელოვანი მაგალითია.

ჩვენამდე შემორჩენილია მხოლოდ ხუთი შუმერული თქმულება, საიდანაც ურუქელი მეფის საგმირო თავგადასავალს ვეცნობით. ესენია: „ინანა, ალვისხე და გილგამეში“, „გილგამეში და ზეციური ხარი“ (ფრაგმენტულია), ე. წ. „გილგამეშის სიკვდილი“ (ფრაგმენტულია), „გილგამეში და ავა“, „გილგამეში და ჰუვაავა“. ეს თქმულებები ცალკეული ეპიზოდებია გმირის ცხოვრებიდან, რომლებიც არ ქმნიან ერთ ქრონოლოგიურ ჯაჭვს. თითოეული ამბავი ხდება თავის ჩაკეტილ დროში, წინ არ უძღვის, ან არ მოსდევს მეორეს. შუმერულ მწერლობაში არ ყოფილა ცდა ამ ციკლების გაერთიანებისა ერთ თხრობით ნაკადად. მათი არსებობა შეიძლება შევადაროთ ისევ კლასიკური შუმერის ერთმანეთისგან განცალკევებულ, თავის საზღვრებში ჩაკეტილ და დამოუკიდებელ ქალაქ-სახელმწიფოებს, რომელთა გაერთიანებას ამაოდ ცდილობდნენ შუმერის ბელადები, ვიდრე სარგონ აქადელმა (ძვ. წ. XXIII ს.) თავის იმპერიაში არ მოაქცია და ერთიან ისტორიულ დროში არ ჩართო ისინი. განვიხილავ ჩემ მიერ შუმერულიდან ქართულად თარგმნილ ორ თქმულებას, ესენია: „გილგამეში და ზეციური ხარი“ და „გილგამეში და ჰუვაავა“.

წარმოდგენილი თქმულებები ემყარება ჯერემი ბლექის ტრანსლიტერაციას და არის შუმერულიდან თარგმანი, თან ერთვის ლექსიკონიც. ეს კვლევა რამდენიმე კუთხითაა საინტერესო: ერთი, ესაა ლექსიკა, რომელიც დამწერლობამდელ ურუქის მოსახლეობას ჰქონდა და რომელიც, მიუხედავად გარკვეული სალიტერატურო ხასიათის სირთულისა, თაობიდან თაობას ზეპირსიტყვიერად გადაეცემოდა. როგორც ივარაუდება, შუმერული თქმულებები იმღერებოდა. ამასთანავე, საყურადღებოა ის, რომ შუმერულ სიმღერათა ნაწილი, განსაკუთრებით „გილგამეში და ზეციური ხარი“, მეტად ფრაგმენტულია, ამიტომაც მთარგმნელის ინტერპრეტაცია და გარკვეული კომენტარები შეიძლება დაეხმაროს მკითხველს საერთო სურათის წარმოდგენაში.

შორენა ნემსაძე

„გამარჯვების ტრავმა“ საქართველოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ (ფილმების ანალოგი)

კულტურული ტრავმა სოციალური ცვლილებების თანმდევი, ერთ-ერთი ნეგატიური შედეგია, რომელიც საზოგადოების ფართო ფენებს მოიცავს და ყველაზე მეტად ზიანს აყენებს კულტურის სფეროს. მისი ერთ-ერთი სპეციფიკური გამოხატულება არის „გამარჯვების ტრავმა“. ეს ფენომენი, პირველ რიგში, გულისხმობს იმას, რომ ცვლილება, რომლისთვისაც იბრძოდი, რომელიც გინდოდა, რომ განხორციელებულიყო, შეიძლება, ტრავმული აღმოჩენილიყო. ნაშრომის მიზანია, გადმოსცეს, როგორ გამოიხატა „გამარჯვების ტრავმა“ საქართველოში. რა სირთულეებისა და წინააღმდეგობების წინაშე აღმოჩნდა საქართველოს მოსახლეობა, საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, არის თუ არა ისევ ტრავმირებული და, თუ ასეა, რატომაა ტრავმა დაუძლეველი. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია 1990-იან წლებზე, ვინაიდან პრობლემებს უფრო კრიზისული და მწვავე სახე სწორედ ამ პერიოდში ჰქონდა, ამ დროს ისახებოდა გზები კრიზისის დაძლევისთვის. მე შევეცდები, პასუხი გავცე კითხვას – დავძლიეთ თუ არა ტრავმა. ნაშრომში გამარჯვების ტრავმა განხილულია ქართული მხატვრული ფილმების მაგალითზე, თუ როგორ აისახა ეს ფენომენი კინოში, რა ტრავმული სიმპტომებით გამოიხატა, რამდენად მწვავე იყო ის შედეგები, რომლებიც კომუნიზმის კოლაფსს მოჰყვა და რამდენად თანხვედრა ფილმების სიუჟეტები 90-იანების რეალობას.

ირაკლი ნოდია

აშშ-ის სამოქალაქო ომი გაზეთ „დროების“ ფურცლებზე

აშშ-ის სამოქალაქო ომი ამერიკის შეერთებული შტატების ახალი ისტორიის ერთ-ერთი მთავარი და საინტერესო მონაკვეთია. ამ უკანასკნელ მოვლენას ძალიან დიდი რეზონანსი ჰქონდა. წინამდებარე მოხსენების მიზანია, ქართული პერიოდული პრესის მასალების საფუძველზე ვაჩვენოთ XIX საუკუნის ქართული მონინავე საზოგადოების დამოკიდებულება ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომზე. მათი პოზიცია და სიმპათიები სამხრეთისა და ჩრდილოეთ შტატების ირგვლივ. გარდა ამისა, ჩვენი ამოცანა არის, ფაქტების თანმიმდევრული თხრობით ვაჩვენოთ აშშ-ის სამოქალაქო ომი ქართულ პერიოდიკაში და გამოვარკვიოთ: 1) თუ რას ისახავდა მიზნად მსოფლიო ისტორიის ამ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენის გაშუქება; 2) რა იყო მთავარი სათქმელი და გზავნილი მკითხველისათვის; 3) მოახდინა თუ არა რაიმე დადებითი გავლენა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე, თუ ეს იყო უბრალო პროპაგანდა და პოპულარიზაცია სამოქალაქო ომის შესწავლის კუთხით?

ეს საკითხი ასე ვინროდ სამეცნიერო სფეროში აქამდე შესწავლილი არ ყოფილა და ჩვენ შევეცადეთ, ყურადღება მიგვექცია მისთვის. გაზეთი „დროება“ XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთი მთავარი ტონისმიმცემი იყო. გაზეთი 1866–1885 წლებში გამოდიოდა. მაგალითად, გაზეთ „დროების“ 1866 წლის მეცხრე ნომერი გვიყვება ომის წინარე პერიოდზე, მის გამომწვევ მიზეზებზე. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მონობის საკითხზე; 1866 წლის მე-7 ნომერში საუბარია მონების მდგომარეობასა და მათ უფლებებზე. პრეზიდენტ ლინკოლნის მოღვაწეობის დადებით და უარყოფით მომენტებზე; 1867 წლის მე-7 ნომერში გადმოცემულია პრეზიდენტ ჯონსონისა და კონგრესის ურთიერთობები და ა.შ.

უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ამ პუბლიცისტური მასალების მნიშვნელობას. რა ღირებულება აქვს მას? რამდენად ლოგიკურად არის გადმოცემული მთავარი სათქმელი? ანუ აუცილებელია, მათი შეფასების დროს სწორი აქცენტების დასმა. მნიშვნელოვანია ამ მემკვიდრეობის ლოგიკური შეფასება ისე, რომ არც ერთ უკიდურესობაში არ გადავვარდეთ. მისი არც ძალიან აპოლოგეტური შეფასება და არც მისი სრულიად უგულებელყოფა არ შეიძლება. ორივე ეს უკიდურესობა მიუღებელია.

იმ დროისათვის ეს იყო ძალიან წინგადადგმული ნაბიჯი და ამ ინფორმაციებს ჰქონდა, აქვს და ექნება თავისი დანიშნულება ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ „შავი სამუშაოს“ მნიშვნელობას მისი შემეცნებითი დატვირთვა განსაზღვრავს. ეს დაინტერესება არ იყო ზედაპირული და მხოლოდ მშრალი ფაქტების თხრობა. ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ მიზეზშედეგობრივ კავშირებზე ყურადღების გამახვილებას და სწორედ ეს იყო მათი მსჯელობის მთავარი ღირსება.

ნინო ომანაძე

ეპითეტის თარგმნის საკითხისათვის ჯეიმზ ჯოისის „ჯაკომო ჯოისის“ ქართულ თარგმანებში

ჯეიმზ ჯოისის „ჯაკომო ჯოისის“ თამარ გელაშვილისეული თარგმანი 2017 წელს გამოქვეყნდა. ნიგნი ორენოვანია, გაფორმებულია ახალგაზრდა მთარგმნელის მიერ, ახლავს მანანა გელაშვილის წინასიტყვაობა, რომელშიც მკვლევარი საუბრობს ნაწარმოების მრავალშრიანობაზე, ტექსტის სიმბოლიკაზე, მისი ორი მთავარი პერსონაჟის – მთხრობელისა და სატროფო ქალის – სახეთა მრავალწინაგოვნებაზე, შორეულ პარალელებზე, პირველი შეცოდებაზე და ა.შ. მ. გელაშვილი საინტერესო კუთხით წარმოგვიდგენს ჯოისის შემოქმედებას.

„ჯაკომო ჯოისის“ პირველი თარგმანი 1969 წელს გამოქვეყნდა. მთარგმნელი ცნობილი ლიტერატურათმცოდნე – ნიკო ყიასაშვილი გახლდათ. ზემოაღნიშნულ თარგმანს საყურადღებო ნაშრომი მიუძღვნა ნელი საყვარელიძემ. მკვლევარმა ყურადღება გაამახვილა ტექსტის სირთულეზე, რომელსაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქმნის გამოხატვის ძუნწი და, ამასთან, ტევადი ფორმები. თავისებური კომპოზიციური აგებულება, უხვი ალუზიები და რემინისცენციები“. ნ. საყვარელიძე სამართლიანად მიუთითებს, რომ რთული დასადგენია ტექსტის უანრობრივი მიკუთვნებულობაც.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯეიმზ ჯოისის „ჯაკომო ჯოისის“ გამოირჩევა ეპითეტების სიმრავლითა და მრავალშრიანობით. ჩვენთვის საინტერესოა, თუ რა დატვირთვა აქვს ჩვენ მიერ საკვლევად შერჩეულ ეპითეტებს ტექსტსა თუ თარგმანებში. განსახილველად ავიღეთ 30 ეპითეტი. შესწავლამ ცხადყო, რომ მთარგმნელები თავიანთ თარგმანებში ცდილობენ ეპითეტების არა მარტო შინაარსის, არამედ ემოციური მუხტის გადმოტანა-შენარჩუნებას, რასაც მეტ-ნაკლები წარმატებით ახორციელებენ კიდევც.

ანა პალაგაშვილი

ცნობიერების ანატომია ვირჯინია ვულფის რომან „ტალღებში“

ამ მოხსენებაში განვიხილავთ ვირჯინია ვულფის რომან „ტალღებს“, რომელიც ავტორის ყველაზე ექსპერიმენტულ ნაშრომად არის აღიარებული. ავტორს არაერთი ნაწარმოები აქვს დაწერილი ცნობიერების თემატიკაზე, რომელთა შორის „ტალღები“ გამოირჩეულია როგორც სტრუქტურულად, ისე შინაარსობრივად. რა არის, ზოგადად, ცნობიერება, როგორია ვულფის თეორია ცნობიერებაზე და როგორაა გამოხატული ვულფის ხედვა რომანში – ჩემი მოხსენებების ძირითადი თემებია. ასევე, მოდერნისტ მწერლებთან შეუძლებელია გვერდი აუარო დროის თემატიკას, რომელიც ასევე რომანის ერთ-ერთი ცენტრალური თემაა. „ტალღები“ იმდენად კომპლექსურია სტრუქტურულად, რომ რთულია, ის მიაკუთვნო რომელიმე ერთ კონკრეტულ უანრობრივ კატეგორიას, რადგან ზღვარი პროზასა და პოეზიას შორის ბუნდოვანია. თავად ავტორი თავის ნაშრომს მოიხსენიებს როგორც „play poem“. ავტორი ექვსი სხვადასხვა ადამიანის ცხოვრებაზე მოგვითხრობს, მათ ფიქრებზე, ემოციებზე, შეგრძნებებსა და შთაბეჭდილებებზე, ცნობიერების ნაკადის ტექნიკის გამოყენებით კი გვაჩვენებს, თუ როგორ მიმდინარეობს მათი ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესი დროსა და სივრცეში. ეს პროცესები შინაგანი მონოლოგების სახით არის წარმოდგენილი, რაც იმას ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვართ პირდაპირ მომსწრე რომელიმე მოვლენის, ჩვენ ვხედავთ მხოლოდ პერსონაჟების მიერ აღქმულ და დანახულ სუბიექტურ რეალობას. „ტალღები“ დაყოფილია ცხრა ნაწილად, სადაც ყოველი ნაწილი შეესაბამება

პერსონაჟების ცხოვრების გარკვეულ პერიოდს ბავშვობიდან ხანდაზმულ ასაკამდე, ზოგიერთ შემთხვევაში კი სიკვდილამდეც. ყოველი ნაწილი გამოყოფილია ანტრაქტით, სადაც აღწერილია ერთი დღე დილიდან დაღამებამდე, მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე ტალღების ფონზე. ამგვარი დაყოფა საინტერესოა როგორც დროის წარმოჩენის თვალსაზრისით, ასევე ცნობიერების განვითარების საფეხურებთან შესაბამისობებით. პერსონაჟების ცხოვრების ყველა ეტაპი, ანუ მათი ცხოვრება სიმბოლურად მოქცეულია ერთ დღეში, ბოლო ანტრაქტი კი სრულდება ტალღებით, რაც სიმბოლურად მუდმივობასთან არის დაკავშირებული და დროის ციკლურობაზე მიგვანიშნებს. ასევე, ავტორი პარალელს ავლებს დილის დადგომასა და გონების განვითარების საფეხურებს შორის. პირველ ანტრაქტში ნელ-ნელა თენდება და ნათდება, ასევე ვითარდება პერსონაჟების გონებაც, რომელიც ჩამოყალიბების საწყის ეტაპზეა და, ძირითადად, მოცულია გრძნობითი აღქმებით, რასაც ვირჯინია ტექსტში მოკლე ფრაზებით გამოხატავს.

ანა პაპუაშვილი

კატერინა ბრიგის ზღაპრები ქართულ ენაზე: ზღაპრის თარგმნის სპეციფიკა და გამოწვევები

კატერინა მერი ბრიგსი ინგლისელი მწერალი, ფოლკლორისტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, ინგლისის ფოლკლორული საზოგადოების პრეზიდენტი და ოცამდე ნაშრომის ავტორია. მისი პირველი წიგნი „ჯადოსნური ქვეყნის პერსონაჟები“ 1953 წელს დაიბეჭდა, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ბრიგსმა „ინგლისური ხალხური ზღაპრები და ლეგენდები“ გამოსცა, რომელმაც მას აღიარება და წარმატება მოუტანა.

კატერინა ბრიგის მიერ გამოცემული ზემოაღნიშნული ზღაპრების კრებული მრავალმხრივია საინტერესო. კრებული აერთიანებს: იგავებს, საბავშვო ზღაპრებს, ზღაპრებს ეშმაკებზე, დრაკონებზე, გიგანტებზე, მოჩვენებებზე, ფერიებზე, წმინდანებსა და ჯადოქრებზე, ინგლისურ ლეგენდებსა და გადმოცემებს.

როგორც ცნობილია, ზღაპრის თარგმანი წერილობითი თარგმანის ერთ-ერთი რთული სახეობაა. მისთვის დამახასიათებელია ეროვნული კოლორიტი, რეალიების სიუხვე, ირიბი მეტყველების პრიმატი, ზღაპრის დასასრულისა და დასაწყისის ფორმულები, რიცხვთა სიმბოლიკა, გართიმული სტრიქონები თუ სტროფები და ა.შ.

მოსხენებაში წარმოდგენილია ჩვენ მიერ შესრულებული კატერინა ბრიგის სამი ზღაპრის (THE THREE BEARS – სამი დათვი; THE OLD MAN AT THE WHITE HOUSE- მოხუცი კაცი თეთრ სახლში და THE ENDLESS TALE – უსასრულო ზრახარი) თარგმანები და, შესაბამისად, ამ თარგმანების ანალიზი. დანვრილებით გვაქვს განხილული თარგმნის დროს არსებული სირთულეები და ნაჩვენები გვაქვს მათი გადაჭრის ჩვენეული ხერხები და გზები.

მარიამ რაზმაძე

შექსპირის „ჰამლეტის“ გარდასახვა იან მაკიუნის რომან „ნაჭუჭში“

მოსხენებაში განვიხილავთ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო პიესა „ჰამლეტის“ მეტამორფოზას თანამედროვე ინგლისელი ავტორის, იან მაკიუნის, გახმაურებულ რომან „ნაჭუჭში“.

რომანის სათაური აღებულია შექსპირის „ჰამლეტის“ მეორე სცენის მეორე მოქმედებიდან: „მე თუნდაც კაკლის ნაჭუჭში მომწყვდეული ვიყო, ჩემი თავი სივრცის მფლობელი მეგონებოდა“.

თუმცა სათაური არ არის ერთადერთი, რაც მაკიუნის რომანს შექსპირის ჰამლეტთან აკავშირებს. რომანში მრავლადაა ალუზიები პიესიდან და, შეიძლება ითქვას, რომ წარმოადგენს ჰამლეტის თანამედროვე ვერსიას, სადაც მოქმედება ელსინორის სასახლის ნაცვლად თანამედროვე, მდიდრულ, შვიდ მილიონ ფუნტად შეფასებულ გეორგიანული სტილის სახლში მიმდინარეობს.

„ნაჭუჭი“ განსხვავდება სხვა რომანებისგან იმითაც, რომ ამბავს დედის მუცელში მყოფი ჩანასახი ჰყვება, რომელმაც შეიტყო დედამის ტრუდისა და ბიძამის კლაუდის (შექსპირის პიესის პერსონაჟების სახელების – გერტრუდასა და კლაუდიუსის – გამოძახილი) მზაკვრული გეგმის შესახებ. ისინი აპირებენ, თავიდან მოიშორონ ჯონი, ჩანასახის მამა და ხელში ჩაიგდონ მისი მდიდრული სახლი.

ამკარაა, რომ რომანში ჰამლეტი ჩანასახის სახით გვევლინება, რომელიც, პრინცი ჰამლეტისა არ იყოს, იტანჯება საკუთარი ფიქრებით და უმოქმედობის განცდით. ისიც „კაკლის ნაჭუჭშია“ გამომწყვდეული – დედის მუცელში და თავს დატყვევებულად გრძნობს; ჰამლეტური ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშეც დგას: ველარ გაურკვევია, ამ სიტუაციაში დაბადება და მოქმედება სჯობს, თუ არდაბადება?!

შექსპირის ჰამლეტის მელანქოლიურობის, ექსცენტრიკულობის უკან დგას მოაზროვნე, მოფილოსოფოსო პიროვნება, რომელიც რაციონალურია თავის ფიქრებში და იდეებისთვის იბრძვის. ანალოგიურად, ჩანასახი, რომელიც მის გარშემო არსებული სამყაროსთვის მხოლოდ განვითარების პროცესში მყოფი არსებაა, აღმოჩნდება, რომ კარგად იცნობს ინგლისის ისტორიას და კულტურას, ერკვევა პოლიტიკაში, ფილოსოფიაში და იცის მსოფლიოში მიმდინარე პროცესების შესახებ, რადგან დედამისი ხშირად უსმენს რადიოში ახალ ამბებს და აუდიონიგნებს. ის ლოგიკურია მსჯელობისას და ცდილობს სწორი გადაწყვეტილების მიღებას.

მარიამ რაქვიაშვილი

ცნობიერების ნაკადი ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისში არაერთი ლიტერატურული მიმდინარეობა ჩამოყალიბდა. მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ფეხდაფეხ მიჰყვებოდა ქართული მწერლობა. ხელოვნებას განსხვავებული მისია დაეკისრა. ის, რასაც რეალიზმი ასახავდა, ახალი ეპოქისათვის მოძველებული აღმოჩნდა. გაჩნდა ინტერესი სამყაროს სიღრმისეული გაცნობისა და გათავისებობისა, რამაც განაპირობა ადამიანის მიჩქმალული, გაუცნობიერებელი განცდებისა და ვნებების წარმოჩენა.

საქართველოში მეოცე საუკუნის დასაწყისში სამწერლო ასპარეზზე მრავალი საინტერესო მწერალი გამოვიდა. მათი შემოქმედება თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა და დღემდე არ კარგავს აქტუალობას ამ თემების გარჩევა-გაანალიზება სხვადასხვა კონტექსტში.

ტიციან ტაბიძე ჭოლა ლომთათიძეზე წერდა: „ჯერ ნაწილობრივადაც არ არის შესწავლილი ჭოლა ლომთათიძის ოსტატობა, გამოცდილება და იმათ, ვისაც თავიანთ აღმოჩენად მიაჩნიათ ჭოლას პროზა, არც კი იციან, საიდან არის ის ჟრუანტელი, რომელიც მას ახლავს და რა ძალა ტეხდა და, ამავე დროს, კვებავდა მის ოსტატობას. ამ მხრივ ჭოლა ლომთათიძე ყველაზე უფრო საინტერესო ფიგურაა ქართულ პროზაში“.

ლიტერატურულ კრიტიკაში არაერთი მოსაზრება არსებობს ჭოლა ლომთათიძის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი მათგანი მის შემოქმედებაში „ცნობიერების ნაკადის“ არსებობაა. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ნოე ჟორდანიას მას „ჩვენს გამსუნს“ უწოდებს.

ეჭვს არ იწვევს, რომ ჭოლა ლომთათიძეს თავისი პერსონაჟების ღრმა ფსიქოლოგიური ანალიზი აინტერესებს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა მოთხრობა „სახრჩობელის წინაშე“, სადაც საკმაოდ მნიშვნელოვანია მთავარი პერსონაჟის, ჯეირანის, სიზმარი.

როგორც სერგი ჭილაია აღნიშნავს, მწერალთან ვხვდებით ე.წ. დუმილის ფილოსოფიას. ამ მხრივ ძალზე საინტერესოა მოთხრობა „უსათაურო“.

ნაშრომი მიზნად ისახავს, ნათლად წარმოაჩინოს ცნობიერების ნაკადის ასოციაციური ბუნების სხვადასხვა სახე, რომლებიც სხვადასხვა ხარისხით გამოვლინდა ჭოლა ლომთათიძის შემოქმედებაში.

ლელა რეზესიძე

ფარის თემის (მესტიის მუნიციპალიტეტი) ტრადიციული ყოფა და თანამედროვე სოციოკულტურული პროცესები

ფარის თემი მესტიის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაშია, ეთნოგრაფიულად ის მდებარეობს ზემო სვანეთის ბალს ქვემო ნაწილში. ფარის თემი მოიცავს რამდენიმე სოფელს. ფარის თემის ტრადიციული ყოფის ესა თუ ის ელემენტი შესწავლილია გუსტავ რადეს, ბესარიონ ნიჭარაძის, ვერა ბარდაველიძის, მაქსიმე ქალდანის, ალი დავითიანის მიერ. გამოვლენილია ადგილობრივი ხალხური დღეობების ზოგიერთი თავისებურება, სხვადასხვა ყოფითი ნიუანსი. სამეცნიერო წყაროებისა და ლიტერატურის დამუშავების პარალელურად, ამ ზაფხულს შევკრიბე ეთნოგრაფიული მასალა, რომელმაც აჩვენა ყოფაში არსებული ტრანსფორმაციული პროცესები. მოხსენება იყოფა ორ ნაწილად: პირველ ნაწილში წარმოდგენილი იქნება ფარის თემის ტრადიციული ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი ინფორმაცია, მეორე ნაწილში კი მსჯელობა გაიშლება პოსტსაბჭოთა პერიოდსა და დღევანდელ დროში მიმდინარე პროცესზე. გამოვლენილია თანამედროვე ვითარებაში არსებული ნოვაციები, რომლებიც ეხება როგორც სამეურნეო ყოფას, ასევე სოციალური და სულიერი კულტურის თავისებურებებს.

ოთარ სალდაძე

ბოშა ქალის ყოფა საკუთარ თემსა და საზოგადოებაში

საქართველო მულტიეთნიკური ქვეყანაა, სადაც ბევრ სხვადასხვა ეთნიკურ უმცირესობათა ჯგუფს ვხვდებით, რომელთაგან ერთ-ერთ ყველაზე მცირე და მონყვლად ჯგუფს ბოშათა თემი წარმოადგენს. დღემდე ბოშები საქართველოში მონყალების თხოვნასთან ასოცირდებიან. მოსახლეობას მათ მიმართ სტერეოტიპული წარმოდგენა აქვს. ეს ადამიანები ებრძვიან ისეთ პრობლემებს, როგორებიცაა: სიღარიბე, უმუშევრობა, გულგრილი დამოკიდებულება საზოგადოების მხრიდან, განათლებისა და ჯანდაცვის ხელმიუწვდომლობა. საქართველოში მცხოვრებ ბოშათა ოჯახის მარჩენალი და ეკონომიკურად უზრუნველყოფელი ქალია, თუმცა მათ მიერ განეული შრომა და უმნიშვნელოვანესი ფუნქციების შეთავსება არ არის მათთვის საზოგადოებრივ საქმიანობასა და გადანყვეტილების მიღებაში აქტიურად ჩართვის გარანტი. ზოგადად, ქართულ საზოგადოებაში ბოშათა თემის ხმა დაკარგულია, თავად ბოშათა თემში კი ქალთა ხმა. არაზუსტი მონაცემებით, ჩვენს ქვეყანაში 1000-ამდე ბოშა ცხოვრობს, რომლებიც გაფანტულნი არიან სხვადასხვა რეგიონში. კვლევა ჩატარდა თბილისსა და ქობულეთში მცხოვრებ ბოშათა თემში, თვისებრივი მეთოდის სიღრმისეული ინტერვიუს გამოყენებით და გამოიკითხა 13 ბოშა და ერთი ბოშათა საკითხებზე მომუშავე ექსპერტი. კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ ბოშათა ოჯახში ქალი ძირითადი საყრდენი ძალაა, რომელსაც ეკონომიკური უზრუნველყოფის გარდა, მეოჯახისა და დედის როლიც მნიშვნელოვნად აქვს შეთვისებული, ხოლო მამაკაცები იმ ავტორიტეტულ ნაწილს წარმოადგენენ, რომელიც საზოგადოებრივ და ოჯახურ ასპარეზზე იღებენ ძირითად გადანყვეტილებებს და განსაზღვრავენ ფინანსურ რესურსებსა და ურთიერთობებს. ბოშა ქალები მუშაობენ ყოველ დღე, დასვენების გარეშე, ქუჩაში, რის შემდეგაც მათი დრო და ენერჯია საშინაო შრომას ხმარდება. მათი შრომით მოპოვებული ფული, ძირითად შემთხვევებში, მათი საკუთრებაც კი არ არის. მიუხედავად იმისა, რომ ბოშა ქალის მოვალეობები და ფუნქციები გადანყვეტ როლს ასრულებს ბოშათა ოჯახში, მათი უფლებები შეზღუდულია და მათ გადანყვეტილებათა უდიდესი ნაწილი კონტროლდება. მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ბოშა ქალების ყოფის კვლევის შედეგები და გაანალიზებული იქნება მათ წინაშე მდგარი პრობლემები.

ელენე სიხარულიძე

კომპიუტერ-მუსლიმურ თემთა თანაცხოვრების პრობლემატიკა ეგვიპტელ პროზაიკოსთა შემოქმედებაში (იუსუფ იდრისის ნოველა „ეგვიპტელი ჯოკონდა“ და ბაჰა ტაჰირის რომანი „დეიდა საფია და მონასტერი“)

ჩემს მოხსენებაში შევეხები მუსლიმურ და ქრისტიანულ თემთა ურთიერთობის საკითხს, რომელიც თანამედროვე ეგვიპტის ცხოვრებისთვის აქტუალურია როგორც სოციალურ-პოლიტიკურ, ისე ყოფით ნიადაგზე. საინტერესოა, როგორ აშუქებენ ამ თემას ეგვიპტელი მწერლები თავიანთ შემოქმედებაში. სწორედ ამას განვიხილავ ორი კონკრეტული ლიტერატურული ნაწარმოების საფუძველზე (იუსუფ იდრისის ნოველა „ეგვიპტელი ჯოკონდა“ და ბაჰა ტაჰირის რომანი „დეიდა საფია და მონასტერი“).

იუსუფ იდრისის ნოველაში იკვეთება სწორედ ის უცხოობის საკითხი, რომელიც ხშირად იჩენს თავს ქრისტიან და მუსლიმ ხალხთა თანაცხოვრებაში. უცხოობის შეგრძნება მათ გამუდმებით თან სდევთ. ნოველა „ეგვიპტელ ჯოკონდაში“ ეს განხილულია კონკრეტულ – რელიგიურ – ჭრილში. მუსლიმი ბიჭის სიყვარული ქრისტიანი გოგოსადმი პატარა ეგვიპტური დასახლების ორივე რელიგიური თემის წევრთა უარყოფით ემოციებს იწვევს და აქ ვლინდება, თუ რაოდენ რთულად დგას რწმენის საკითხი, იკვეთება უცხო მამართ შიში. ერთმანეთის პატივისცემის მიუხედავად, მათ შორის უცხოობის ზღვარი არასდროს დაირღვევა.

ეგვიპტელ მწერალთა შემოქმედებაში ამ რეალობამ, რა თქმა უნდა, ასახვა პოვა. ბაჰა ტაჰირის რომანში მუსლიმი ბიჭის პირით ხდება თხრობა და ვხედავთ, თუ როგორი დაცულია ქრისტიანული მონასტერი მუსლიმთა მიერ, ხელშეუხებელია სინმინდეები. მწერლის მიერ წინ არის წამოწეული ჰუმანისტური საკითხები, თუ რაოდენ კეთილშობილურად ექცევიან მუსლიმები და ქრისტიანები ერთმანეთს. წარმოჩნდება ტრადიციები, ადგილობრივთა ხასიათის თვისებები და ასევე სოციალური კონფლიქტები. სწორედ ამ მწერალთა შემოქმედებაში დავინახავთ უცხოობის გადალახვის მცდელობას.

ამავე კონტექსტში ასევე განვიხილავ ცნობილი გერმანელი ისლამოლოგისა და მწერლის, შტეფან ვაიდნერის ესეს – „კურთხეულ იყვნენ უცხონი“. სწორედ აქ არის წინ წამოწეული უცხოობის მოტივი და მისი სხვადასხვა ასპექტით გააზრება ისლამურ თეოლოგიასა და ფილოსოფიაში; შევადარებთ ისლამურ და დასავლურ თვალთახედვას, ვეცდებით, მოვიძიოთ პასუხი კითხვაზე: „შეიძლება კი ამგვარი უცხოობის განცდის გადალახვა? ან თუნდაც მისი დროებით დაძლევა?!“

ქეთევან სიხარულიძე

პირველი როკფესტივალი თბილისში

ქართულ ისტორიოგრაფიაში ჯეროვნად არ არის შესწავლილი ჩვენი ქვეყნის უახლესი წარსული, კერძოდ კი საბჭოთა საქართველოს ისტორია, მაშინ, როდესაც სოვეტოლოგია დასავლურ მეცნიერებაში ერთ-ერთი წამყვანი დარგია. ამ კუთხით კი თანამედროვე მეცნიერები, ძირითადად, დაინტერესებულნი არიან და შეისწავლიან რეპრესიებს. ძირითადი აქცენტი კეთდება პოლიტიკურ ისტორიაზე.

რაც შეეხება საქართველოს ისტორიაში „უძრაობის ხანას, ეს პერიოდი დღეისთვისაც ე.წ. „საისტორიო კუნძულად“ ითვლება. სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება ჩვენი საკვლევი თემაც.

1980 წლის 8-6 მარტს თბილისში ჩატარდა პირველი ოფიციალური როკფესტივალი. ეს ფაქტი შესწავლილია მუსიკათმცოდნეების მიერ. როგორც ჩვენთვისაა ცნობილი, ისტორიული კუთხით ეს თემა ჯეროვნად გამოკვლეული არ არის.

ამ ნაშრომში ჩვენ განვიხილავთ პირველ როკფესტივალს, მის მიმდინარეობასა და მასთან დაკავშირებულ პერიპეტებს. ნაშრომი განხილული იქნება ორი კონკრეტული მიმართულებით: პირველი, როგორც ვესტერნიზაციის პროცესი, საბჭოთა აზრის ტრანსფორმაცია და ე. შევარდნაძის ე.წ. ორმაგი პოლიტიკის ნაწილი.

ნაშრომზე მუშაობისას გამოვიყენებთ კვლევის კომპლექსურ მეთოდს. მასალა, რომელსაც თემა დაეყრდნობა, იქნება პრესა და საარქივო საქმეები.

სალომე სუხიაშვილი

სამოთხის მითოსი ქართულ ჰაგიოგრაფიაში და მისი ფოლკლორულ-მითოსური პარადიგმები

სამოთხის თემა აქტუალურია ქართულ ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებებში. ადამიანს, ერთი მხრივ, ცხოვრება უწევს დაცემულ ნუთისოფელში, ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს „სხვა“ სამყარო, რომელიც არცთუ იშვიათად გვხვდება ბიბლიურ-სასულიერო ლიტერატურასა და ფოლკლორულ ნაწარმოებებში.

სამოთხის მოტივი „წმინდა ნინოს ცხოვრებაში“ წარმოდგენილია სამეფო ბალის ეპიზოდში, რომელშიც იგი ედემად არის გააზრებული. „წმინდა შიოსა და ევაგრეს ცხოვრებაში“ კი აქამდე „კარაულთა“ მტაცებელი მგელი მათ კეთილ მწყემსად დაუდგება და შინაურ ცხოველებს ბალასს აძოვებს. თხზულების მიხედვით, მეუღაბნოე ბერები თავიანთ სამოქმედო სივრცეში სამოთხისებურ წესრიგს ამყარებენ. ანალოგიურ სურათს ვხვდებით მეორე ასურელი მამის „დავით გარეჯელის ცხოვრებაში“, რომლის მიხედვით, ირმები თავისი ნებით მიდიან მონასტერში და წმინდა მამებს – დავითსა და ლუკიანეს – თავიანთი რძით კვებავენ.

როგორც ცნობილია, აგიოგრაფიულ ლიტერატურაში გამოხატულია ადამიანის უმაღლესი იდეალი, რომლის მიღწევაც შეუძლიათ მხოლოდ „მარტვილობათა“ ჟანრის მთავარ გმირებს, მაგრამ წმინდა ნინო არაა ჩვეულებრივი საერო პირი, ამიტომაც მისი სახე გაიდევალებულია, თანაც მისი დამსახურებაც განსაკუთრებულია. შიო მღვიმელისა და დავით გარეჯელის ცხოვრებაში ვუპირისპირდებით იმ აზრს, რომ „ცხოვრებათა“ ტიპის ნაწარმოების გმირმა არ შეიძლება მიაღწიოს ადამიანის უმაღლეს იდეალს – მაშინ რა ხდება ამ ნაწარმოებებში? რატომ არის მათთან სამოთხისებური ყოფა? საქმე ისაა, რომ ეს ნაწარმოებები აგებულია „მარტვილობათა“ ტიპზე, ამიტომაც მათ ცხოვრებაში გვხვდება ისეთი სასწაულები, რომლებიც მხოლოდ სამოთხეში მყოფ ადამიანს შეიძლება გადახედეს.

აგიოგრაფიულ მწერლობაში წარმოდგენილი სამოთხის მოტივის ერთგვარ პარადიგმას ვხვდებით ქართულ მითოლოგიაში.

ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებში სამოთხე და ედემი, ისევე როგორც ბიბლიაში, მთაზეა წარმოდგენილი: „აიყვანა ადამი უფალმა ღმერთმა და დაასახლა ედემის ბაღში“ (დაბად., 2, 15). ამ ეპიზოდში „აიყვანა“ მთაზე ასვლას აღნიშნავს. ფშავ-ხევსურულ გადმოცემებში მაღალი მთის მწვერვალები სამოთხის ნიშნებით არის აღბეჭდილი. ფშავში, ჭიჩოს მთაწმინდაზე განდევნილი ბერი ერთი ნაჭერი პურის ამარა იზამთრებდა: რამდენსაც მოტეხდა ამ პურს ნაჭერს, იმდენი ემატებოდა. ხოლო ცროლის მთაზე, ხევსურეთში, სადაც „სანების“ სალოცავი არის აღმართული, „სიცივე არ სცოდნივ, ისეთ თბილ ყოფილასავ ხალხივ, რო მთელ ღამესავ ოფლ გადაზდიოდისავ“.

უნდა ვიფიქროთ, რომ ისევე როგორც აგიოგრაფიულ ლიტერატურაში, ქართულ მითოლოგიურ გადმოცემებშიც ბერები და წმინდანები გარდაქმნიან ჩვეულებრივ პროფანულ სივრცეს „კვრივად“, საკრალურ სივრცედ. სწორედ წმინდა ბერების ძალით არსებობდა ჭიჩოს მთაწმინდაზე, ხევის ბეთლემსა და ხევსურეთის ცროლის სანებაზე მარადიული გაზაფხული, უკვდავების წყარო, ზედაშის ქვევრები და დაუღვეველი პური.

სამოთხის ბინარულ ოპოზიციას სასულიერო ლიტერატურასა და მითოლოგიაში ჯოჯოხეთი წარმოადგენს. წმინდა ბერების მიერ გარდაქმნილ სამოთხისებურ სივრცეს ხალხურ ტექსტებში ტაბაკონის მთა და აჩხოტის ველი უპირისპირდება. ეს არის „სხვა“ სივრცე, რომელიც ჯოჯოხეთის ნიშნებს ატარებს და ის კუდიანთა და ეშმაკთა უფროსის შეკრების ადგილი, სამოთხის ანტითეზაა. იაკობ ხუცესის „შუშანიკის წამებაში“ სიცხით გათანგული უდაბნო ჯოჯოხეთის ნიშნით არის აღბეჭდილი და მის სიმბოლოდ უნდა აღვიქვათ.

ლაშა ტაბიძე

მტკვარ-არაქსის კულტურის საცხოვრისის ინტერიერის ერთი კომპონენტის კვლევისათვის: შიდა ქართლისა და სირია-პალესტინის მასალათა შედარებითი დახასიათება

ნაშრომში განხილულია მტკვარ-არაქსის პერიოდის ნამოსახლარებიდან, კონკრეტულად შიდა ქართლიდან და სირია-პალესტინიდან მოპოვებული არქეოლოგიური მასალა – სადგრები. ამ პერიოდის არტეფაქტები კომპლექსურად აქამდეც შეისწავლა სხვადასხვა არქეოლოგმა, თუმცა ჩემ მიერ შერჩეული ეს კონკრეტული ასპექტი საგანგებოდ აქამდე არ განხილულა, ამიტომ გადავწყვიტე, არტეფაქტების მხოლოდ ამ ტიპს შევხებოდი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, გარდა შერჩეული ორი არეალისა, მათ შორის მდებარე ტერიტორიაზეც მრავალგან ფიქსირდება იმავე დანიშნულების ნივთების აღმოჩენა, მაგრამ მივიჩნე, რომ კულტურის ჯერჯერობით დადასტურებული უკიდურესი წერტილების შესწავლა ძალზე საინტერესო სურათს დაგვიხატავდა და ეს ნამდვილად ასე მოხდა. შემოთავაზებული ნამუშევარი ნათლად დაანახევებს მკითხველს, თუ რამდენად არის მტკვარ-არაქსის კულტურის ორი უკიდურესი გეოგრაფიული არეალის ეს კონკრეტული მახასიათებლები ერთმანეთის მსგავსი ან ერთმანეთისგან განსხვავებული.

ლევან ტავლალაშვილი

Spolia opima, ოქტავიუსი და მარკუს ლიცინიუს კრასუს დივესის დაუფასებელი სამხედრო დიდება

რომაელებს უყვარდათ ომი, ხოლო ომში გამარჯვებულებს ისინი აღმერთებდნენ. ძველ რომში მხედართმთავრისთვის უდიდეს პატივად ითვლებოდა, როდესაც იგი, ორთაბრძოლაში, მოწინააღმდეგის მეთაურს დაამარცხებდა და მის საჭურველს იუპიტერის ტაძარს შესწირავდა. გამარჯვების ამ ნიშანს ანუ ტროფეის *spolia opima* ეწოდებოდა და ითარგმნება როგორც „დიდებული ნადავლი“.

Spolia opima-ს შეწირვის პატივი ძველი რომის მთელი ისტორიის განმავლობაში მხოლოდ სამ მხედართმთავარს ერგო: 1. ქალაქ რომის ლეგენდარულ დამაარსებელსა და მის პირველ მეფეს – რომულუსს, რომელმაც კენიტების მეფე აკრონი დაამარცხა; 2. სამხედრო ტრიბუნ ავლუს კორნელიუს კოსუსს, რომელმაც ძვ. წ.-ის 437 წელს, ქალაქ ვეის მეფე ლარს ტოლუმნიუსი განგმირა; 3. ხუთგზის კონსულს, მარკუს კლავდიუს მარცელუსს, რომელმაც ძვ. წ.-ის 222 წელს ინსუბრების მეფე ბრიტო-არტუსი მოკლა.

მარცელუსის მოპოვებული დიდებიდან, თითქმის ორასი წლის შემდეგ, *spolia opima*-ს საკითხი ისევ აქტუალური გახდა. ძვ. წ. 29 წელს პირველი ტრიუმვირატის წევრ მარკუს კრასუსის შვილიშვილიმა – პროკონსულმა მარკუს ლიცინიუს კრასუს დივესმა – ბასტარნების მეფე დელდო დაამარცხა, თუმცა *spolia opima*-ს შეწირვის უფლება ოქტავიუსმა არ მისცა იმ მიზეზით, რომ კრასუსი, დელდოსთან ორთაბრძოლისას, უმაღლესი მხედართმთავარი არ იყო და მას მხოლოდ პროკონსულის თანამდებობა ეკავა. თუმცა *spolia opima*-ს მეორე მფლობელ ავლუს კორნელიუს კოსუსს ტროფეის მოპოვებისას არა კონსულის, არამედ სამხედრო ტრიბუნის თანამდებობა ეკავა, რაც კრასუსმა საკუთარ არგუმენტად გამოიყენა. რამდენად ეკუთვნოდა *spolia opima* მარკუს კრასუს დივესს და რა იყო ოქტავიუსის უარის რეალური მიზეზი, საკონფერენციო თემის განხილვის მთავარი საგანი იქნება.

მიმოხატიე

ევროსკეპტიციზმის თეორია და მისი პრაქტიკული გამოვლინება ევროპის ქვეყნებში

ევროსკეპტიციზმი და ევროკავშირის მიმართ სკეპტიკურად განწყობილი პოლიტიკური პარტიები, დიდი ხანია, ძალეებს იკრებენ, როგორც ევროპის დამფუძნებელ ქვეყნებში, ისე მის შედარებით ახალ წევრებშიც. მათი გავლენის ზრდა რამდენიმე ფაქტორის კომბინაციას ეფუძნება: შრომითი მიგრაცია ევროკავშირის შიგნით; მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი, პოლიტიკური ელიტებით უკმაყოფილება, კორუფცია; განსაკუთრებით მწვავედ სახელდება იმიგრაციის გაზრდა ევროკავშირში, რასთან ბრძოლასაც მიზნად ისახავენ ხოლმე ევროსკეპტიკოსები. ბოლოდროინდელმა უპრეცედენტო მიგრაციულმა ტალღამ სირიიდან და ასევე, ევროპის შუაგულში მომხდარი ტერორისტული აქტების წყაბამ დამატებითი საწვავი მისცა იმ მოძრაობებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ მათ ხალხებსა და სახელმწიფოებს დამოუკიდებლად უფრო შეუძლიათ გაუმკლავდნენ პრობლემებს და რომ მათთან ბრძოლაში ბრიუსელი დაბრკოლება უფროა, ვიდრე შესაძლებლობა.

ევროსკეპტიციზმი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა გაერთიანებულ სამეფოში, რომ მისი მოქალაქეების უმრავლესობამ უპრეცედენტო გადაწყვეტილება მიიღო, დაეტოვებინა ევროკავშირი. ამ პროცესს, ბუნებრივია, დიდი გავლენა ჰქონდა შემდგომ ევროკავშირის დანარჩენ წევრ სახელმწიფოებზე და მივიღეთ უფრო მეტად გაზრდილი ევროსკეპტიციზმი, რაც საფრთხეს უქმნის ევროკავშირის ერთიანობას. საერთაშორისო ურთიერთობების ბევრი სპეციალისტი საუბრობს უკვე ევროკავშირის სისტემის დასასრულზე, მის კრახზე, რასაც ასკვნიან ბრიტანეთის გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით, რომ ეს გამოიწვევს სხვა წევრების მიერ ევროპის გადახედვას და შესაძლებელია მათ მიერ ევროკავშირის დატოვებასაც. შესაბამისად, უარყოფითად ფასდება ევროსკეპტიციზმის გამოვლინება, მაგრამ მეცნიერთა და პოლიტიკოსთა მეორე ნაწილი ასე არ თვლის. პირიქით, ისინი ამ პროცესში დადებით შედეგს ქონის აღბათობას უშვებენ, რომ ევროსკეპტიციზმის პროცესი შეიძლება გახდეს ის ფაქტორი, რომელიც აიძულებს ევროკავშირს იფიქროს აქტიური რეფორმების გატარებაზე, რომელიც მას უკეთეს ეკონომიკურ-პოლიტიკურ სისტემას მოუტანს და დაკარგული ერთიანობის იდეას დაუბრუნებს.

თორნივე ტყემალაძე

მტკვარ-არაქსის კულტურის შიდა ქართლის რეგიონის ნაგებობები: გუდაბერტყას ნამოსახლარის შემთხვევა

ადრე ბრინჯაოს ხანაში (ძვ.წ.-ის IV-III ათასწ.) „მტკვარ-არაქსული“ კულტურა სხვა ტერიტორიებთან ერთად მოიცავდა შიდა ქართლის რეგიონსაც, რომელიც მის ცენტრალურ არეალადაა მიჩნეული. შესაბამისად, ამ რეგიონში აღმოჩენილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ძეგლი – გუდაბერტყას ნამოსახლარი გამოირჩევა ამ კულტურაში არსებული საცხოვრებელი კონსტრუქციის კარგად შემონახული მონაცემებით. ის აშკარად ამჟღავნებს შიდა ქართლისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს, რაც სარლასტიანი კონსტრუქციის დომინირებით არის წარმოდგენილი.

„მტკვარ-არაქსულ“ ნაგებობათა ტიპს წარმოადგენს მომრგვალებულკედლებიანი სწორკუთხა სახი საცხოვრებელი ოთახითა და სამეურნეო დანიშნულების წინა დერეფნით, თიხატყეპნილი იატაკით, საცხოვრებელ სახლში აღმართული დედაბოძითა და მის წინ გამართული მრგვალი ფიგურული კერით, თიხატყეპნილი ბრტყელი ძელური გადახურვით, რომელშიც საკვამლე და სანათი ხვრელიც იყო დატანებული. როგორც წესი, კედლები ამოყვანილი იყო კარგად მოსწორებულ მოედანზე, რომელიც დატყეპნილი იყო რიყის ქვებითა და თიხით. ამიტომ კედლებს საგანგებოდ გაჭრილი საძირკველი არ გააჩნდათ. კედლები ამოყვანილია ან თიხის ხსნარით ერთმანეთთან დაკავშირებული ალიზ-აგურით ან ხის სარებით და წნელებით, რომელიც შემდეგ ორივე მხრიდან რამდენიმე ფენადაა თიხით შელესილი.

ნატა ტყეშელაშვილი

ბიბლიური წარმოდგენები სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ

საკონფერენციო თემაში განხილული იქნება ბიბლიური წარმოდგენები სულის უკვდავებასა და საიქიო სამყაროზე. სიკვდილისშემდგომ ცხოვრებაზე მრავალი აზრი არსებობს, მაგრამ საინტერესოა ბიბლიური წარმოდგენები სამოთხისა და ჯოჯოხეთის შესახებ მაშინ, როდესაც ეს ორი ცნება, იმ შინაარსით, რომლითაც გვესმის, არ გვხვდება ძველ აღთქმაში.

ბიბლიაში ნათქვამია, რომ გარდაცვლილთა სულები არ არიან მოხეტიალენი, ისინი მიდიან განსაკუთრებულ ადგილას, რომელსაც, ძველი აღთქმის მიხედვით, შე'ოლ(שול) ეწოდება. მრავალ ენაში, მათ შორის ქართულში, ებრაული სიტყვა შე'ოლის ზუსტი ეკვივალენტი არ არსებობს. ბიბლიის თარგმანებში სიტყვა „ჯოჯოხეთის“ გამოყენებასთან დაკავშირებით ნათქვამია: „ვინაიდან „ძველი აღთქმის“ დანერის პერიოდში შე'ოლი მიუთითებდა, უბრალოდ, მიცვალებულთა სამყოფელზე და გამოიყენებოდა ყველანაირ ადამიანთან მიმართებით, განურჩევლად მათი ზნეობისა, ამ სიტყვის ჯოჯოხეთად თარგმნა უმართებულოა“. ბიბლიიდან აშკარად ჩანს, რომ შე'ოლი ნიშნავს კაცობრიობის საერთო სამარეს, ანუ ადგილს, სადაც ცნობიერება არ არის. შეუძლებელია იმის თქმაც, რომ ის „ღვთისგან გაუცხოებული მდგომარეობაა“. ასეთი სწავლება საფუძველს მოკლებულია, რადგან ბიბლიიდან ჩანს, რომ შე'ოლი ღვთის წინაშეა და ღმერთი იქაც არის.

ებრაული სიტყვა შე'ოლ 65-ჯერ გვხვდება ბიბლიაში. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემაში ის 29-ჯერ ითარგმნა შავეთად, 17-ჯერ – ჯოჯოხეთად, 17-ჯერ – ქვესკნელად, ერთხელ – სულეთად და ერთხელ – საფლავად. გარდა ამისა, შე'ოლ ებრაულ დედანში ესაიას 7:11-ში გვხვდება და აკვილას, სიმაქუსისა და თეოდოტიონის ძველ ბერძნულ თარგმანებში ჰადესად ითარგმნა. ამრიგად, შე'ოლის კონკრეტული მნიშვნელობის განსაზღვრა მხოლოდ კონტექსტიდან გამომდინარე არის შესაძლებელი.

კესო უძილაური

სწორფრობა-წაწლობის თემა ფოლკლორსა და ლიტერატურაში

აღმოსავლეთ მთის ტრადიციებიდან ერთ-ერთ ყველაზე იდუმალ ფენომენად სწორფრობა-წაწლობის ინსტიტუტი რჩება. ეს წეს-ჩვეულებები დღეს აღარ არსებობს, თუმცა მათ შესახებ ინფორმაცია მოიპოვება როგორც სამეცნიერო, ისე მხატვრულ ლიტერატურასა და ფოლკლორში.

საკითხზე მუშაობისას გავეცანით ყველა მოსაზრებას, რომლებიც ამ ტრადიციათა წარმოშობისა და ფუნქციის შესახებ გამოთქმულა. ხევესურეთში სწორფრობა, ფშავში კი წაწლობა სატრფიალო პოეზიის თემატიკაა. დღესდღეობით ფშაური კაფია ფართოდაა გავრცელებული და, შეიძლება ითქვას, რომ ის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭებასაც კი იმსახურებს. სწორედ სატირულ-იუმორისტულ კაფიებშია აღწერილი ფშაველთა ყოფა-ცხოვრების ძირითადი ასპექტები. ლელა გაბურის აზრით, როგორც ფშავში, ისე ხევესურეთში პოეზიის უმნიშვნელოვანესი ნაწილი ცხოვრებაში გაუმჟღავნებელი სასიყვარულო ენერჯის სუბლიმაციაა. ამ სიყვარულის გადმოსაცემად კი კომიკური და ემოციური ზეგავლენის მქონე მხატვრული გამომსახელობითი საშუალებებია გამოყენებული.

სწორფრობის ტრადიციას ვხვდებით მიხეილ ჯავახიშვილისა და გრიგოლ რობაქიძის თხზულებებშიც – „თეთრი საყელო“ და „ენგადი“. საინტერესოა ის, თუ როგორ გაიაზრა ამ ორმა გენიალურმა მწერალმა ხევესურული ტრადიციების არსი და რა მსგავსება-განსხვავებებით გადმოგვცეს იგი.

კვლევის მიზანია სწორფრობა-წაწლობის, როგორც აღმოსავლეთ მთის ხალხური სატრფიალო პოეზიის თემატიკის, მნიშვნელობისა და ღირებულების წარმოჩენა. ასევე სწორფრობაზე შექმნილი ზეპირსიტყვიერი და მხატვრული ტექსტების შედარება ამ ფენომენის გააზრებისა და გადმოცემის თვალსაზრისით.

ანა ფანცულაია

ტიპოლოგიური პარალელები მიგელ დე უნამუნოს „აბელ სანჩესსა“ და „დაბადების“ წიგნში

1917 წელს მიგელ დე უნამუნომ გამოსცა ნოველა „აბელ სანჩესი“, რომელსაც შეიძლება ფსიქონალიტიკური გამონაგონი/ფიქცია ვუნოდოთ. ზემოაღნიშნული ნოველა „დაბადების“ წიგნის ერთ-ერთი სიუჟეტის – „კაენისა და აბელის“ – თანამედროვე ინტერპრეტაციაა.

„აბელ სანჩესში“ იკვეთება მწერლის პიროვნებისა და შემოქმედებისთვის ნიშანდობლივი რამდენიმე ასპექტი: პერსონალიზმი, ცხოვრების ტრაგიკული შეგრძნება, სკეპტიციზმი და პერსონაჟთა აგონისტური ბუნება. ნაწარმოები წარმოადგენს დღიურს – ხოაკინ მონეგროს ჩანაწერებს, რომელიც მწერალმა იპოვა, განავრცო და წიგნად გამოსცა. ხოაკინის პროტოტიპია ბიბლიური კაენი, პირველი მკვლეელი და პირველცოდვის ჩამდენი, ხოლო აბელ სანჩესის პროტოტიპია ბიბლიური აბელი – კეთილი მწყემსი, მსხვერპლი.

ტექსტის მიხედვით, აბელი ყველასაგან მოსაწონი პიროვნებაა, ხოაკინი კი, პირიქით, ბავშობის მეგობრის მიმართ აღძრული შური თანდათანობით იზრდება და მათი ცხოვრება ემსგავსება ბიბლიურ სიუჟეტს, თუმცა, გარკვეული თვალსაზრისით, განსხვავდება მისგან, რაც მიგელ დე უნამუნოს პოზიციასა და ხოაკინ მონეგროს სულიერი მდგომარეობის დახატვაში, ბოროტ სანყისებთან ბრძოლაში ვლინდება. ნაწარმოების სათაურიც – „აბელ სანჩესი“ ირონიული და სიმბოლური დამოკიდებულების დემონსტრირებაა ხოაკინ მონეგროსადმი ავტორის მხრიდან, რომელმაც მიზანმიმართულად აირჩია მისი მეგობრის სახელი.

ლინდა ფარეულიძე

სიტყვა „ცოდვა“ ინგლისურ, ქართულ და ჩეჩნურ/ქისტურ ენებში

ცოდვა რელიგიური ცნებაა და ნიშნავს რელიგიური და ზნეობრივი კანონების დარღვევას.

რელიგიურ კონტექსტში „sin“ ღვთის კანონების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულია. „Sin“ ინგლისურ ენაში შეიძლება განიხილებოდეს როგორც ნებისმიერი ფიქრი ან ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის იდეალურ ურთიერთობას ღმერთსა და ინდივიდს შორის.

Къа – 1) ცოდვა; 2) სიბრალული, შებრალება; **Къа** – ქისტურ/ჩეჩნურში არის რელიგიური და მორალური ნორმებისა და წესების დარღვევა.

ისლამურ ეთიკაში მუსლიმები ცოდვად აღიქვამენ ყველაფერს, რაც ეწინააღმდეგება ღმერთის ბრძანებებს, რელიგიით დადგენილ კანონებსა და ნორმებს. ტერმინი „sin“-ის შესატყვისი ისლამში არის „Dhanb“ ან „Khatia“, რომლებიც სინონიმებია და აღნიშნავენ განზრახ ჩადენილ ცოდვას.

ბიბლია ცოდვას უწოდებს ასევე უმოქმედობას, ანუ როცა ადამიანი არ აკეთებს იმას, რაც იცის, რომ სწორია. (იაკობი, 4,17) „ცოდვად“ ნათარგმნი ებრაული და ბერძნული სიტყვები ნიშნავს „აცდენას“.

ინგლისური სიტყვა „sin“ მომდინარეობს ძველი ინგლისური სიტყვიდან – „syn(n)“. სიტყვა „sin“ შეიძლება ასევე დაკავშირებული იყოს ლათინურ სიტყვასთან – „sons, sont“-ის, რაც დამნაშავეს ნიშნავს.

როგორც უკვე ვთქვით, ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში „къа“ ნიშნავს ცოდვას, შებრალებას, მაგრამ არსებობს ასევე ამ სიტყვისგან ნაწარმოები მრავალი სხვა საინტერესო დერივატი, მაგალითად:

- „Къа-мел“, რაც ნიშნავს საუბარს. შეიძლება ითქვას, რომ ერთი სიტყვა შედგება ორი ანტიონიმური მნიშვნელობის სიტყვისგან: **къа** – ცოდვა და **мел** – სიკეთე.

- „Кха-диехр“ ნიშნავს გინებას. „Диехр“ – ნიშნავს თხოვნას, მუდარას. როგორც ვხედავთ, ამ სიტყვას დადებითი მნიშვნელობაც აქვს, მაგრამ ცოდვასთან ერთად იხმარება უარყოფით კონტექსტში.

ჩეჩნურ ენაში (ასევე ჩეჩნური ენის ქისტურ დიალექტში) არაერთი ანდაზა არსებობს „Къа“ სიტყვის გამოყენებით, მაგალითად:

„Хьума лачкхийначуна- цхъа къа, яйна чуна –исс къа.“

ეს არის ძალიან საინტერესო გამონათქვამი, რომლის ზუსტი შესატყვისიც გვაქვს ასევე ქართულ ენაში: „ქურდმა ერთი ცოდვა ქნა, დამბრალებელმა ათასიო.“

ინგლისური და ქართული ენები სავსეა იდიომატური გამონათქვამებით, როგორებიცაა, მაგალითად,

ინგლისურში:

- as ugly as sin – ძალიან უშნო.

ქართულში:

- ცოდვიჭამია – სხვისი ნაოფლარის მიმთვისებელი.

ჩეჩნურ/ქისტურში

- КЪИНОЙХ ВУЗИН – ცოდვებით სავსე ადამიანი.

ამ ყველაფერზე დაყრდნობით, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართულ, ქისტურ/ჩეჩნურ და ინგლისურ ენებში „ცოდვის“ სემანტიკა, გარკვეულწილად, ერთნაირია, მაგრამ ასევე გამოიკვეთა განსხვავებები ამ ენებს შორის საკვლევ სიტყვის მნიშვნელობებსა და მასთან დაკავშირებულ ფრაზეოლოგიურ ერთეულებთან მიმართებით.

თამარ ფიცხელაური

ახალი გუდამაყრული გადმოცემები ჯვარ-ხატთა დაარსების შესახებ

გუდამაყრის ხეობა აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეა, რომელსაც დღეს განიხილავენ მთიულეთის ერთ-ერთ თემად. მას მართლაც ბევრი რამ აქვს საერთო მთიულეთთან, მაგრამ აქვს ის განმასხვავებელი ნიშნებიც, რომლებიც გამოარჩევს ყველა სხვა მხარისაგან. ნაშრომის მიზანია, გაგვაცნოს ამ ხეობაში არსებული გადმოცემები ჯვარ-ხატთა დაარსების შესახებ, რომლებიც ყურადღებას იპყრობენ ვარიანტულობითა და მრავალფეროვნებით. ნაშრომში გამოყენებულია როგორც ჩემ მიერ შეგროვებული მასალა, აგრეთვე ფოლკლორულ არქივში დაცული ჩანაწერებიც. მსჯელობისას ვეყრდნობი ელენე ვირსალაძის, ზურაბ კიკნაძის, ქსენია სიხარულიძისა და სხვა გამოჩენილ ფოლკლორისტთა ნაშრომებს. მოხსენებაში განხილულია გადმოცემები გუდამაყრის ხეობის სალოცავების დაარსებაზე, მათი მსგავსება-განსხვავებები, ტიპოლოგია, კლასიფიკაცია და ა.შ.

გუდამაყრის მთავარი სალოცავებია პირიმზე და ფუძის ანგელოზი. პირიმზის დაარსებასთან დაკავშირებული გადმოცემები უკვე მრავალჯერაა ჩანერილი. მას ახალციხიდან მოსულს უწოდებენ, თუმცა სიახლეა მჭედლის მიერ მისი დატყვევების ამბავი. ანდრეზებში იგი მტრედის სახით ეჩვენება საყმოს, ეს მოვლენა შეიძლება სახარებისეული ეპიზოდის ერთგვარ პარადიგმადაც განვიხილოთ.

ჩემ მიერ ჩანერილ ერთ-ერთ გადმოცემაში პირიმზის სალოცავი ერთ ადგილას არ ჩერდება, სწორედ ამიტომ გადაწყვეტს მჭედელი მისთვის გალიის გამოჭედვას და ამ საქციელის გამო მკაცრადაც ისჯება. მთქმელის ნაამბობის მიხედვით პირიმზის სალოცავს მჭედლები ხმამაღალი კაკუნით აწუხებენ და სწორედ ამიტომ არ შეუძლია მათ ჩამომავლობას „შულლიანთ“ დასტურობაში წილის ყრა, ან ხატის კარზე სხვა საქმიანობის შესრულება. მსგავსი დაპირისპირება მჭედლებსა და სალოცავს შორის სიახლეა.

გადმოცემები სალოცავთა დაარსების შესახებ სხვა შემთხვევებში ავლენენ ტიპოლოგიურ მსგავსებას საქართველოს აღმოსავლეთ მთიანეთში გავრცელებულ ანდრეზებთან. მოხსენებაში განხილულია ის საერთო ელემენტები, რომლებიც ახლავს გუდამაყრულ და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის გადმოცემებს.

თორნიკე ფსუტერი

მსხვერპლშენიერვის ბიბლიური ტრადიცია აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში

ბიბლიის თანახმად, სჯულის კანონი, რომელიც ღვთის შთაგონებით დაუნესა ისრაელიანებს მოსემ ეგვიპტის ტყვეობიდან გამოსვლის შემდეგ, დაინერა მოსეს ხანაში. მასში დეტალურად არის აღწერილი, თუ როგორ უნდა ემსახურონ ერთადერთ ღმერთს, როგორ დაუდგინდეს ბრალდებულს დანაშაული, როგორ დაისაჯოს ის და ა.შ. ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობა სრულიად განსაკუთრებულია. მრავალი ასეთი შემთხვევა არის დადასტურებული ბიბლიაში და ყოველი მათგანი გამორჩეული და განსაკუთრებულია. ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობას, კავშირს, შესაბამისი წესები აქვს. ერთ-ერთი ამგვარი მნიშვნელოვანი წესი არის მსხვერპლშენიერვის წესი, რომელსაც ჯერ კიდევ პირველი ადამიანები ასრულებდნენ მანამდე, ვიდრე ეს კანონით გამყარდებოდა და ჩაინერებოდა. როგორც მრავალი სხვა ტრადიცია, ესეც ფართოდ იყო გავრცელებული სხვადასხვა ხალხში, რაც არაერთი ისტორიულ-არქეოლოგიური არტეფაქტით დასტურდება. გამონაკლისი არც ჩვენი წინაპრები იყვნენ. ეს იმდენად ძველი და ძლიერი ტრადიცია იყო, რომ დღემდე სრულდება მსხვერპლშენიერვის რიტუალი აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში.

ნაშრომში განხილულია მსხვერპლშენიერვის ტრადიციის საკითხი ძველი აღთქმის წიგნებსა და აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში. ყურადღება გამახვილებულია ბიბლიურ სიუჟეტებზე და აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რეგიონებში მსხვერპლშენიერვის რიტუალებზე. შევეცადე, მაქსიმალურად წარმოემჩინა, თუ როგორ წარმოიშვა ეს საკრალური რიტუალი საკუთრივ წმიდა წერილში (თანხაში) და ასევე, როგორი ტრანსფორმაცია განიცადა და დამკვიდრდა ის აღმოსავლეთ საქართველოს მაღალმთიანეთში. ამასთანავე შევეცადე, გამეგლო პარალელები ბიბლიურ ტრადიციასა და საქართველოში მსხვერპლშენიერვის ტრადიციას შორის.

რა არის მსხვერპლშენიერვა? რა საკრალური მნიშვნელობა ჰქონდა მას? რას ამბობს ბიბლია ამ ტრადიციების შესახებ? როგორ სრულდებოდა ეს რიტუალი ისრაელიანებსა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანი რეგიონების მკვიდრ ქართველებში? შევეცადები, ჩემს ნაშრომში გავცე პასუხი ზემოხსენებულ კითხვებზე.

ზაზა ქარჩავა

ლიცინიუს სექსტიუსის „აგრარული კანონი“

რომის რესპუბლიკის ადრეული პერიოდისათვის დამახასიათებელია გამუდმებული ბრძოლა პატრიციებსა და პლებებს შორის. პლებები იბრძვიან საკუთარი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური უფლებების განსამტკიცებლად. მათი აქტიური ბრძოლის შედეგად შეიქმნა მაგისტრატურა, სახალხო ტრიბუნის სახით, რომელიც იცავდა მათ პოლიტიკურ და ეკონომიკურ უფლებებს, მთავარი შედეგი ამ ბრძოლისა იყო ის, რომ ერთი კონსული, აუცილებლად, უნდა არჩეულიყო პლებების რიგებიდან. ამ „რეფორმას“ ანტიკური ხანის ავტორები მიაწერენ სახალხო ტრიბუნებს – ლიცინიუს სტოლონსა და სექსტიუს ლატერანუსს. რომაული საისტორიო ტრადიცია მათვე მიაწერს რომში პირველი „აგრარული კანონმდებლობის“ შექმნას.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ეს „კანონი“ ზღუდავდა საზოგადო მინდვრის ოკუპაციის ნორმას 500 იუგერით (125 ჰა). ჩვენს მოხსენებაში სწორედ ეს აგრარული კანონმდებლობაა განხილული. ნაშრომში დიდი ყურადღება ეთმობა ანტიკური ხანის ისტორიკოსთა ცნობებს ლიცინიუსისა და სექსტიუსის „აგრარული კანონის შესახებ“, ასევე შეძლებისდაგვარად წარმოდგენილია ამ საკითხის გარშემო ქართველ და უცხოელ მკვლევართა მოსაზრებები და ნაშრომები. მოხსენების მთავარი მიზანია, აჩვენოს ანტიკური ხანის ავტორთა ცნობების შეუთანხმებლობა და დამტკიცოს, რომ ძვ.წ.-ის IV საუკუნის I ნახევრისთვის წარმოდგენილია, რომაული სამყაროს წინაშე დამდგარიყო აგრარული კანონმდებლობის შექმნის საჭიროება. ძვ.წ.-ის IV ს.-ის 70–60-იან წლებში რომში არსებული ვითარება არ მეტყველებს ამ ეპოქისთვის აგრარული საკითხის აქტუალურობას. ლიცინიუს-სექსტიუსის „აგრარული კანონის“ განხილვისას უმთავრესი რომის პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების გათვალისწინებაა. ძვ.წ.-ის IV ს.-ის I ნახევრისთვის რომი აკონტროლებდა იტალიის უმნიშვნელო ნაწილს. დაპყრობილი

ტერიტორიების სიმცირე ლიცინიუს-სექსტიუსის „აგრარული კანონმდებლობის“ საწინააღმდეგოდ გამოთქმული მთავარი არგუმენტია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აგრარული საკითხი გააქტიურდა II პუნიკური ომის შემდეგ, იმდენად, რამდენადაც მეორე პუნიკურმა ომმა დიდი ზემოქმედება მოახდინა რომის პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ძმებ გრაკუსებსამდე აგრარული რეფორმის კვალი არის მეტად ბუნდოვანი და მკრთალი. ეს ყველაფერი კი დასტურდება ანტიკური ხანის ავტორთა ცნობებისა და რომაული სინამდვილის ურთიერთშეჯერებით, რაც, შეძლებისდაგვარად, განხორციელებულია ჩვენს მოხსენებაში.

მარიამ ქოსაშვილი

ინვერსიის პრობლემა ქართულ ზმნაში

ნაშრომი ეხება ინვერსიის საკითხს ქართულ ლინგვისტიკაში. უფრო კონკრეტულად კი ამ თემას განვიხილავთ შემდეგი სახით: რა არის ინვერსია, მისი საფუძველი, როგორ ხდება ინვერსიის პროცესი გარდამავალ და გარდაუვალ ზმნებში.

კვლევითი ანალიზი მოიცავს არა მხოლოდ გამოჩენილი ენათმეცნიერებისა და ლინგვისტების მოსაზრებებს, არამედ პირადად ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგის აღწერასა და გადმოცემას.

რადგანაც ზმნა ერთ-ერთი რთული მეტყველების ნაწილია, მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი ზუსტ შემეცნებასა და გამოკვლევას მოითხოვს. ამიტომ ინვერსიის საკითხი მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო კუთხითაა გაშუქებული ამ მხრივ. ნაშრომში საუბარი იქნება იმაზეც, თუ კონკრეტულად რომელი პირისა და რიცხვის ზმნებში ხდება ინვერსია და რას მოიაზრებს ინვერსიის ცნება მის სტაბილურობასა თუ ლაბილურობასთან მიმართებით.

ამ საკითხთან დაკავშირებით არაერთი განსხვავებული მოსაზრება მოგვეპოვება. ამიტომ კვლევის საფუძველზე ეს მოსაზრებები ერთმანეთს შედარდა, დაუპირისპირდა და საბოლოოდ დავიდა კიდეც იმ კონცეფციამდე, რომელსაც დღეს ფართოდ ვიყენებთ ქართული ენის გრამატიკის სფეროში.

ამასთან, გასათვალისწინებელია ინვერსია ქართულ ზმნაში დიაქრონიული და სინქრონიული ასპექტით. საინტერესო იყო დამანა მელიქიშვილის სტატიის განხილვაც და იმის აღმოჩენა, რომ იგი ინვერსიას ზმნაში ლოგიკურად პასიური სუბიექტისა და ლოგიკურად აქტიური ობიექტის არსებობით ხსნის. გარდა ამისა, იგი გრძნობა-აქტის ზმნებსაც ეხება, რომელთა შესახებაც უფრო ფართოდ იქნება საუბარი განსახილველ მასალაში.

მარიამ ქოსაშვილი

მიჯნურობა „ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიანში“ – შედარებითი ანალიზი

საკონფერენციო თემა ეხება მიჯნურობის პრობლემასა და მის ანალიზს ორ პოემაში: „ვეფხისტყაოსანსა“ და „ვისრამიანში“. თემაში გაშუქებულია მიჯნურობის მთელი რიგი მახასიათებლებისა და განხილულია ის შედარებით-ტიპოლოგიური თვალსაზრისით.

ურთიერთშედარების საფუძველზე მკაფიოდ გამოიკვეთა ის ნიშნები და მხარეები, რომლებიც მოგვითითებენ ამ ორი პოემის მსგავსება-განსხვავებაზე, უფრო მეტიც, დაზუსტებული, დაკონკრეტებული და გამოკვეთილია მიჯნურობის თეორიული საფუძვლები.

ყველაფერთან ერთად ამ ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული მთავარი გმირების ხასიათი, ბუნება, შინაგანი მდგომარეობა და განცდები სიყვარულთან მიმართებით. თითოეული თხზულების განხილვისას დავინახავთ, ვინ როგორ უყურებს სიყვარულის ცნებას და რას განიცდიან ამ გრძნობით შეპყრობილი ადამიანები.

ნაშრომი დაფუძნებულია გამოჩენილი მეცნიერებისა და მკვლევრების ნაზრევზე, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებზე საკითხისადმი და გაფორმებულია კიდეც მეცნიერული წესების დაცვით. ლიტერატურის განხილვისა და მათი ანალიზის საფუძველზე მეტად საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა ჩატარებული გამოკვლევა. კიდევ უკეთესად გამოვლინდა ის ნიუანსები, რომელთა წინაშეც სრულიად უძლიერი და უმოქმედოა სიყვარულით დასნეულებული ადამიანის ბუნება.

ნინო ღლონტი

ლათინური ენის პირველი ქართული სახელმძღვანელო (1882 წელი)

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება 63-გვერდიანი ნიგნი „კარი ლათინური გრამმატიკისა“. ნიგნი 1882 წელს კონსტანტინეპოლში, ანტუან გვიზალიანის სტამბაშია გამოცემული. ამ სტამბის კვალს პარიზის სამხრეთით მდებარე ტარნი და გარონის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ ცენტრ მონთობანში XIX ს.-ის II ნახევარსა და XX ს.-ის დასაწყისში არსებულ ქართველ მამათა სავანესთან მივყავართ.

ცნობილია, რომ პეტრე ხარისჭირაშვილმა მონთობანსა და კონსტანტინეპოლში დააარსა ქართველ კათოლიკეთა მონასტრები და სტამბები. ამ საძმოს მიერ მომზადებული ნიგნები ნაწილობრივ ცნობილია საზოგადოებისთვის. მონთობანის მუნიციპალური არქივების დირექტორი პასკალ ლერუა აღწერს 11 ნიგნს, რომელთაგან რამდენიმე გვიზალიანის სტამბაშია დაბეჭდილი. არც ამ ნუსხასა და არც ქართველ მკვლევართა ნაშრომებში, რომლებიც გრამმატიკული აზრის ისტორიას ეხება, ქართულად დაწერილი ლათინური ენის სახელმძღვანელოს შესახებ არაფერია შენიშნული.

მიუხედავად იმისა, რომ მონთობანის ქართველ მამათა სავანესთან დაკავშირებით მკვლევართა მიერ ისტორიის უმთავრესი მომენტები შესწავლილია, ბევრი რამ კვლავაც ბურუსითაა მოცული. როგორც ჩანს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულ ნიგნს ამ ისტორიის კვლევაში გარკვეული წვლილის შეტანა შეუძლია. გარდა ამისა, „კარი ლათინური გრამმატიკისა“ თავისთავად საინტერესოა ტერმინთა და ლათინური გრამმატიკული ცნებების ქართულად გადმოცემის თვალსაზრისითაც.

პირველად მოხსენებაში გადმოცემულ საკითხს სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენციაზე – „ანტიკურობის თანამედროვეობა“ – შევეხეთ და იქვე აღვნიშნეთ იმის შესახებ, რომ ამ საკითხთა კვლევას განვაგრძობთ, რადგან „კარი ლათინური გრამმატიკისა“ ჯერ არც ერთ ქართველ მკვლევარს არ შეუსწავლია.

ღვთისაგარ ჩაბრავა

რა არის თეოსოფია

თეოსოფია ღვთიური სიბრძნის წარმოჩენის მეცნიერება, ანუ ღვთისშემეცნების მეთოდოლოგიაა და მას ამ სახელით მოიხსენიებდნენ სხვადასხვა ფილოსოფიურ სისტემაში: იუდაისტურ კაბალაში, ანტიკურ და ქრისტიანულ გნოსტიციზმში, ისლამურ სუფიზმში. თეოსოფია, ძირითადად, დაფუძნებულია ინდურ ფილოსოფიურ-მეტაფიზიკურ სისტემებზე.

თეოსოფია, როგორც მეცნიერების დარგი, XIX ს.-ის 70-იან წლებში ჩამოყალიბდა და ეს ფაქტი დაკავშირებულია ელენა ბლავატსკაიას სახელთან, რომელმაც ნიუ-იორკში პოლკოვნიკ ჰენრი ოლკოტთან ერთად 1875 წ.-ს დააფუძნა თეოსოფიური საზოგადოება. თეოსოფების დევიზი იყო ძველინდური გამოთქმა: *satyat nasti paro dharmā*, რაც ნიშნავს: „რელიგიები არ არიან ჭეშმარიტებაზე მეტნი, ანუ არცერთი რელიგია არ დგას ჭეშმარიტებაზე მაღლა“.

თეოსოფია ცნობს რეინკარნაციასა და პოლითეიზმს. თეოსოფია სინკრეტული სწავლებაა, რომელიც საკუთარ თავში აერთიანებს მსოფლიოს მრავალ მოძღვრებას: ბუდიზმს, ინდუიზმს, ჯაინიზმს, სიქიზმს, ლამაიზმს, დაოსიზმს, სინტოიზმს, ანიმიზმს, ზოროასტრიზმს, ისლამურ სუფიზმს, ებრაულ ტრანსცენდენტურ კაბალას, ქრისტიანულ გნოსტიციზმს, ქრისტიციზმს.

ქრისტიანული თეოსოფიის ისტორია იწყება იაკობ ბიომეს მოღვაწეობასთან ერთად. XVII ს.-ის გერმანიაში ი. ბიომეს მიმდევრები იყვნენ: იოჰან გეორგ გიშელი, გოტფრიდ არნოლდი, ანტუანეტ ბურ-გინიონი, ჯონ პორდაუი, ჟან ლეადი და XVIII-XIX საუკუნეების სხვა ავტორები. ფრიდრიხ იოზეფ ფონ შელინგი – ნატურფილოსოფიისა და ტრანსცენდენტალური იდეალიზმის ფუძემდებელი, თეოსოფიას, თეოსოფიზმს მიიჩნევს მისტიციზმის ნაირსახეობად, რომელიც გამორიცხავს მეცნიერულ შემეცნებას. პეტრე იბერის (ანუ დიონისე არეოპაგელის) ტრაქტატებში სიტყვა „თეოსოფია“ იხმარება მისტიკური ღვთიშემეცნებისა და რაციონალისტური ფილოსოფიის სინთეზად. იგი მას სინონიმად უპირისპირებდა თეოლოგიას.

თეოსოფიის თანახმად, არსებობს სამყაროს მატერიალური გამოვლინების შვიდი ეტაპი; ვირტუალური, ილუზიური, მატერიალური კოსმოსის პროექცია, მისი მატერიალურობის შვიდი პლანი წარმოასახულ იქნა უმაღლესი ღმერთის – პარაბრაჰმანის – სამი ენერჯის საფუძველზე.

თეოსოფიურ მოძღვრებაში გამოჩენილი წარმომადგენლები იყვნენ: ალისა ენ ბეილი, ანა ბეზანტი, კუტ ჰუმი, და სხვ. თეოსოფ ელენა ბლავატსკაიასა და დიდი ებრაელი კაბალისტების: მაკ გრეგორ მატერსისა და ისააკ მეიერის ნაშრომებში ახსნილია ბიბლიური დაბადების ტექსტის ზოგიერთი ადგილი.

თამარ ჩაქსელიანი

უქონლობის სახელები სვანურ ენაში და სემანტიკური დიფერენციაციის საკითხები

უქონლობის სახელების წარმოება სვანურში ორგვარია: კონფიქსური (უ---ა) და სუფიქსური (-ურ//ულ) (ვ. თოფურია): უ-ლჩაქ-ა „ლჩაქო“; გურმაშ-ურ „ულვამო“; თეთრ-ულ „უფულო“ და სხვა. მათგან უქონლობის სახელთა -ურ სუფიქსიანი წარმოება უფრო ხშირია, უ---ა კონფიქსიანი ფორმები კი, მართალია, გვხვდება ოდენ სუფიქსიანი უქონლობის სახელების პარალელურად, მაგრამ ის უფრო მეტად უარყოფით მიმღებობათა კუთვნილებათა (უ-მჩ-ა-უ-დგარ-ა – „უბერებელ-უკვდავი“...).

ერთი და იმავე ფუძიდან უქონლობის სახელთა პარალელური წარმოების შემთხვევაში (ფაყუ „ქუდი“: ფაყუ-ურ / უ-ფაყუ-ა < უ-ფაყუ-ა „უქუდო“, ნათიურ / უნათა „უნათესავო“) მათ შორის ნიუანსური განსხვავება შეინიშნება: სუფიქსიანი ფორმები უფრო კონკრეტულად და ერთმნიშვნელოვნად გამოხატავენ უქონლობას: ნათიურ თელ რა და რს ხაკუ „უნათესავო რძალი არავის უნდა“; კონფიქსიანი ფორმა კი შესაძლოა, თვისებასაც გამოხატავდეს, ასეთ შემთხვევაში ქართულად ის უპრეფიქსო ფორმით გადმოვა: ალ მარე იმჟი უნათა ლი „ეს კაცი როგორი უნათესავოა = არამონათესავოა“.

გარდა ამისა, სახელთა ოდენ სუფიქსიანი უარყოფითი ფორმები ხშირად ზმნისართებად გვევლინებიან და ზმნისართია თუ ზედსართავი სახელი, ამის გარჩევა მხოლოდ კონტექსტითაა შესაძლებელი: შდრ. ფაყუ-ურ ბეფუ „უქუდო ბავში“, ფაყუ-ურ ანჯად „უქუდოდ მოვიდა“... (კონფიქსიანი უარყოფით სახელები არასდროს ემთხვევა შესაბამის ზმნისართებს, რადგან, ქართულის მსგავსად, ვითარებითი ბრუნვის ნიშანი სავალდებულოა: უ-ლჩაქ-ა-დ ანჯად „ულჩაქოდ მოვიდა“...).

ამრიგად, საანალიზო სახელთა ორი ტიპი (პრეფიქს-სუფიქსიანი და ოდენ სუფიქსიანი) სვანურ ენაში არა მხოლოდ წარმოებითა და გამოყენების სიხშირით განსხვავდება ერთმანეთისაგან, არამედ ფუნქციურად და ნიუანსურადაც.

მოსხენება მომზადებულია სამეცნიერო პროექტის (№FR17_388) ფარგლებში – „უარყოფის კატეგორია ქართველურ ენებში“, რომელიც ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.

თამარ ჩითინაშვილი

რელიგიური წარმოდგენების გავლენა ამერიკის საგარეო პოლიტიკის ძირითად ორიენტირებზე

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ, რელიგიური თვალსაზრისით, ამერიკის შეერთებული შტატები თავისი დაარსებიდან და კიდევ უფრო ადრეული – კოლონიური პერიოდიდან მოყოლებული, სექტების ქვეყანაა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით რელიგია და პოლიტიკა ერთმანეთისგან გამიჯნულია, ამერიკელთა რელიგიური წარმოდგენების გავლენა საგარეო პოლიტიკაზე ძალიან დიდია.

მე გამოვიყენე კვლევის თვისებრივი მეთოდი, კერძოდ დოკუმენტების ანალიზი (ამერიკის კონსტიტუცია, სექტების, რელიგიური მიმდინარეობების ნორმათა ჩანაწერები).

აშშ-ის აგრესიული დამოკიდებულება ზოგიერთი სახელმწიფოს, პირველ ყოვლისა, ირანის ისლამური რესპუბლიკის მიმართ, სწორედ ისრაელის ამ უპირობო და თითქმის მონური მხარდაჭერით არის განპირობებული და არა საკუთრივ ამერიკული ინტერესების ობიექტური გააზრებით. ეს აუცილებლად გასათვალისწინებელი მომენტი, რომელიც დიდ ჩალრმავებას არ საჭიროებს და თავად ამერიკული პროტესტანტიზმის დოგმებიდანაც ჩანს. სიონიზმისა და ისრაელის უპირობო მხარდაჭერა ევანგელიკალების მხრიდან, უპირველეს ყოვლისა, მაინც განპირობებულია არა იმდენად ისრაელის ლობის მოღვაწეობით, არამედ მათივე საკუთარი სარწმუნოებრივი წარმოდგენებით, სადაც ძირითადი ადგილი აპოკალიფსისს, ანუ სამყაროს დასასრულს უკავია.

მთლიანობაში, აშშ-ის მოსახლეობისა და პოლიტიკური ელიტის გავლენიანი ნაწილის მეცადინეობით, ამერიკის საგარეო პოლიტიკა მნიშვნელოვნად განისაზღვრება ისრაელის უპირობო მხარდაჭერით, „თავისუფლების“ ლოზუნგის მქონე სექტების წახალისებითა და სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობით.

დაჩი ჩიტაია ნიკა მუყასაშვილი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების პოლიტიკური მნიშვნელობა საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიის რეგიონისათვის

1918 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნებამ ძალიან დიდი მნიშვნელობა და გავლენა მოახდინა საქართველოს და, ზოგადად, სამხრეთ კავკასიის პოლიტიკურ განვითარებასა და ევროპასთან ინტეგრაციის პროცესზე. ეს იყო ის განსაკუთრებული შემთხვევა, როდესაც რუსეთის იმპერიის პერიფერიულ სივრცეში ჩამოყალიბდა არა რუსულ ყაიდაზე ანყობილი აკადემია, არამედ ევროპულ ღირებულებებზე, სტანდარტებსა და სწავლის მეთოდებზე დაფუძნებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

პირველი ქართული უნივერსიტეტის პროფესორების უმრავლესობას განათლება წამყვან ევროპულ უნივერსიტეტებში ჰქონდათ მიღებული, მათ შორის, თავად უნივერსიტეტის დამფუძნებელ ივანე ჯავახიშვილსაც, რომელიც ერთდროულად პეტერბურგისა და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი იყო. პირველი ქართული უნივერსიტეტის პროფესორები იყვნენ: ფილიპე გოგიჩაიშვილი, დიმიტრი უზნაძე და სხვანი. ისინი კარგად აანალიზებდნენ, რომ ევროპული საგანმანათლებლო სისტემა ყველაზე უკეთ ერგებოდა ქვეყნის მაშინდელ მიზნებს, მისწრაფებებსა და გამოწვევებს.

1918–1921 წლების საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც სეკულარიზმის, თანასწორობისა და თავისუფლების იდეებზე იდგა, იზიარებდა ევროპულ ღირებულებებს და მიისწრაფოდა მისკენ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის „დე-იურე“ აღიარების პროპაგანდაც კი განსაკუთრებით მნიშვნელოვან ხასიათს იღებდა ევროპულ წამყვან ქვეყნებში და სწორედ ამიტომ პირველი ქართული აკადემიის მოწყობა ევროპული ტიპის საგანმანათლებლო სისტემის ყაიდაზე ის სწორი არჩევანი იყო, რომელსაც ირჩევდნენ უნივერსიტეტის „დამფუძნებელი მამები“. ამიერკავკასიაში პირველი საგანმანათლებლო აკადემიის დაარსების მიზანი ევროპული ღირებულებების, ევროპული განათლების გაზიარება გახლდათ ქართულ სოციალურში, რომელიც, როგორც პოლიტიკური, ისე სოციალური და ეკონომიკური თვალსაზრისით, მწვავე გამოწვევების წინაშე იდგა.

ამ მოხსენების მიზანია, ისტორიული ანალიზის საფუძველზე განსაზღვროს ის მნიშვნელობა, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსება ატარებდა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი თვალსაზრისით; ასევე, ჩვენი მიზანია, ვაჩვენოთ ის შედეგები და მიღწევები, რომლებიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაფუძნების შემდგომ იქნა მიღწეული და რომელსაც განუზომლად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს, როგორც სუვერენული, დემოკრატიული ქვეყნის, განვითარებაზე.

ნიკა ცერცვაძე

დუნს სკოტის შემეცნების თეორია

იოანე დუნს სკოტი იყო შუა საუკუნეების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფოსი. მისი მოძღვრების ცენტრალური ნაწილია მისი შემეცნების თეორია. დუნს სკოტის აზრით, სინამდვილეში თეოლოგიისა და ფილოსოფიის საკვლევი საგანი არის ერთი და იგივე – ღმერთი. განსხვავება ისაა, რომ თეოლოგიის მიზანი არის პრაქტიკული – გვასწავლოს ღმერთის სიყვარული და მის მიერ ადამიანთათვის დადგენილი მცნებებით ცხოვრება, ხოლო ფილოსოფიის მიზანი არის თეორიული – მოხდეს ღმერთის მაქსიმალურად განჭვრეტა და მის მიერ შექმნილი სამყაროს შემეცნება. ჩნდება კითხვა – შეუძლია თუ არა ადამიანს, შეიმეცნოს ღმერთი? დუნს სკოტი ამბობს, რომ – კი. ის ეწინააღმდეგება აპოფატისურ ანუ ნეგატიურ თეოლოგიას და თვლის, რომ ნეგაციას ვახდენთ პოზიტიური დებულებების მეშვეობით და თუ ნეგაცია უსასრულოდ გაგრძელდება, ჩვენ ან ვერანაირ ცოდნას ვერ მივიღებთ ღმერთზე, ან ღმერთის შესახებ მივიღებთ რაღაც პოზიტიურ ცოდნას. ჩნდება კითხვა – თუ შემეცნება შესაძლებელია, რა არის ის აუცილებელი პრედიკატი, რისი მეშვეობითაც ხდება შემეცნება? ეს პრედიკატი ვერ იქნება ღმერთი, რადგან ღმერთი შემეცნების პირველი ობიექტია და ის შემეცნებულია რაღაც სხვის მეშვეობით, რომლითაც შემეცნებულია ყველაფერი სხვა. ეს უნივერსალური პრედიკატი, რომელიც შემეცნების ყველა საგანს მიეწერება, არის არსი. როგორც უფერულ საგანს ვერ აღვიქვამთ, რადგან ჩვენს მხედველობის ორგანოს მხოლოდ ფერადი საგნების აღქმა შეუძლია, ასევე ვერ აღვიქვამთ ისეთ საგნებს, რომლებსაც არ მიეწერებათ არსი როგორც პრედიკატი, რადგან ჩვენი გონება მხოლოდ არსს იხელთებს. ის, რაც არსი არ არის, არ შეიმეცნება. დუნს სკოტი გამოყოფს ორი სახის შემეცნებას – ინტუიციურს და აბსტრაქტულს. აბსტრაქტული შემეცნების დროს ადამიანი იმეცნებს ზოგადს ინდივიდუალურ საგანში. ინდივიდუალური საგნის გრძნობადი შემეცნებით ის აზოგადებს მიღებულ ცოდნას, გამოყოფს არსებით ნიშან-თვისებათა ერთობლიობას, იქმნის ამ საგნის ცნებას და იმეცნებს მას. შედეგად, ის ხვდება, რომ მის მიერ ხილული რამ არის ცხენი, ხე, ქვა და სხვ. ხოლო ინტუიციური შემეცნების დროს ის იმეცნებს საგანს, როგორც არსს, და ჭვრეტს მას, როგორც აქ და ახლა არსებულს. ის იხელთებს ინდივიდუალურ საგანს კონკრეტულ ადგილსა და მომენტში. იმ თვისებას, რაც მოიხელთება ინტუიციური შემეცნებისას, საგნის ინდივიდუალობის განმსაზღვრელ თვისებას, მის ინდივიდუალურ არსებას ეწოდება „ეს-ობა“ (thisness, haecceitas).

სალომე ციცივიძე

სხეულის ენა

ჩემი თემაა ჟესტების ანუ სხეულის ენა. თემის ფარგლებში ვაპირებ გამოვიკვლიო ჟესტების ნაირსახეობა სხვადასხვა კულტურაში. რა განსხვავებულ შინაარსს ატარებს ერთი და იგივე ჟესტი სხვადასხვა კულტურაში.

ასევე, ჩემი ინტერესის სფეროა დავადგინო ამ განსხვავებათა შედეგები, ინვესს თუ არა კულტურათმორის დაპირისპირებებს ის გაუგებრობები, რომელთა გამომწვევი მიზეზია ჟესტების განსხვავებული აღქმა სხვადასხვა კულტურული ერთობის წარმომადგენლის მიერ.

თემის ფარგლებში ვაპირებ ვიმუშაო ალან პიზის წიგნზე – „სხეულის ენა“, რომელიც მე-20 საუკუნეში დაიწერა, სწორედ იმ დროს, როდესაც გააქტიურდა ყურადღება სხეულის ენაზე. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ დრომდე სხეულის ენას დიდ ყურადღება არ ჰქონდა დათმობილი მეცნიერთა მიერ. მიუხედავად იმისა, რომ კომუნიკაციის 55% სწორედ სხეულის ენის საშუალებით მიმდინარეობს.

თემის ერთ-ერთი საკითხი იქნება ასევე მუნჯური კინოხელოვნება, რომელიც ჟესტების ენის მნიშვნელობის წარმოჩენის ერთ-ერთი პირველი და საუკეთესო მაგალითია.

ნუკრი წერწმია

მეცნიერების ანტიკუმულაციური თეორია პოსტპოზიტივისტურ ეპისტემოლოგიაში

XX საუკუნეში „მეცნიერების კრიზისის“ (ჰუსერლი) გაცნობიერებამ აუცილებელი გახდა მეცნიერებისა და ფილოსოფიის მიმართების საკითხის ხელახალი განხილვა, რასაც იკვლევს პოსტპოზიტივისტური ეპისტემოლოგია. პოსტპოზიტივისტური ეპისტემოლოგია აღნიშნავს მეცნიერების ფილოსოფიის იმ სახეობას, რომელმაც რადიკალურად კრიტიკული პოზიცია დაიკავა ნეოპოზიტივიზმისა და, ნაწილობრივ, თვით პოპერის მიმართ. ამ მიზეზით გამოიყენება ასევე გამოთქმა „პოსტპოპერისეული ეპისტემოლოგია“. წინამდებარე ნაშრომის მიზანია, წარმოაჩინოს ამ მიმდინარეობის გამორჩეული წარმომადგენლის, თომას კუნის ეპისტემოლოგიის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ამ მოაზროვნის სპეციფიკურ სახეს ქმნიან XX საუკუნის ფილოსოფიაში. მან ორიგინალური ეპისტემოლოგიური კონცეფცია წარმოადგინა, რომლის თანახმადაც, ახლი თეორიები არა დამტკიცებადობის ან ფალსიფიკაციის გზით, არამედ მოქმედი განმარტებითი მოდელის (ანუ „პარადიგმის“) ახლით შეცვლის მეშვეობით აღმოცენდება.

მისი შრომა „სამეცნიერო რევოლუციების სტრუქტურა“ უარყოფს იმას, რომ მეცნიერების განვითარება არის ცოდნის უწყვეტი დაგროვება, რომ ის გამუდმებით უახლოვდება ჭეშმარიტებას და ექვემდებარება მეცნიერების უცვლელ სტანდარტებს. თომას კუნი ანტიკუმულაციური თეორიით, მეცნიერების პროგრესთან დაკავშირებით ამტკიცებს: ისტორიაში პროგრესი იმაზე კი არ მიუთითებს, რომ რაიმე აბსოლუტურ მიზანს (= ჭეშმარიტებას) ვუახლოვდებით, არამედ იმაზე, რომ სულ უფრო ვშორდებით კვლევის პრიმიტიულ სტადიებს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეცნიერული პროგრესის მიმართულება არა „რაიმესკენ“ სწრაფვით, არამედ „რალაცისგან“ სვლით განისაზღვრება. კუნი იზიარებს პოსტპოზიტივიზმის საერთო სულისკვეთებას, რომ მეცნიერებას აბსოლუტურ ჭეშმარიტებაზე პრეტენზია არ უნდა ჰქონდეს.

მიხეილ ჭელიძე

დავით კლდიაშვილის პიესა „უბედურება“, როგორც საყოველთაო კრიზისის რეფლექსია

დავით კლდიაშვილი ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სახელია XX საუკუნის ქართულ მწერლობაში. მართალია, ის აგრძელებს ერთგვარად რეალისტური ლიტერატურის სტილს, მაგრამ მწერლის ტექსტებში უკვე ვხვდებით ისეთ ტენდენციებს, რაც არა მხოლოდ კონკრეტულად ქართული კონტექსტისთვისაა დამახასიათებელი, არამედ ბევრად განზოგადებულ მასშტაბებს იძენს – იქნება ეს თანადროული მოდერნული საზოგადოება და რწმენის კრიზისი, სოციალურ-ეკონომიკური გაჭირვება, პოლიტიკური მდგომარეობა თუ სხვ.

დავით კლდიაშვილს ქართული დრამატურგიის განვითარების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. პიესა „უბედურება“, რომელიც 1914 წელსაა დაწერილი, ერთგვარი რეფლექსიაა თანადროულობაზე – დროზე, ახალ ეპოქაზე, ადამიანების გაჭირვებაზე, გაუნათლებლობასა და ცრუმორწმუნეობაზე – ეს ყველაფერი ქმნის წარმოუდგენლად საზარელ პიროვნულ თუ სახალხო ტრაგედიას. პერსონაჟებს მწერალმა არ მიანიჭა რაიმე სახის სოციალური სტატუსი – ქმარი, ცოლი, შვილი ან სხვ., რადგან ეს პიესაში იმთავითვე არაა მნიშვნელოვანი – მნიშვნელოვანია მკითხველის წინაშე წარმოჩნდეს არა კერძო უბედურება იმდენად, არამედ საყოველთაო უბედურება, საყოველთაო გაჭირვება და უიმედობა. საყოველთაოობა – ესაა პიესის მთავარი კონცეპტი, რომელზეცაა შექმნილი ტექსტის სტრუქტურა. მოხსენების მიზანი იქნება პიესაზე სწორედ ამ კუთხით მსჯელობა.

აუცილებელია ითქვას, რომ ტექსტის ამგვარი პათოსი აშკარად მიმართულია ჟანრობრივ ხასიათზე – ეს არის პიესა, რომელიც უნდა დაიდგას სცენაზე, რათა საბოლოო სახე მიიღოს, ხოლო ნაწარმოების ექსპრესიული ფინალი იძლევა იმის საშუალებას, რომ დარბაზში მსხდომმა არაერთმა მაყურებელმა მთელი სიცხადით ერთდროულად აღიქვას და გაიაზროს დრამატურგისა და ეპოქის სათქმელი.

ელენე ჭირაქაძე

ფიდელ კასტრო და კათოლიკური ეკლესია: გზა დევნიდან აღიარებამდე

ეკლესიის, ხალხისა და სახელმწიფოს ურთიერთობა ისტორიულად განსხვავებულ სიმაღლეზე იდგა ლათინურ ამერიკაში, რომელიც დღემდე ერთ-ერთ ყველაზე კათოლიკურ კონტინენტად რჩება მსოფლიოში. თუმცა რელიგიის დაკნინების გამოვლინებები, ბუნებრივია, აქაც შეინიშნებოდა.

ფიდელ კასტროსა და კათოლიკური ეკლესიის მეტად ჩახლართული ურთიერთობა საინტერესო აღმოჩნდა არა მხოლოდ თავად კუბელებისთვის, არამედ მსოფლიოსთვისაც. კათოლიკედ მონათლული და იეზუიტების მიერ აღზრდილი ფიდელ კასტრო ხელისუფლებაში მოსვლის დროიდან იწყებს ეკლესიის შევიწროებას. ამ დაპირისპირების დაწყებაში გარდამტეხი ფაქტორი აღმოჩნდა კასტროსა და მის თანამებრძოლებზე საბჭოთა კავშირის გავლენა და რევოლუციის კომუნისტურ მიმართულებად გარდაქმნა.

კასტროს ხელისუფლებამ ქვეყნიდან განდევნა მრავალი სასულიერო პირი და მონაზონი, ბევრი დააპატიმრა, ბევრიც უფლებრივად და ქონებრივად შეზღუდა. მოახდინა კათოლიკური ეკლესიების ნაციონალიზაცია. ყველა ობიექტი, რომელზეც ეკლესია იყო პასუხისმგებელი, დაიხურა. ამ შევიწროების გამო 1962 წელს იოანე XXIII-მ იგი ეკლესიისგანაც კი განკვეთა.

მდგომარეობა იცვლება მხოლოდ 1980-იანი წლებიდან, როდესაც კასტრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმას იწყებს კუბაზე კათოლიკური ეკლესიის უფლებების აღსადგენად. ის კუბას მოიხსენიებდა როგორც „სეკულარულს“, ნაცვლად „ათეისტურისა“, რაც, საბოლოოდ, 1992 წელს დეკლარირებულ იქნა კონსტიტუციით. ფიდელ კასტრო ეკლესიას თანდათან იღებდა როგორც პარტნიორს და არა როგორც მტერს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყოველივე კიდევ უფრო გაამძაფრა საბჭოთა კავშირის დაშლამაც, რომელიც კუბის მთავარი მხარდამჭერი იყო ეკონომიკურ საკითხებში. კუბაზე როდესაც ეკონომიკური კრიზისი დაიწყო, კასტრომ გადანწყვიტა ვატიკანთან დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა. ამასთან, ის მიხვდა, რომ საჭირო იყო ახალი მოკავშირის მოძებნა. აღსანიშნავია, რომ იგი მაინც ინარჩუნებდა ფორმალურ დიპლომატიურ ურთიერთობებს ვატიკანთან, განსხვავებით ევროპული კომუნისტური მთავრობებისგან. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ამ დიალოგში აშშ-თან ურთიერთობის საკითხს. ამ ქვეყნებს შორის სიტუაციის გამოსწორება ყოველთვის შედიოდა ვატიკანის ინტერესებში და სწორედ მან შეასრულა მედიატორის როლი. დაიწყო პაპების ვიზიტი კუნძულზე. მსოფლიო კარგად აცნობიერებდა კუბის გეოპოლიტიკურ დატვირთვას და მის როლს პოლიტიკურ პროცესებში. ამის გათვალისწინებით კი, ვატიკანმა კარგი დიპლომატიითა და სტრატეგიული პოზიციით მოახერხა კუბის „განეიტრალება“.

უნდა ითქვას, ფიდელ კასტროს პიროვნებაში მაინც დიდ როლს ასრულებდა ის, რომ აღზრდილი იყო კათოლიკედ და მას სჯეროდა, მიუხედავად რევოლუციონერობისა, შეიძლებოდა ყოფილიყო ჭეშმარიტი ქრისტიანი. საბოლოოდ, კასტროს მაინც დადებითმა შეხედულებებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კუბის ხელისუფლებისა და კათოლიკური ეკლესიის დაახლოებაში.

ოთარ ჭილაძე

ჩინეთ-რუსეთის ურთიერთობების სათავეებთან

მე-16 საუკუნიდან მოყოლებული ჩინეთის სანაპიროებს ერთმანეთის მიყოლებით მიადგნენ ევროპული სახელმწიფოების სავაჭრო და სამხედრო ხომალდები. მაშინ, როცა ჩინეთის ხელისუფლებას ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვიტა, თუ ზუსტად როგორი პოლიტიკა უნდა დაეპირისპირებინათ „სამხრეთელი ბარბაროსებისათვის“, ჩრდილოეთიდან ახალი ევროპული ძალა გამოჩნდა. მონღოლთა მმართველობის უღლის ჩამოხსნის შემდეგ მოსკოვის დიდი სამთავრო ძალიან გაფართოვდა. თუმცა, რადგანაც ევროპის მიმართულებით ტერიტორიული ზრდა მნიშვნელოვანი სამხედრო დაპირისპირებების გარეშე შეუძლებელი იყო, ამიტომ რუსეთის სამეფო კარზე გადანწყვიტეს, ძირითადი აქცენტი ექსპანსიონიზმის კუთხით აღმოსავლეთის მიმართულებით გადაეტანათ. ურალს გადაღმა ათასობით კილომეტრის გადალახვის შემდეგ, მე-17 საუკუნის 40-იანი წლებში, კაზაკების მონინავე დაჯგუფებებმა მიაღწიეს ჩინეთის საზღვარს. კონფლიქტით დაიწყო ჩინეთ-რუსეთის პირველივე კონტაქტი, რადგანაც რუსების მხრიდან პირველი წარმომადგენლები იყვნენ არა დისციპლინირებული არმია ან სპეციალური ელჩობა, არამედ კაზაკები, რომლებიც მოსახლეობის ძარცვით შოულობდნენ სარჩოს. კულტურათა განსხვავებამ,

არათანმხვდერი პოლიტიკური ხედვების ქონამ და ენობრივი ბარიერის არსებობამ ძალიან გაართულა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების ჩამოყალიბება. მხოლოდ 1689 წელს დაიდო მათ შორის პირველი ხელშეკრულება, რომლითაც ციმბირის მხარეს საზღვრები შეათანხმეს. 1729 წლის ხელშეკრულებით უკვე მონღოლეთისა და ცენტრალური აზიის ტერიტორიების დაყოფაზე შეთანხმდნენ. მიუხედავად იმისა, რომ, სხვა ევროპულ სახელმწიფოებთან შედარებით, რუსეთმა დააგვიანა შორეულ აღმოსავლეთის სივრცეში შეღწევა, მას ჰქონდა უპირატესობა – სახმელეთო საზღვარი ჩინეთთან. სწორედ ეს ფაქტორი განსაზღვრავდა იმას, რომ რუსეთის „მადა“ ჩინეთთან მიმართებით გაცილებით აღემატებოდა სხვა ევროპული ქვეყნებისას. თუ ეს უკანასკნელნი ძირითად აქცენტს აკეთებდნენ სავაჭრო უპირატესობების მოპოვებაზე, რუსეთი ამის გარდა ასევე დიდად იყო დაინტერესებული ჩრდილოეთ ჩინეთის მიწების შემოერთებით. ამიტომ რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობებს თავისი არსებობის ყველა ეტაპზე თან ახლდა სხვადასხვა დონის კონფლიქტი.

თამთა ჭუმბაძე

ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა ქართულ სამეცნიერო სივრცეში

ჯოვანი პიკო დელა მირანდოლა ძალზე ცნობილი ფილოსოფოსია, რომელიც მოღვაწეობდა რენესანსის ეპოქაში, 1463–1494 წლებში. მან საფუძველი ჩაუყარა ახალ ფილოსოფიურ მიმდინარეობებს: სინკრეტიზმს – რელიგიათა ერთიანობას, ნატურფილოსოფიასა და ქრისტიანულ კაბალას, რომელიც არის საფუძველი დღევანდელი დასავლური მისტიკის ტრადიციისა.

ქართულ სამეცნიერო სივრცეში არ მოიპოვება მირანდოლაზე მრავალი ინფორმაცია ნაშრომთა სიმწირის გამო, თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მასზე არაფერია ქართულად დაწერილი – უნდა ითქვას, თითოეულ მათგანში ჯოვანი პიკოს სხვადასხვა ნაშრომია განხილული, ამავე დროს გადმოცემულია მირანდოლას ფილოსოფიის მთავარი აზრიც.

როცა განვიხილავთ ქართულ სამეცნიერო ნაშრომს ჯოვანი პიკო დელა მირანდოლაზე, არ შეიძლება მაგალითად არ მოვიყვანოთ ილია ჭავჭავაძე. მირანდოლას მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი და საერთო-საკაცობრიო ღირებულების შინაარსი ილია ჭავჭავაძემ (1837–1907) 1888 წელს, „ივერიაში“ კარგად გააცნო თავის მკითხველს.

მირანდოლაზე წერს ასევე პროფესორი ფარნაოზ ლომაშვილი, რომელიც ჭავჭავაძის მსგავსად აღნიშნავს მირანდოლას ფილოსოფიის მთავარ არსს და აკადემიკოსი გურამ თევზაძე, რომელიც განიხილავს არა მარტო პიკოს ბიოგრაფიასა და მოძღვრებებს, არამედ იმასაც, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდათ მისადმი თანამედროვეებს.

აუცილებლად უნდა შევეხოთ მარიამ კარბელაშვილსა და მის ნაშრომს – „რენესანსული ანთროპოცენტრიზმის ქრისტიანული საფუძვლები: რუსთაველი და პიკო დელა მირანდოლა“. ჭავჭავაძის მსგავსად, კარბელაშვილიც ეხება მირანდოლას ფილოსოფიის ძირითად ასპექტს – ადამიანს. კარბელაშვილი ჯერ განმარტავს რენესანსის არსს, რენესანსულ ანთროპოცენტრიზმს და ამის შემდეგ გადადის ჯოვანი პიკოს როლზე ამ სფეროში და უკავშირებს მას რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“. „რუსთაველის ანთროპოლოგიის სრული დამთხვევა პიკო დელა მირანდოლას ანთროპოლოგიასთან ნაძალადევი პარალელის მოძებნის ცდა კი არ არის, არამედ სათანადო მეცნიერული ფაქტებით დადასტურებული რეალობა, დაფიქსირებული რუსთველოლოგიაში ამ მეცნიერების დაფუძნების დროიდან.“ კარბელაშვილი თავის ნაშრომში მსჯელობს იმის შესახებ, რომ მირანდოლასა და რუსთაველს ღმერთის მიერ ადამიანის შექმნა და მისი ადგილი სამყაროში გააზრებული აქვთ ერთნაირად და ერთნაირადაც გადმოსცემენ ამას „სიტყვაში ადამიანის ღირსების შესახებ“ და „ვეფხისტყაოსანში“.

ეთერ ჯაჭავაძე თავის ნიგნში „მშფოთვარე საუკუნე“ საუბრობს რენესანსის ეპოქის კორიფეების შესახებ, რომელთა გვერდითაც მოიხსენიებს მირანდოლას, მიმოიხილავს მის ბიოგრაფიასა და ერთ-ერთ მთავარ ნაშრომს „სიტყვა ადამიანის ღირსების შესახებ“.

დღესდღეობით ძალზე აქტუალური უნდა იყოს მირანდოლა, გლობალიზაციის ეპოქის გამო, რომლის ერთი ნაწილია ერთიანი რელიგიის შექმნა. ამის გამოვლინებაა სწორედ მირანდოლას „900 თეზისი“, რის საფუძველზეც მან სინკრეტიზმს, ანუ რელიგიათა ერთიანობას, ჩაუყარა საფუძველი.

კესო ჭუმბურიძე

ზამთრის ომი და სსრკ-ის ინტერესები

თანამედროვე მსოფლიოში ფინეთი მიიჩნევა საუკეთესო ქვეყნად პოლიტიკური სტაბილურობისა თუ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის მიხედვით, თუმცა იგი არ ყოფილა ასეთი მიმზიდველი ქვეყანა II მსოფლიო ომის დროს. მნიშვნელოვანია, გავიხსენოთ, როგორ ცდილობდა პატარა ქვეყანა ეროვნულობის შენარჩუნებას. საომარი მოქმედებები სსრკ-სა და ფინეთს შორის მიმდინარეობდა 1939-1940 წლებში და ცნობილია „ზამთრის ომი“ სახელით. იგი მნიშვნელოვანი ქეისია საერთაშორისო ურთიერთობების შესწავლისას და XXI საუკუნეშიც ინარჩუნებს აქტუალურობას, რადგან რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსი უცვლელი რჩება. თუ მეორე მსოფლიო ომის დროს მისთვის ფინეთს ჰქონდა სტრატეგიული მნიშვნელობა, ახლა მის პოლიტიკურ დღის წესრიგში საქართველოსა და უკრაინის საკითხი დადგა. ზამთრის ომი ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს ინტერესების დასაცავად ღირს გაბედო ბრძოლა 170 მილიონიანი ქვეყნის წინააღმდეგ მაშინ, როდესაც შენი ქვეყნის მოსახლეობა 5 მილიონს არ აჭარბებს. იგი გვიჩვენებს, რომ გონივრული სამხედრო სტრატეგიითა და ტაქტიკით შეზღუდული რესურსების მქონე სახელმწიფოს შეუძლია, მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენოს სსრკ-ს, რომლის მთავარი იარაღი ადამიანური და ბუნებრივი რესურსების უდიდესი რაოდენობაა.

ნაშრომის მიზანია, დაადგინოს: რამდენად სწორად განსაზღვრა სსრკ-მა მონინააღმდეგის შესაძლებლობები?

საკვლევი კითხვა კი ასეთია: რა ფაქტორებმა განაპირობა სსრკ-ის შეჭრა ფინეთში?

ნაშრომი ეფუძნება თვისებრივი კვლევის მეთოდებს, კონკრეტულად კი Case Study-ს. ახსნითი დიზაინის გამოყენებით, შევეცდები, პასუხი გავცე შესავალში დასმულ კითხვებს. ანალიზისას, ძირითადად, დავყვარდები პირველად წყაროებს, სამეცნიერო ნაშრომებსა და სტატიებს.

მარიამ ხაბალია

ყოველდღიური ყოფა კონფლიქტის ზონის სოფლებში (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მაგალითზე)

აფხაზეთის კონფლიქტმა (1992-1993 წ.) დიდი გავლენა მოახდინა მდინარე ენგურს გაღმა და გამოღმა მცხოვრებ ადამიანთა ყოველდღიურობაზე. გაჩნდა გამყოფი ხაზი და ამ გამყოფ ხაზზე ახალი სახის ურთიერთობები ჩამოყალიბდა. მდინარე ენგურს გაღმა მცხოვრებმა მოსახლეობამ იძულებით დატოვა თავისი საცხოვრებელი და გადმოვიდა გალის რაიონის მიმდებარე სოფლებში. კონფლიქტის საწყის ეტაპზე დევნილების გარკვეული რაოდენობა ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ცხოვრობდა. იძულებით გადაადგილებული პირები კომპაქტურად დაასახლეს მიმდებარე სოფლების ცენტრალურ ადგილებში. იძულებით გადაადგილებულებს არ გააჩნდათ საარსებო მინიმუმი. არსებული პოლიტიკური ვითარების მიუხედავად, კონფლიქტის ხაზის მიმდებარე სოფლები არ კარგავენ სოციალურ და ეკონომიკურ კავშირებს ზუგდიდის რაიონთან.

კონფლიქტის ზონაში მიმდებარე სოფლებში კომუნიკაციის პროცესის შესწავლა დღეს საკმაოდ აქტუალურია. აქ უწყვეტად მიმდინარეობს კომუნიკაცია. კვლევის აქტიურობა გულისხმობს ახალი ცოდნის შექმნას საზღვრისპირა სოფლებში დინამიკური პროცესების, სოციალური ურთიერთობების, ყოველდღიური არალეგალური თუ ლეგალური კომუნიკაციის არხების მნიშვნელობის შესახებ. კვლევის ჩატარებაში ხელი შემიწყო პირადად კავშირებმა ქვედა ზონის სოფლების მცხოვრებლებთან. დავიბადე და გავიზარდე სოფ. ორსანტიაში და კარგად ვიცნობ საკვლევ სივრცეს. მნიშვნელოვან მიმაჩნია დავაკვირდე ბოლო პერიოდში ვითარებას, რაც ენგურზე გადასასვლელი გზების გაუქმებას და აფხაზეთის მხარეს პასპორტიზაციის ახალ რეჟიმს უკავშირდება.

ჩემი მიზანია, გავიგო, როგორ მიმდინარეობს სოციოკულტურული თუ ეკონომიკური პროცესები პოლიტიკური ფაქტორის გავლენით და აღვწერო მიმდინარე სიტუაცია. კვლევის სიახლეა ისიც, რომ ღია კონფლიქტის ზონაში მცხოვრები ადამიანების ყოველდღიურობა ნაკლებადაა შესწავლილი კომპლექსურად. ძირითადი ინფორმაცია იძულებით გადაადგილებულთა შესახებ არსებობს, წინამდებარე კვლევა კი ქვედა ზონის სოფლებში დღეს არსებული ვითარების გაანალიზებას ისახავს მიზნად.

ნაშრომში საუბარი იქნება გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში არსებულ ვითარებაზე, კონფლიქტის შემდეგ მიმდინარე კომუნიკაციის პროცესებზე. საკვლევი თემის შესასწავლად მნიშვნელოვანია, ვენვიო კონფლიქტის ზონაში, გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებს. შევავროვო და გავაანალიზო მიმდინარე პროცესები.

კვლევის აქტიურობა გულისხმობს ახალი ცოდნის შექმნას საზღვრისპირა სოფლებში დინამიკური პროცესების, სოციალური ურთიერთობების, ყოველდღიური არალეგალური თუ ლეგალური კომუნიკაციის არსების მნიშვნელობის შესახებ. მნიშვნელოვნად მიმართა დავაკვირდე ბოლო პერიოდში მიმდინარე ვითარებას, რაც ენგურზე გადასასვლელი გზების გაუქმებას და აფხაზეთის მხარეს პასპორტიზაციის ახალ რეჟიმს უკავშირდება.

ჩემი მიზანია აღვწერო, როგორ ხდება ურთიერთობების დამყარება-შენარჩუნება და როგორ აისახება დე ფაქტო საზღვრის არსებობა ქვედა ზონის სოფლების ყოველდღიურობაზე.

მარიამ ხოსროშვილი

ბიბლიური ანთროპონიმები დაბადების წიგნის მიხედვით

დაბადების წიგნი არის ხუთნიგნეულის პირველი კანონიკური წიგნი, რომელიც მოგვითხრობს სამყაროს შექმნის, კაცობრიობის უძველესი ისტორიისა და ებრაული ერის წარმოშობის შესახებ. მასში ვხვდებით მრავალ ბიბლიურ პერსონაჟს. საინტერესოა მათი სახელები და წარმომავლობა, რადგან თითოეულ მათგანს კონკრეტული დატვირთვა აქვს, მაგალითად, „ნოახ“, რომელიც ყველასთვის ნაცნობი ბიბლიური გმირია, ნიშნავს სიმშვიდეს. რა სიმშვიდე მოუტანა ნოემ ადამიანებს? ერთ-ერთი მკვლევრის, გორდონის აზრით, ეს არის ღვინო, კაცის გულის გამხარებელი. ხოლო რაში გვეუბნება, რომ ნოემდე არ არსებობდა შრომის იარაღები, ადამიანები თესავდნენ და მოსავალს ვერ იღებდნენ, ნათესებზე ღმერთისგან დაწყვეტილი მინიდან ეკალ-ბარდები ამოდიოდა. ნოემ კი შრომის იარაღები გამოიგონა და ამით ხალხს შვება მისცა, შრომა გაუადვილა. სწორედ ამიტომ მიიღო მისმა სახელმა ასეთი მნიშვნელობა.

ამრიგად, სხვადასხვა მკვლევარს განსხვავებული აზრი აქვს იმაზე, თუ საიდან მოდის თითოეული გმირის სახელი და რასთან არის დაკავშირებული.

თემის მიზანია, განვიხილოთ დაბადების წიგნში წარმოდგენილი თითოეული პერსონაჟის სახელის მნიშვნელობა და წარმომავლობა, ასევე, ბიბლიის მკვლევრების შეხედულებები და ის მნიშვნელოვანი მოვლენები, რაც თითოეული გმირის სახელის შექმნას უკავშირდება.

ბექა ხოჭავაძე

ლათინური ენის რომანიზაცია იმპერიული რომის პერიოდში

მოსხენების მიზანია: რომის იმპერიის სოციოლინგვისტიკური ვითარების მოკლე მიმოხილვა დროის მონაკვეთში ძვ.წ.-ის 27 წლიდან 476 წლამდე; სალაპარაკო და სამწერლო ენების ურთიერთმიმართებები ხსენებულ პერიოდში პომპეის კედლებზე აღმოჩენილი გრაფიტებისა და ტრიუმფალური თაღების წარწერებზე დაყრდნობით; ანმყო დროის მესამე მხოლოობით დროში ზმნის ბოლოში ასობგერა „t-s“ გაქრობა, არსებით სახელებში „S-ის“ წინ „l-ს“ გამოჩენა და სხვა მსგავსი ცვლილებები. „პრობუსის დანართი“ და რომანული ენების ჩამოყალიბების პროცესის დასაწყისის ფონეტიკური ინდიკატორები: *Vetus non veclus Oculus non Oclus* და ა. შ.

ექსტრალინგვისტიკური ფაქტორები: კარაკალას ედიქტი, ქრისტიანობის გავრცელება და ბერძნული სუპერსტრატის. ქრისტიანიზმები ხსენებული პერიოდის სამწერლო ენაში: *Glorificare, Incarnatio, Refrigerium, Domenia, FERIA, Missa, Angustare* და ა. შ.

ფონეტიკური ცვლილებები: გრძელ და მოკლე ხმოვნებს შორის დიქტომიის გაქრობა, მუსიკალური მახვილის სიტყვათგანმასხვავებელი თვისება, არსებით სახელებში ბოლოკიდური თანხმოვნის გაქრობა და „ae“ დიფთონგის „e“ მონოთონგით ჩანაცვლების ტენდენცია, გრაფიკულ დონეზე სინკოპების სიტყვათგანმასხვავებელი ფუნქცია, „Ge, Gi, Ce, Ci“ კომპლექსების პალატალიზაცია, „tia“ სუფიქსის „zione-თი“ ჩანაცვლების პროცესი, ასობგერა „H-ს“ თანდათანობითი ამოვარდნა დერივაციულ

ფორმებში, კომპლექსების: **pt, ct, ps** ასიმილაცია, თანხმობანთა კომპლექსების გაძლიერება ხმოვნების სიახლოვეს (**Aqua – Acqua**) და ა.შ.

ახალი ერთეულების ფორმირება იმპერიის პერიოდის ლათინურში: „-io“ სუფიქსის მქონე ხელობის აღმნიშვნელი სახელები (**company-io**); „-itta“ და „-issa“ სუფიქსით წარმოებული არსებითი სახელები; **gl, gn, nza** კომპლექსების გაჩენა უკვე არსებულ არსებით სახელებში: **Montania – Montagna, Victuallia – Vettovaglia, Sementia – Semenza**; მიმღობიდან წარმოებული არსებითი სახელები: **colecta, defensa, perdita, vendita**; ზმნიზედების და წინსართების კომპლექსების წარმოქმნა: **abante -> de abante -> d'avanti; de post -> dopo; de ubi, de unde -> dove, donde** და ა.შ.

„ბრძოლა“ ძველ და ახალ სიტყვებს შორის: ონომასიოლოგიური საჭიროებები, ონომატოპოეტური და კინოზობითი ფორმების (**mamma, mamilla, puppa, titta**) მომრავლება.

რომის იმპერიის პერიოდში ლათინური ენის რომანიზაციის გამომწვევი ლინგვისტური და მეტა-ლინგვისტური ფაქტორების შეჯამება და განხილვა მომხსენებლის პოზიციიდან.

ჭონდი ხუხია

ფერარა-ფლორენციის კრება და საქართველო

ფერარა-ფლორენციის მსოფლიო საეკლესიო კრებასა და მის შედეგებზე მსჯელობა მანამდე იქნება აქტუალური, სანამ არ მოხდება ეკლესიათა ქვეშარიტი გაერთიანება. ლიონის უნიის (1272 წ.) ჩაშლის შემდეგ ბიზანტიამ არაერთხელ მიმართა პაპობას, რათა მოეწვიათ მსოფლიო საეკლესიო კრება ეკლესიათა გაერთიანების მიზნით, მაგრამ XIII-XIV საუკუნეების პაპები სისტემატიურად უარს ამბობდნენ ამგვარ დათმობაზე. ეკლესიათა უნიის ორმხრივმა ინტერესებმა XV საუკუნის 20-იან წლებში გზა გაუხსნა ამგვარი მსოფლიო კრების მოწვევის აუცილებლობას. თუმცა ბიზანტიის მხრიდან უნიაზე წასვლას უმთავრესად პოლიტიკური მიზანი განაპირობებდა, კერძოდ, სურდათ, თურქების მხრიდან დამუქრებული რეალური საშიშროების წინაშე რომის პაპის მეთაურობით დასავლეთისაგან მიეღოთ სამხედრო-პოლიტიკური დახმარება, რათა კონსტანტინეპოლი გადაერჩინათ.

ფერარა-ფლორენციის კრება, რომელიც გაიხსნა 1438 წლის 8 თებერვალს და 18 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა, დასრულდა ბერძნულ მართლმადიდებლურ და რომაულ-კათოლიკური ეკლესიის უნიით. კრებაზე სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების წარმომადგენლებთან ერთად მონაწილეობდნენ ქართველი საერო და სასულიერო პირები. პირველწყაროების კრიტიკული ანალიზის შედეგად მივიღეთ შემდეგ დასკვნამდე: ქართულმა დელეგაციამ წმინდა ტახტთან ურთიერთობაში პირველად გამოხატა ანტიინატიური პოზიცია. დარწმუნებით შეუძლებელი ხდება იმის თქმა, რომ ისინი სრულად გამოხატავდნენ ქართული ეკლესიისა და სამეფო კარის ინტერესებს. უფრო სავარაუდოა, ქართველი წარმომადგენლები ანტიოქიის პატრიარქის ინსტრუქციის მიხედვით მოქმედებდნენ. ვერც იმის თაობაზე ვიტყვით ვერაფერს, თუ რას ფიქრობდნენ იმდროინდელი ქართველები ეკლესიათა გაერთიანების პრობლემაზე, რადგან მაშინდელი საქართველოს კულტურულ ელიტას ანტიკათოლიკურობა არ ახასიათებდა. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ქართული ეკლესია თანმიმდევრულად მომხრე იყო, ეკლესიათა ერთიანობა სქიზმამდელი პოზიციებიდან აღდგენილიყო და არა რაიმე ურთიერთკომპრომისების საფუძველზე. უნდა ვიფიქროთ, რომ სწორედ ამის გამო არ მოაწერა ქართულმა მხარემ უნიას ხელი.

ანი ჯავახიშვილი

კონსტანტინე გამსახურდია, როგორც დრამატურგი – „გარსი მარადი“

მოხსენების თემად შერჩეულია კ. გამსახურდიას ექსპრესიონისტული დრამა „გარსი მარადი“, რომელიც მწერლის ერთადერთი დრამაა. მისი ანალიზი განსაკუთრებით საინტერესოა, რადგან საზოგადოება ნაკლებად იცნობს გამსახურდიას, როგორც დრამატურგს.

მოხსენებაში განხილული იქნება შემდეგი საკითხები:

1. კ. გამსახურდია, როგორც ექსპრესიონისტი მწერალი, ანუ მისი მოღვაწეობის პირველი ეტაპის მოკლე მიმოხილვა (ექსპრესიონისტული ნოველები, რომანი „დიონისოს ღიმილი“ და დრამა „გარსი მარადი“).
2. ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიის მნიშვნელობა კ. გამსახურდიას ექსპრესიონისტული მწერლობის პერიოდის შემოქმედებაზე.
3. ფრიდრიხ ნიცშეს დრამის თეორია.
4. ექსპრესიონისტული დრამა, როგორც ჟანრი. მისი თავისებურებები და გავრცელების არეალი. ექსპრესიონისტული დრამის მაგალითები ქართულ ლიტერატურაში.
5. „გარსი მარადი“ – დრამის სტილისტური, ენობრივი და სტრუქტურული თავისებურებები.
6. დრამის შინაარსობრივი და იდეური მხარის ანალიზი.
7. „გარსი მარადის“ მიმართება ფრიდრიხ ნიცშეს ფილოსოფიასთან (ავტორი ამ დრამას სწორედ ფრ. ნიცშეს უძღვნის და ტექსტშიც მრავლადაა ნიცშეანური მოტივები, რაც ნაწარმოების კონცეპტუალურ მხარესთანაა პირდაპირ კავშირში).
8. გამსახურდიას ამ დრამის მნიშვნელობა ქართული ლიტერატურისათვის.

გიორგი ჭავჭავაძის

ქართული ეროვნული ცნობიერების ჩამოყალიბების ასპექტები 1918–1921 წლებში

ნაციონალიზმი, როგორც იდეა, წინა პლანზე გამოდის მე-18 საუკუნიდან, კერძოდ კი ნაციონალიზმის აღმავლობის ხანად მიიჩნევა პერიოდი ამერიკის დიდი რევოლუციიდან 1848 წლის ხალხთა რევოლუციამდე, როდესაც, ერთი მხრივ, ყალიბდება ახალი „ერი-სახელმწიფოები“, მეორე მხრივ კი ხდება კონკრეტული ერთობების მოშლა და შექმნა 1815 წლის შემდგომი ცვლილების გავლენით. ნაციონალიზმის საკითხისადმი ყურადღება განსაკუთრებით გამახვილდა 1990-იანი წლებიდან, მას შემდეგ, რაც დაიშალა საბჭოთა კავშირი და „ვარშავის პაქტი“, რამაც განაპირობა, ერთი მხრივ, ნაციონალიზმის აღმავლობა და კონფლიქტები ამიერკავკასიასა და შორეულ აღმოსავლეთში, ხოლო, მეორე მხრივ, დასავლეთ ევროპაში, კერძოდ კი გერმანიასა და ბალტიისპირეთში, მოიტანა დემოკრატია და ლიბერალური ღირებულებები ხალხთა მასებს შორის. სწორედ ამიტომ გასაკვირი სულაც არაა, რომ ნაციონალიზმის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარი ბენედიქტ ანდერსონი ნაციონალიზმს „მარქსიზმის ეროზიას“ უწოდებს და მიიჩნევს, რომ ეს ის ფენომენია, რომელსაც მძლავრმა ინტერნაციონალისტურმა იდეოლოგიამაც კი ვერაფერი მოუხერხა.

ნაციონალიზმის აღმავლობის ხანა 1848 წლის შემდგომ ევროპაში ხელახლა 1870–1918 წლებში დადგა. ამ პერიოდში ნაციონალიზმმა მოიცვა როგორც კონტინენტური ევროპა, ისე კავკასიის რეგიონები. „ევროპითა და მისი გარემოთი თუ შემოვიფარგლებით, ჩვენ ვიპოვით ძალზე ბევრ ნაციონალურ მოძრაობას 1914 წელს, რომლებიც 1870 წლისათვის გაჭირვებით ან საერთოდ არ არსებობდნენ: სომხების, ქართველების, ლიგვლების და ბალტიისპირეთის სხვა ხალხების, ებრაელების, მაკედონიელებისა და ალბანელების ბალკანეთში, რუთენელებისა და ხორვატების ჰაბსბურგთა იმპერიაში.“ – წერს ცნობილი ბრიტანელი ისტორიკოსი ერიკ ჰობსბაუმი.

1917 წლის თებერვლის რევოლუციამ და ოქტომბრის გადატრიალებამ, რომლებიც მე-20 საუკუნის მასშტაბურ მოვლენებად შეგვიძლია მივიჩნიოთ, სათავე დაუდო ახალ წყობას რუსეთსა და მის ყოფილ ტერიტორიებზე, რაც ქართული ნაციონალური კონსოლიდაციისთვის გარდამტეხი გამოდგა.

1918 წლის 26 მაისს საქართველო გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელმაც დაიწყო ეროვნული პოლიტიკის გატარება, რაც გამოიხატა საერთო სასამართლოს შექმნასა და პოლიტიკური ინსტიტუციების ჩამოყალიბებაში. ჩემს საკონფერენციო ნაშრომში შევეხები იმ ასპექტებს, რომელთა მიხედვითაც ახალ ქართულ სახელმწიფოში უნდა გატარებულიყო ნაციონალური პოლიტიკა. ნაშრომში მიმოვიხილავ საკანონმდებლო აქტებს, პრესაში დაბეჭდილ სტატიებს, ტრადიციების შექმნისა და რეპრეზენტაციის საკითხებს, საგარეო პოლიტიკისა და სამოქალაქო ინტეგრაციის მაგალითებს და ა. შ. 2018 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან 100 წელი შესრულდა და, ვფიქრობ, ამ საკითხის შესწავლა მნიშვნელოვნად გაზრდის ცოდნას სტუდენტებს შორის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შესახებ.

ნათია ჭანელიძე

იაპონიის ისტორიის ტრაგიკული ფერცელი – ჰიბაკუშა

იაპონიას მეტად საინტერესო ისტორია აქვს. მას უძველესი დროიდან უწევდა სხვადასხვა სირთულის გადალახვა – იქნებოდა ეს ბუნებასთან მუდმივი ჭიდილი თუ მოგვიანო პერიოდში დაპირისპირებები გარეშე მტრების წინააღმდეგ. ამგვარმა სიძნელებმა იაპონელები ჩამოაყალიბა მტკიცე ნებისყოფის მქონე, შრომისმოყვარე, ამტან, ძლიერ ერად. იაპონიის ისტორია დიდ ინტერესს იწვევს ფართო საზოგადოებაში, განსაკუთრებით ეს ეხება იაპონიის უახლეს ისტორიას, კერძოდ მეორე მსოფლიო ომის დროს მიმდინარე მოვლენებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია იაპონიაში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევა. ამ უკანასკნელში ვგულისხმობთ 1945 წლის აგვისტოს მოვლენებს, როდესაც იაპონიის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა განახორციელა ბირთვული შეტევა. პირველად დაიბომბა ჰოროსიმა 1945 წლის 6 აგვისტოს, ხოლო მეორედ ატომური ბომბი ჩამოაგდეს 9 აგვისტოს ნაგასაკიში. იმ პირობებში, როდესაც ეს იყო პირველი შემთხვევა ატომური იარაღის გამოყენების, ამ მოვლენებს დიდი რეზონანსი მოჰყვა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. გასაკვირი არ არის, რომ ამ მოვლენებმა დიდი გავლენა მოახდინა იაპონელ ხალხზე, განსაკუთრებით კი ჰიროსიმასა და ნაგასაკის იმ მოსახლეობის ნაწილზე, რომელიც გადაურჩა ამ მოვლენებს. ადამიანებს, – რომლებიც გადაურჩნენ არა მარტო დაბომბვას, არამედ რადიაციას, დიდი ფსიქოლოგიური ტრავმებისა და დისკრიმინაციის მიუხედავად, იპოვეს საკუთარ თავში ნებისყოფა და განაგრძეს სიცოცხლე, – უწოდებენ ჰიბაკუშას. ტერმინი ნიშნავს აფეთქებით დაზარალებულ ადამიანს. სწორედ მათ განცდებზე, მოგონებებზე, ცხოვრებაში შეხვედრილ სიძნელებსა და სირთულეებზე, ასევე საზოგადოებიდან შემდგომში წამოსულ უარყოფით დამოკიდებულებასა და დისკრიმინაციას ეხება მოხსენება. თითოეულ მათგანს მართლაც მძიმე ცხოვრების გავლა მოუწია. ჩვენ განვიხილავთ ამ ბარბაროსული აქტების შემსწრე და თვითგადარჩენილი ადამიანების მონათხრობებს, როგორც პირველწყაროს.

ნანო ჭანელიძე

სიტყვების – „ოქრო“ და „ვერცხლი“ – სემანტიკა ინგლისურ და ქართულ ენებში

ნაშრომის მიზანია, გამოიკვლიოს სიტყვების – „ოქრო“ და „ვერცხლი“ – ეტიმოლოგია და სემანტიკა, ასევე ამ სიტყვების გამოყენება მხატვრულ ლიტერატურასა და სასაუბრო ენაში. ნაშრომი ასევე ასახავს საკვლევ სიტყვათა მნიშვნელობებს შორის თანხვედრასა და განსხვავებებს ისეთ არამონათესავე ენებში, როგორებიცაა ინგლისური და ქართული.

ნაშრომში აღწერილია სიტყვების – „ოქრო“ და „ვერცხლი“ – ეტიმოლოგია და მათი თანამედროვე მნიშვნელობები. ეტიმოლოგიურად ვერცხლი იშვირება როგორც „უქრობი“, „მარადყამ მბზინვარე“. პირველად სიტყვა ვერცხლი გამოიყენეს მე-12 საუკუნეში, ვერცხლით მორთვის კონტექსტში. დღესდღეობით ამ სიტყვას სხვადასხვა მნიშვნელობით იყენებენ: ფერის, ქიმიური ელემენტის აღსანიშნავად, ასევე ძვირფასი, მოკაშკაშე, მონაცრისფრო ლითონის აღსანიშნავად, რომელიც გამოიყენება სხვადასხვა ნივთის დასამზადებლად, როგორებიცაა: სამკაული, დანა-ჩანგალი, მონეტები, დეკორატიული ნივთები. ამ სიტყვას უკავშირდება სხვადასხვა ქართული და ინგლისური ტერმინი, გამონათქვამი, ანდაზა თუ იდიომი.

მოხსენებაში საკვლევი სიტყვები გაანალიზებულია დადებითი და უარყოფითი კონოტაციის კუთხით. ნარმოდგენილია საანალიზო სიტყვების სემანტიკური მსგავსება-განსხვავებანი ინგლისურ და ქართულ ენებს შორის

მარიამ ჭავჭავაძე

რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო ექსპედიციები კავკასიაში XIX საუკუნეში

XIX საუკუნის დასაწყისში, ქართლ-კახეთის დაპყრობის შედეგად, რუსეთი კიდევ უფრო გააქტიურდა კავკასიის რეგიონში. საიმპერატორო ხელისუფლების კავკასიური პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი იყო ამ რეგიონის ეკონომიკის, ბუნებრივი რესურსების, ისტორიის, ენის, გეოგრაფიის, ეთნოგრაფიის მეცნიერული შესწავლა.

ამ მიზნით რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით ეწყობოდა კავკასიაში სამეცნიერო ექსპედიციები. მათ შემადგენლობაში იყვნენ: გეოგრაფები, ბუნებისმეტყველები, კარტოგრაფები, ეთნოგრაფები, ლინგვისტები, მხატვრები და სხვა. მათ დაგვიტოვეს მნიშვნელოვანი ცნობები კავკასიის შესახებ.

რუსეთის მეცნიერებათა აკადემია იწვევდა იმ დროისათვის ევროპაში ცნობილ მეცნიერებს და მათ კონკრეტული დავალებების საფუძველზე აგზავნიდა კავკასიაში. აღსანიშნავია, მოგზაურობა ცნობილი გერმანელი ორიენტალისტისა და ლინგვისტის, ჰაინრიხ იულიუს ფონ კლაპროთისა, რომელიც მიაღწიდა კავკასიაში ფილოლოგიური, ეთნოგრაფიული და ისტორიული კვლევისთვის. 1812 წელს გამოქვეყნდა მისი ნაშრომის პირველი ტომი: „მოგზაურობა კავკასიასა და საქართველოში 1807–1808 წლებში“. ასევე მნიშვნელოვანია აუგუსტ ფონ ჰაქსტჰაუზენის მოგზაურობა (1843–1844), რომელიც იმპერატორმა ნიკოლოზ I-მა მიიწვია რუსეთში სამეცნიერო ექსპედიციის მოსაწყობად. მისი ნაშრომი „ამიერკავკასია“ გამოქვეყნდა 1856 წელს. მათი და სხვა მეცნიერთა შრომებზე დაყრდნობით შეგვიძლია, ვიმსჯელოთ რუსეთის კოლონიურ პოლიტიკაზე, კავკასიის ეკონომიკაზე, მოსახლეობის შემადგენლობასა და სხვა არაერთ მნიშვნელოვან საკითხზე.

ამ წყაროებს კრიტიკულად უნდა მივუდგეთ, რადგან მეცნიერთა უმრავლესობა რუსეთის იმპერიის ინტერესების გამტარებელი იყო და, შესაბამისად, მათ მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომებში მოვლენები გაშუქებულია ცალმხრივად. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია მათ შრომებში მოყვანილი ცნობების მნიშვნელობა რუსეთის კავკასიური პოლიტიკის საკითხების შესწავლისას.

პაპუნა ჭილაგდარი

„არასხვა“ ერიუგენასა და ნიკოლოზ კუზელის ფილოსოფიაში

ანტიკურ საბერძნეთში ნამოჭრილი პრობლემა ერთისა და სიმრავლის ურთიერთმიმართების თაობაზე ქრისტიანულ ნეოპლატონიზმშიც უმთავრესი საკითხი იყო. მდგომარეობას განსაკუთრებით ართულეზა ქრისტიანული თეოლოგიის უმნიშვნელოვანესი კონცეპტი – ღმერთის მიერ სამყაროს არარადან (ex nihilo) შექმნა. ფსევდო-დიონისე არეოპაგელისეულმა ღვთისმეტყველებამ, რომლის მიხედვითაც ღმერთი არის ყოველივე, რადგანაც მას ეზიარება ყოველი არსი, თუმცა იგი არ განისაზღვრება არცერთი მათგანით და ყოველივეს მიღმურია, დიდი გავლენა მოახდინა მეცხრე საუკუნის ლათინ სქოლასტიკოსზე, იოანე სკოტ ერიუგენასა და, ასევე, რენესანსის პერიოდის ერთ-ერთ პიონერ მოაზროვნეზე, ნიკოლოზ კუზელზე. ერიუგენა თავის ნაწარმოებში – „ბუნების შესახებ“ – ცდილობს, დაასაბუთოს ის, რომ ღმერთი, ანუ შემქმნელი და მისი ქმნილება, ერთი ბუნების (fusus) ორგვარი გამოვლინებაა და მათ შორის განსხვავება მოდალურია, ანუ მდგომარეობითია. იგი ავითარებს აზრს, რომლის მიხედვითაც ღმერთი, როგორც ყოველგვარი არსის ანუ „რა“-ს უარყოფა – „არარა“ არის და ასაბუთებს, რომ შექმნის მომენტი – ეს არის ერთის, ანუ ღმერთის, თვითნეგაცია და ამგვარი ნეგაციით მის გარეთ საკუთარი თავის შექმნა. ეს ყველაფერი კი ისე, რომ ღმერთი არ ხედავს საკუთარ თავსა და ქმნილებას შორის განსხვავებას. თვალსაჩინოა ის, რომ ამგვარი დიალექტიკა რთულად გასაგები და, ერთი შეხედვით, პარადოქსულია, თუმცა ერიუგენა იძულებულია, მას მიმართოს, რათა შეძლოს გამოთქმა გამოუთქმელისა. იგი ერთში სიმრავლის, ანუ არაერთის შესაძლებლობის წარმოსაჩენად მიმართავს იმავსა და

სხვის დიალექტიკას და ღმერთს განსაზღვრავს როგორც „არასხვას“ (*non aliud*), იმავე „უარყოფის უარყოფას“. არასხვის ცნება, საკუთარ თავში ატარებს „სხვის“ გაგებას და, ამავდროულად, ყოველგვარ სხვაობას უარყოფს, ისევე როგორც ღმერთი არ ცნობს არაფერს, რაც არაა მასში და მისადმი სხვაა. ამავე ფილოსოფიურ გზას ადგას ნიკოლოზ კუზელი, რომელიც ერიუგენას ზეგავლენით (ამ საკითხზე მკვლევართა უმეტესობა თანხმდება) კვლავ წინ წამოწევს არასხვის კონცეპტს და შეეცდება, დაასაბუთოს ის, რომ, რამდენადაც ქმნილი სამყარო ტრანსცენდენტური ღმერთის, ანუ ერთის, ხილული ხატია, მსგავსია და რეპრეზენტაციაა, ღმერთი ყოველივეს ქვემდებარედ ან არსებად შეიძლება იქნეს განხილული, ანუ იმ უმაღლეს და უპირველეს პრინციპად, რომელიც ყოველგვარ არსებულში ძევს და საგანს საგნად აქცევს. საგანთა არსება (*essential*) კი შეიძლება განისაზღვროს სწორედ ისე, როგორც არასხვა, რამდენადაც სწორედ ის არის ყოველივეს იდენტობის, ყველაფრის საკუთარ თავთან იგივეობის და სხვასთან მიმართების შესაძლებლობის პირობა. „ცა არის სხვა არაფერი, თუ არა ცა“ და ამის მიზეზი და პირველადი აზრობრივი შესაძლებლობა არის აბსოლუტური არასხვა, ანუ ღმერთი, რომელსაც ყოველივე ეზიარება და რომლის გამოვლინებაც არის ყოველივე.

კრებული გამოსაცემად მოამზადა თსუ გამომცემლობამ
დაიბეჭდა თსუ გამომცემლობის სტამბაში

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14
14 Ilia Tchantchavadze Avenue, Tbilisi 0179
Tel: 995 (32) 225 14 32
www.press.tsu.edu.ge